ევროკავშირი
საქართველოსთვის

The European Union for Georgia

UNDP

Empowered lives.
Resilient nations.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგის შედეგები

2017 წლის

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების

მედიამონიტორინგის

შედეგები

www.mediamonitor.ge

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებული და გამოცემულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

Prepared and published with the assistance of the European Union (EU) and United Nations Development Programme (UNDP). Contents of the publication are the sole responsibility of the authors and can in no way be taken to reflect the views of the European Union (EU) and UNDP.

Copyright © EU/UNDP Georgia 2017

All rights reserved

Published in Georgia

© EU/UNDP Georgia 2017

საავტორო უფლებები დაცულია

გამოცემულია საქართველოში

სარჩევი

შესავალი.....4

სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგი 5

სატელევიზიო ტოქშოუების მონიტორინგი 40

რადიოების მონიტორინგი 80

ონლაინ მედიის მონიტორინგი 102

ბეჭდური მედიის მონიტორინგი 128

დანართი 146

შესავალი

2017 წლის ადგილობრივი თითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის -,,საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი“ - ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

მედიამონიტორინგს ახორციელებდნენ სამოქალაქო ორგანიზაციები:

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია - სატელევიზიო ახალი ამბებისა და სატელევიზიო ტოქშოუების მონიტორინგი
- ინტერნიუსი-საქართველო - რადიოების მონიტორინგი
- სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი (CDI) - ბეჭდური და ონლაინ მედიის მონიტორინგი

მონიტორები აკვირდებოდნენ პოლიტიკურ სუბიექტებს (დანართი 1) 60-მდე სხვადასხვა ტიპის მედიასაშუალებაში.

სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგი

პროექტის შესახებ

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - ,,საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი" - ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით აკვირდებოდა ტელემაუწყებლების მიერ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2017 წლის 19 ივნისს და დასრულდა 2017 წლის 19 ნოემბერს.

დაკვირვება ხორციელდებოდა შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25, რიონი, გურჯაანი, გურია, ქვემო ქართლი, თრიალეთი, ოდიში, მეცხრე არხი. მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

ტელევიზიების ახალი ამბების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს საკუთარ თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება დათმობილი დროის ტონი. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული

მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები).

ძირითადი მიგნებები:

- დათმობილი დროის მიხედვით, ყველა არხის მონაცემებით, ყველაზე მეტად ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობა და პარტია „ქართული ოცნება“ გაშუქდა.
- წინა წლებში უმრავლეს არხებზე მთავრობა შუქდებოდა ყველაზე მეტად. ამ არჩევნებზე ეს ტრადიცია დაირღვა და 14 სამონიტორინგო არხიდან 6 არხზე 6 თვის მონაცემების დაჯამებით, ყველაზე მეტი დრო პარტია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო.
- „ქართული ოცნება“ ყველაზე დადებითად ცენტრალურ არხებს შორის საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხზე გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 6% დადებითი ტონი იყო. რეგიონულ არხებს შორის „ქართული ოცნება“ ყველაზე დადებითად გურჯაანის ეთერში გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 18% -ით.
- „ქართული ოცნება“ ყველაზე უარყოფითად ცენტრალური არხებიდან „რუსთავი 2-ზე“ გაშუქდა (45%), რეგიონული არხებიდან კი „ოდიშის“ ეთერში (54%).
- რეგიონული არხების უმრავლესობამ ყველაზე მეტი დრო ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებას დაუთმო.
- ადგილობრივი ხელისუფლება 14 არხის მონაცემებით ყველაზე დადებითად ტელეკომპანია „გურჯაანის“ ეთერში გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 13%-ით. ყველაზე უარყოფითად კი „რუსთავი 2-ის“ ეთერში - დათმობილი დროის 51%-ით.
- ცენტრალური მთავრობა ყველაზე დადებითად ცენტრალურ ტელევიზიებს შორის ,,პირველმა არხმა“ გააშუქა. მისთვის დათმობილი დროის 9% დადებითი იყო. რეგიონულ არხებს შორის მთავრობის დადებითი გაშუქებით „გურჯაანი“ ლიდერობდა 25%-ით.
- ცენტრალური მთავრობა ყველაზე უარყოფითად ცენტრალური არხებიდან „რუსთავი 2-მა“ გააშუქა (52%). რეგიონული არხებიდან „ოდიშმა“- 47%-ით.
- პარტიებს შორის ყველაზე მეტი დრო ჯამში „ქართულ ოცნებას“ დაეთმო, მომდევნო ადგილებზეა „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო.“
- „ნაციონალურ მოძრაობას“ ყველაზე დადებითი გაშუქება ცენტრალური არხებიდან „რუსთავი 2-ის“ ეთერში ჰქონდა (7%), რეგიონული არხებიდან „გურჯაანის“ ეთერში (20%). ყველაზე უარყოფითად ცენტრალური არხებიდან

ნაციონალური მოძრაობა „ობიექტივმა“ (80%) გააშუქა, რეგიონული არხებიდან კი აჭარის ტელევიზიამ (11%).

- თუ სხვა არხები ყველაზე მეტად აშუქებდნენ ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს და ორ ძირითად პარტიას („ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“), ტელეკომპანია „ობიექტივი“ ერთადერთი არხია, სადაც დათმობილი დროით პირველ ადგილზეა და ყველაზე მეტი დადებითი გაშუქება აქვს „პატრიოტთა ალიანსს“ (12%).
- ხელისუფლების ყველა შტოს მიმართ ყველაზე მეტი კრიტიკული ტონი „რუსთავი 2“-ს აქვს. კრიტიკული სიუჟეტები ხელისუფლების მიმართ ყველაზე ხშირად ამ არხის ეთერში გადის.
- „რუსთავი 2“ აშკარა სიმპატიას ამჟღავნებდა „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი მერობის კანდიდატის მიმართ.
- ხელისუფლების მიმართ რბილი, არა მოდარაჯე პოზიციით ხასიათდება საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი და ტელეკომპანია „იმედი“. ამ ორი არხის სარედაქციო პრიორიტეტები არჩევნების შემდგომ პერიოდში მაქსიმალურად დაახლოვდა. ისინი ზოგიერთ შემთხვევაში, ხელისუფლების მიმართ მომზადებული ლოიალური სიუჟეტებით განსაკუთრებით ჰგავდნენ ერთმანეთს.
- „პატრიოტთა ალიანსის“ და მისი მერობის კანდიდატის სასარგებლოდ მიკერძოებული გაშუქებით გამოირჩევა ტელეკომპანია „ობიექტივი“.
- წინა წელთან შედარებით სიძულვილის ენის და შეუსაბამო ტერმინოლოგიის საინფორმაციო გამოშვებებში ტირაჟირება მკვეთრად შემცირდა.
- „ობიექტივი“ ერთადერთი არხია, სადაც ეთერში ქსენოფობიური შინაარსის შემცველი მასალა დაფიქსირდა.
- წინა წლის მონიტორინგის მსგავსად თითქმის ყველა არხზე პრობლემად რჩება ისეთი სიღრმისეული, მოკვლევითი სიუჟეტების სიმცირე, რომლებიც დაკავშირებული იქნებოდა საარჩევნო თემატიკასთან და ამომრჩეველს მეტად დაეხმარებოდა ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში.
- წინა წელთან შედარებით შემცირებულია გონივრული ბალანსის დარღვევის ფაქტები, თუმცა ე.წ. „კადრ სინქრონებში“ ისევ რჩება ბალანსის დაცვის პრობლემა.
- რეგიონულ არხებში გამოიკვეთა საინფორმაციო გამოშვებების რეგულარულობის პრობლემა. ზოგიერთ არხზე გამოშვებები დაუდგენელი გრაფიკით გადიოდა ეთერში. იყო რამდენიმე დღიანი წყვეტებიც. ეს ტენდეცია არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა.
- რეგიონული არხების ნაწილი ხშირად იყენებდა სამთავრობო უწყებების პრესსამსახურების მომზადებულ მასალებს მათ წარმომავლობაზე ნათლად მითითების გარეშე.
- რამდენიმე რეგიონული არხის საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სარეკლამო შინაარსის შემცველი სიუჟეტები, რაც დაუშვებელია.

- რეგიონულ არხებს აქვთ ტექნიკური პრობლემები, ხმის და კადრების ხარისხი დაბალია. ტიტრების არარსებობა ზოგიერთი ტელევიზიის მოუგვარებელ პრობლემად რჩება.

I არხი

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდენენ „I არხის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას - „მოამბე“ 20 საათზე. მთელი პერიოდის განმავლობაში ამ გადაცემაში ყველაზე მეტი დრო პარტია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. ყველაზე დადებითად პრემიერ-მინისტრი გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 12% პოზიტიური იყო. ყველაზე უარყოფითად კი მიხეილ სააკაშვილი წარმოჩინდა, რადგან მისთვის დათმობილი დროის 16% ნეგატიური იყო.

თბილისის მერობის კანდიდატებს შორის ,,I არხის“ ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართული ოცნების“ კანდიდატს დაეთმო. კახა კალაძე მისთვის დათმობილი დროის 18%-ით დადებითად გაშუქდა რაც, მინიმუმ სამჯერ აღემატებოდა კონკურენტების დადებით გაშუქებას. მერობის კანდიდატების უარყოფითი გაშუქება ,,I არხზე“ რაოდენობრივი თვალსაზრისით შესამჩნევი არ ყოფილა.



შინაარსობრივი შედეგები

„მოამბის“ მთავარ გამოშვებაში მეტ-ნაკლებად ყველა მნიშვნელოვანი ამბავი აისახება. ზოგჯერ გამონაკლისია ისეთი თემები, რომლებიც სხვა არხზე გაჟღერების შემდეგ გახდა საყოველთაო განხილვის საგანი, თუმცა „მოამბემ“ ეს არ შეიმჩნია. გადაცემა არ გამოირჩევა ხელისუფლებისადმი განსაკუთრებულად კრიტიკული სიუჟეტების მომზადებით, მას ვერ ვუწოდებთ მოდარაჯე საინფორმაციო გამოშვებას. იშვიათად, რომ „მოამბეში“ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სიუჟეტი მომზადებულიყო. ხელისუფლების და მმართველი პარტიის კრიტიკა მცირე დოზით, ისიც ხელისუფლების ოპონენტების მხრიდან ისმის. საინფორმაციო გამოშვევებებში ძირითად სპიკერებად მმართველი პარტიის წევრები გვევლინებიან. შეიძლება ერთი ამბის თხრობისას, „ქართული ოცნების“ რამდენიმე წარმომადგენლის კომენტარი იყოს წარმოჩენილი, საპასუხოდ კი ერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის მოსაზრებას სთავაზობდნენ აუდიტორიას.

ასევე იშვიათია შემთხვევა, როცა მწვავე ექსკლუზიური მასალა ხვდება „მოამბის“ ბადეში. გადაცემა თითქმის ვერ ავლენს კორუფციულ ფაქტებს, იშვიათად აშუქებს ადამიანის უფლებების დარღვევის ექსკლუზიურ შემთხვევებს.

,,მოამბეში“ შეხვდებით სიუჟეტებს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მაგალიდად, შრომითი უფლებები, ტურიზმის განვითარება და, ზოგჯერ, განათლების სფეროში არსებული პრობლემები. ამ სიჟეტებში პრობლემა არის წამოჭრილი, მაგრამ ხელისუფლების კონკრეტული შტოს მწვავე კრიტიკა არ ჩანს. არადა კონკრეტული პრობლემების მოგვარებაზე სწორედ ხელისუფლების კონკრეტული უწყებაა პასუხისმგებელი.

მონიტორინგის მიწურულს დაემთხვა მოამბის მთავარი გამოშვების ეთერში გასვლის დროის და ფორმატის ცვლილება. ახალი ფორმატით შემცირდა თითოეული ამბისთვის დათმობილი დრო, ძირითადად ე.წ. „კადრ სინქრონებით“ შუქდებოდა დღის მნიშვნელოვანი თემები, რაც მთავარი გამოშვებისთვის ცოტა შეუსაბამოა. მაყურებელი ელის მნიშვნელოვანი ამბის ამომწურავ, მრავალმხრივ გაშუქებას, რაც ხშირად 30-50 წამიან „კადრ სინქრონში“ შეუძლებელია.

როგორც რაოდენობრივმა მონიტორინგმა აჩვენა, „მოამბეში“ ყველაზე დადებითად ხელისუფლება გაშუქდა - მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ქართული ოცნება, კახა კალაძე. ხელისუფლებისადმი რბილი, არაკრიტიკული სარედაქციო პოლიტიკა კონკრეტულ სიუჟეტებშიც გამოიხატა, ,,I არხი“ განსაკუთრებით კახა კალაძეს სწყალობდა. როგორც არჩევნებამდე, ისე მისი დასრულების შემდეგ არაერთი სიუჟეტი გავიდა, რომელიც კალაძეს დადებითად წარმოაჩენდა. მაგალითად, 19 ნოემბრის ,,მოამბეში“, 6-წუთიანი სიუჟეტი მიეძღვნა თბილისის ახალი მერის პირველ სამუშაო კვირას. ჟურნალისტის მონათხრობის მიხედვით კალაძე „იყო ყველგან, სადაც რამე კეთდება,” „კალაძე აპირებს მოაგვაროს ყველა

ის პრობლემა რაც თბილისელებს აწუხებს.“ ჟურნალისტი საკუთარი ტექსტებით, მიკერძოებულად დადებითად წარმოაჩენდა თბილისის მერს, მაგალითად: „შემდეგ კი ყვითელი ავტობუსით იარა და გადაწყვიტა, რომ ეს ტრანსპორტი სასწრაფოდ ჩასანაცვლებელია;“- თუმცა კალაძემ იმავე სიუჟეტში აღნიშნა, რომ ავტობუსების ჩანაცვლება არა “სასწრაფოდ” არამედ მისი მერობის 4 წლის განმავლობაში მოხდება.

საყურადღებოა ჟურნალისტის კიდევ ერთი ფრაზა: „ასეთ პიარტექნოლოგიებს კალაძის წინამორბედები ყოველთვის წინასაარჩევნო კამპანიის დროს მიმართავდნენ, თუმცა შემდეგ თანამდებობებზე ყოფნისას იშვიათად თუ გვინახავს სამთავრობო ჯიპებიდან გადმოსული და ფეხით მოსიარულე მერები.“ აღნიშნული ტექსტი ჟურნალისტმა გიგი უგულავას საარქივო კადრების ფონზე თქვა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტმა ტექსტში თქვა „მერები,“ მან მხოლოდ უგულავას კადრი აჩვენა და არც მიუნიშნებია გულისხმობდა თუ არა ჯიპებიდან იშვიათად გადმოსულ მერებში „ქართული ოცნების“ პირველ თბილისის მერს, დავით ნარმანიასაც. სიუჟეტის ეს ფრაგმენტიც, მმართველი გუნდის მიმართ ჟურნალისტის მიკერძოებულობის ნიმუშია. ჟურნალისტის კიდევ ერთი წინადადება კალაძის გადაწყვეტილებას ეძღვნება, რომ მერიაში აუდიტის სამსახური მიიწვიოს შესამოწმებლად: „ექსპერტები ამ გადაწყვეტილებას აფასებენ როგორც სწორ და კომპეტენტურ ქმედებას” - რომელი ექსპერტები აფასებენ ასე კალაძის გადაწყვეტილებას, სიუჟეტში არც თქმულა და არც რომელიმე მათგანის კომენტარი გასულა.

ვრცელ სიუჟეტში მხოლოდ დადებით ტონში იყო კალაძის ყველა გადაწყვეტილება წარმოჩენილი. სიუჟეტის მიხედვით, კალაძემ თბილისის პრობლემები და მათი მოგვარების გზები იცის. „ნაციონალები და ყოფილი ნაციონალები სხდომაზე კალაძის მისვლას ითხოვდნენ“-ესეც ჟურნალისტის ტექსტია და კონტექსტი საკრებულოში არსებული ოპოზიციის დაკნინების მცდელობაზე მიანიშნებს. ეს არ შეიძლება იყოს, მიუკერძოებელი, ეთიკური ჟურნალისტის მიზანი.

6 წუთიან სიუჟეტში მხოლოდ კახა კალაძის კომენტარებითა და წამყვანის ტექსტებით იყო აწყობილი სიუჟეტი. არ ისმოდა არც ერთი კრიტიკული კითხვა მის მიერ გაცემული დაპირებების რეალურობაზე, არ იყო წარმოდგენილი ანალიზი, თბილისის ბიუჯეტი საკმარისია თუ არა ამ დაპირებების შესასრულებლად, არ ჩანდა შეფასება მართლა შეუძლია თუ არა ოთხ წელში კალაძის მთავრობას თბილისში არსებული მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება. სიუჟეტი ვერ აკმაყოფილებდა მედიის, როგორც მაკონტროლებლის სტანდარტს და მხოლოდ და მხოლოდ ახალი მერის დადებითად, თბილისის მხსნელად წარმოჩენას ემსახურებოდა. “მედია გაკონტროლებთ და წარმატებებს გისურვებთ”- ჟურნალისტის ეს ფრაზა,მერისთვის ხელის ჩამორთმევის კადრის ფონზე იყო სიუჟეტის დასასრული.

როგორც აღვნიშნეთ, ,,I არხი” კალაძეს დადებითად არჩევნებამდეც აშუქებდა. მისგან განსხვავებით, უარყოფითი, ეთიკური პრინციპების დარღვევით მომზადებული სიუჟეტი მიეძღვნა მერობის კიდევ ერთი კანდიდატს, ალექსანდრე ელისაშვილს. 3 ოქტომბრის სიუჟეტში მაყურებელს საშუალება ჰქონდა ელისაშვილის ხედვების შესახებ მიეღო ინფორმაცია, მაგრამ ერთ მონაკვეთში ჟურნალისტმა შემდეგი წინადადება თქვა: „იმაზე, რისი მოგვარებაც სურს, საუბრობს ყველგან, ყველაზე მეტს კი პოტენციურ ამომრჩევლებთან შეხვედრისას, თუმცა სტაჟიანმა ჟურნალისტმა და უკვე პოლიტიკოსმა იცის, რომ წინასაარჩევნო შეხვედრების მედალს ორი მხარე აქვს, ერთი, როცა კონკურენტების უფრო სჯერათ, ვიდრე შენი და მეორე, როცა პირიქით, მეტად გენდობიან“. ამ ტექსტის ფონზე კადრებში ჩანდა ორი აქტიური ადამიანი. ჟურნალისტის ტექსტის მიხედვით რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი იყვნენ ელისაშვილით უკმაყოფილო ამომრჩევლები, რომლებსაც მასთან გარკვეული პრეტენზიები ჰქონდათ და ტყუილში ადანაშაულებდნენ. ამ დასკვნის საფუძველს მაყურებელს სიუჟეტში ნაჩვენები კადრები და ე.წ. „შუმები“, ასევე ამ მოქალაქეების საუბრის ფრაგმენტები უქმნიდა.

ალეკო ელისაშვილის საარჩევნო შტაბმა გაავრცელა 8 წუთიანი ვიდეო ჩანაწერი სადაც ჩანს, რომ ,,I არხის“ სიუჟეტში რიგით, უკმაყოფილო ამომრჩევლებად წარმოჩენილი ადამიანებიდან ერთი დიდუბის გამგებლის მოადგილე, მეორე კი „ქართული ოცნების“ დიდუბის საარჩევნო შტაბის წევრი იყო. ამ ჩანაწერში ჩანს ელისაშვილის და მისი მხარდამჭერების ხელისუფლების მხარდამჭერებთან შეხლა-შემოხლა, საიდანაც ირკვევა, რომ ზემოხსენებული ადამიანები არ არიან რიგითი ამომრჩევლები.

ამავე ჩანაწერში ჩანს, რომ შეხლა-შემოხლას ესწრება ,,I არხის“ ის ჟურნალისტი და ოპერატორი, რომლებმაც ელისაშვილზე ზემოხსენებული სიუჟეტი მოამზადეს. წესით მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ადამიანები, რომლებიც ელისაშვილს უკმაყოფილოები დახვდნენ, არა რიგითი ამომრჩევლები, არამედ ხელისუფლების მხარდამჭერები იყვნენ. თუმცა ეს სიუჟეტში არ ასახეს, შესაბამისად, არაზუსტი ინფორმაცია გაავრცელეს, მიჩქმალეს ისეთი ნიუანსი, რაც მთლიანად ცვლიდა კონტექსტს:ელისაშვილს უკმაყოფილო ამომრჩევლები კი არ დახვდნენ (როგორც ეს სიუჟეტიდან ჩანს), არამედ ხელისუფლების მხარდამჭერები, რომელთა ქმედებებშიც საარჩევნო კამპანიაში ხელშეშლის ნიშნებიც იკვეთებოდა. ეს კი ,,I არხი”ს ჟურნალისტის ყურადღების მიღმა დარჩა.

,,I არხზე“ სიუჟეტების უმრავლესობა დაბალანსებული და მიუკერძოებელი იყო, თუმცა ხელისუფლებისთვის კრიტიკულ მომენტში „მოამბე“ ავლენდა ხელისუფლებისადმი მიკერძოებას და არღვევდა ეთიკურ პრინციპებს. მაგალითად, წინასაარჩევნო პერიოდში ოზურგეთში მწვავე დაპირისპირება იყო სახელისუფლებო კანდიდატ ბეგლარ სიორიძესა და დამოუკიდებელ კანდიდატ კონსტანტინე შარაშენიძეს შორის. „ქართული ოცნებისთვის“ ოზურგეთში მეორე ტურში გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო, რაზეც მეტყველებდა იქ „ქართული ოცნების“ ავტორიტეტული წევრების ხშირი ვიზიტები. ასეთი ფონი იყო, როცა

არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე საათით ადრე მოამბის პირველ ნიუსად სწორედ შარაშენიძე - სიორიძის შესახებ ინფორმაცია გავიდა.

მოამბის ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში ჩართვისას კონსტანტინე შარაშენიძის შესახებ თქვა: „ინტერვიუს დაწყების დროს ჩვენ მას დავუმაგრეთ სამკერდე მიკროფონი, შემდეგ ის რამდენიმე წამით დავტოვეთ მის საარჩევნო კამპანიაში ჩართულ ადამიანებთან ერთად, დანარჩენი უკვე შეგიძლიათ ვიდეოში ნახოთ.“ ჟურნალისტის ამ შესავალი ტექსტის შემდეგ ეთერში გავიდა მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის და მისი შტაბის წევრის საუბრის ნაწყვეტი, კადრზე განთავსებული იყო ტიტრი, რომელიც თითქოს შარაშენიძის საუბრის ტექსტური ვარიანტია. ტიტრში ვკითხულობთ, რომ შტაბის წევრი ეუბნება შარშენიძეს „მოიტყუე რამე, თქვი.“ ამაზე შარაშენიძე პასუხობს - „კარგი.“ ამ რამდენიმე წამიან ფრაგმენტს მოყვა მოამბის ჟურნალისტის ტექსტი: „სამწუხაროა, ჩვენი მოტყუება დაკავშირებულია მის ამომრჩეველის მოტყუებასთან“ ჟურნალისტის მიერ ამ ფრაგმენტის ამ ფორმით წარდგენით და თან დართული ტექსტით, მაყურებელს მიეწოდა ინფორმაცია, რომ „ოცნების“ ერთადერთი კონკურენტი მეორე ტურში, ინტერვიუს დაწყებამდე, საკუთარი შტაბის წევრის მითითებით I არხის ჟურნალისტის მოტყუებას გეგმავს. ჟურნალისტმა ეს გამოაცხადა როგორც დადასტურებული ფაქტი და ამომრჩევლის მოტყუებად დააკვალიფიცირა.

ამ ჩართვას მოყვა ფართო განხილვა: გამოეხმაურა შარაშენიძე, რომელმაც განმარტა რომ შტაბის წევრი მერობის კანდიდატს ეუბნებოდა სიტყვას „მოითხოვე“ და არა „მოიტყუე“, როგორც ეს ,,I არხის“ ჟურნალისტმა აუწყა მაყურებელს, რაც მიანიშნებდა ,,I არხის“ ჟურნალისტის მხრიდან არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებაზე. ამ ჩანაწერის ეთერში გაშვებიდან რამდენიმე საათში, იმავე ღამეს “ქართული ოცნების” საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა და ოზურგეთის მაჟორიტარმა არჩილ თალაკვაძემ, მერობის სახელისუფლებო კანდიდატთან ერთად გამართა ბრიფინგი, სადაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ზემოხსენებულ ვიდეოზე დაყრდნობით შარაშენიძე და მისი შტაბი ტყუილის და დეზინფორმაციის გავრცელების მცდელობაში დაადანაშაულა.

ამ მაგალითში მოამბის სარედაქციო ჯგუფის მხრიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ეთიკური დარღვევაა, **პირველი:** მართლაც რომ ეთქვა შარაშენიძის შტაბის წევრს სიტყვა „მოიტყუე“ და ამაზე შარაშენიძეც დათანხმებოდა, ჟურნალისტს არჩევნებამდე რამდენიმე საათით ადრე ასეთი ინფორმაცია რესპონდენტის მხრიდან განმარტებითი კომენტარის გარეშე ეთერში არ უნდა გაეშვა. ჟურნალისტს ამ ფრაგმენტის ეთერში გაშვებამდე, ვიდეო, სატელეფონო, ტექსტური ანდა ნებისმიერი სახით უნდა მოეპოვებინა შარაშენიძის კომენტარი, უნდა დაესვა შეკითხვა, რას იტყუებოდით და ვის ატყუებდით, ნაცვლად ამისა, მოამბის სარედაქციო ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ კრიტიკულ მომენტში, როცა არჩევნებამდე ეთერში მათი ბოლო მთავარი გამოშვება გადიოდა, პირველ სიახლედ გაეშვა ამბავი, რომელიც საჭიროებდა დაბალანსებას და დაზუსტებას, მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა ოპოზიციური მერობის კანდიდატის იმიჯს და ხელისუფლების კანდიდატის წისქვილზე ასხამდა წყალს. ეს

გადაწყვეტილება იყო ეთიკურად გაუმართლებელი და არ გამომდინარეობდა ჟურნალისტის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობიდან-მიაწოდოს აუდიტორიას მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და თავი შეიკავოს მიკერძოებული შეფასებებისგან.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა: შარაშენიძის განმარტება, რომ ჩანაწერში ისმის "მოითხოვე" და არა "მოიტყუე", ,,მოამბეს“ მაყურებლისთვის არ შეუთავაზებია არც მომდევნო დღეებში. მაუწყებელს ამ ფაქტზე დამატებითი განმარტებები დღემდე არ გაუკეთებია.

ხელისუფლებისადმი ლოიალობის კიდევ ერთი მაგალითი თბილისის საკრებულოში „პანორამა თბილისის“ ირგვლივ მომხდარი დაპირისპირების გაშუქებაა. 29 სექტემბერს თბილისის საკრებულოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით, თავისუფლების მოედანზე, სადაც „პანორამა თბილისის“ სასტუმრო უნდა აშენდეს, მიწისქვეშა ავტოსადგომის განსათავსებლად მიწის ნაკვეთს ფუნქციური ზონის სტატუსი შეეცვალა, თაბორის მთაზე 4 700 $მ^2$ ფართობის მიწას კი რეკრეაციული სტატუსი „თაბორი რიზორთსის“ სასარგებლოდ მოეხსნა. თანაინვესტირების ფონდი, რომელიც პროექტ „პანორამა თბილისსა და „თაბორი რიზორთსს“ ახორციელებს, ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, ბიძინა ივანიშვილთანაა დაკავშირებული და ამის დამადასტურებელი ბევრი საჯარო წყარო არსებობს. (პანორამა თბილისი, რომ ივანიშვილის პროექტია ეს თავადვე დაადასტურა გურია ნიუსისთვის მიცემულ ინტერვიუში)

ამ თემაზე 29 სექტემბერს ეთერში გასული სიუჟეტი ჟურნალისტმა ასე წარადგინა - „დღევანდელ სხდომაზე განხილვის საგანი ორი ლოკაციისთვის ლანდშაპტურ-რეკრეაციული სტატუსის შეცვლა იყო. იმის მიუხედავად, რომ დეპუტატებს კონკრეტული ტერიტორიების კონკრეტული კომპანიებისთვის გადაცემის საკითხზე არ უმსჯელიათ, სწორედ ამ მიმართულებით კეთდებოდა ყველაზე ხმაურიანი და პოლიტიკური განცხადებები საგნობრივ დებატებზე მეტად.“

კიდევ ერთი ციტატა სიუჟეტიდან: „ოპოზიციას მიაჩნია, რომ ცვლილებები თანაინვესტირების ფონდის პროექტსა და ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ კომპანიას ეხება.“

ზემოხსენებული ფრაზებით, ჟურნალისტმა საქმის ვითარება ისე წარმოაჩინა, თითქოს ამ ამბის ივანიშვილთან ბმას მხოლოდ ოპოზიცია ახდენდა. ეს ხაზი გასდევდა მთელ სიუჟეტს. არადა, „ქართული ოცნებაც“ კი არ უარყოფდა საკრებულოს ამ გადაწყვეტილების ივანიშვილთან კავშირს.

სიუჟეტში არც ის ინფორმაცია გაჟღერდა, რომ ივანიშვილთან დაკავშირებული კომპანია პუშკინის სკვერში არსებული ფართის გადაცემას 1 ლარად ითხოვდა. სიუჟეტში არ მოხვდა (მხოლოდ ანონსში გაჟღერდა რამდენიმე წამით) საქართველოს პარლამენტის წევრის და

თბილისის მერობის კანდიდატის ელენე ხოშტარიასა და პარტიზანი მებაღეების ხელმძღვანელის პოლიციის ძალით საკრებულოს დარბაზიდან გაყვანის ფაქტი.

სიუჟეტის დასრულების შემდეგ კი, ეთერში მასალის ავტორი ჩაერთო და მაყურებელს დაგეგმილი სამუშაოების შესახებ უამბო. აღნიშნა, რომ ტერიტორია, რომელიც თაბორის მთაზე მდებარეობს, სარწყავი სისტემის მოსაწყობად იქნება გამოყენებული, პუშკინის სკვერში მდებარე ფართი კი პარკირების ადგილისთვის. სიუჟეტი დაახლოებით შემდეგ შინაარსს ატარებდა - ოპოზიცია წინააღმდეგია სარწყავი სისტემის და პარკირების ადგილების მოწყობის.

უფრო მეტიც, ამ სიუჟეტს მოსდევდა მასალა თბილისში პარკირების პრობლემის მოგვარებაზე, რომლის წარდგენისას მოამბის წამყვანმა საკრებულოს მიერ თავისუფლების მოედანზე მიწის ნაკვეთისთვის სტატუსის შეცვლა პოზიტიურ კონტექსტში წარმოაჩინა: „პროექტი, რომელიც დღეს პროტესტის მიზეზი გახდა, თბილისის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევის - პარკირების პრობლემის გადაჭრას გულისხმობს.“ წამყვანის ეს ტექსტი სუბიექტურია და არ გამომდინარეობს ფაქტებიდან. პუშკინის სკვერში ივანიშვილთან დაკავშირებული კომპანია 30 დან 120-მდე (სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით) პარკირების ადგილის მოწყობას გეგმავს, (აქედან ნაწილი ივანიშვილთან დაკავშირებულ სასტუმროს მოემსახურება) რაც მცირეა თბილისისთვის, რომელსაც პარკირების მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს.

დაუშვებელია, როცა გადაცემა პრობლემურ ამბავს სუბიექტურად ფუთავს და ასე წარუდგენს საზოგადოებას. უმჯობესი იყო, ჟურნალისტს მეტი ინფორმაცია, ფაქტები მოეძიებინა, გაეანალიზებინა და სიუჟეტი მხოლოდ ოპოზიციის და ხელისუფლების პოლიტიკურ ბრალდებებზე და საკუთარ სუბიექტურ შეფასებებზე არ აეწყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ,,I არხის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ გაშუქდა ინფორმაცია, რომ იმავე დღეს, (29 სექტემბერს) ივანიშვილთან დაკავშირებული კომპანიის სასარგებლოდ აჭარის საკრებულომაც მიიღო გადაწყვეტილება. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით საკრებულო და აჭარის მთავრობა ახორციელებდა პროცედურებს, რომელთა მიზანიც უახლოეს ხანში ივანიშვილთან დაკავშირებული კომპანიისთვის მწვანე კონცხზე, ბოტანიკურ ბაღთან მდებარე მიწის ნაკვეთის - საკუთრებაში, ზღვის პლაჟის კი 49 წლით სარგებლობაში გადაცემა იყო. მნიშვნელოვანია, რომ ბათუმის და თბილისის შემთხვევებში პროცედურები ფორსირებულად ხდება და საკრებულოები, რომლებსაც ვადის ამოწურვამდე რამდენიმე კვირა დარჩა, ივანიშვილის სასარგებლო გადაწყვეტილებებს ერთდროულად იღებს. ამ ფაქტორებზე ,,მოამბეს“ ყურადღება არ გაუმახვილებია.

რუსთავი 2

რაოდენობრივი შედეგები

„რუსთავი 2-ის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ არხის მთავარ საინფორმაციონ გამოშვებებს: 9 საათიან ,,კურიერი,“ ,, შაბათის კურიერი“ და ,,P.S“. ყველაზე ხშირად ამ არხის ეთერშიც პარტია „ქართული ოცნება“ გაშუქდა. ყველაზე დადებითად - მიხეილ სააკაშვილი, მისთვის დათმობილი დროის 9% დადებითი იყო. ყველაზე უარყოფითად საქართველოს მთავრობა წარმოჩინდა, დათმობილი დროის 52%-ით. „რუსთავი-2-მა“ ყველაზე დადებითად თბილისის მერობის კანდიდატებს შორის ზაალ უდუმაშვილი გააშუქა, მისთვის დათმობილი დროის 8%-ით. ყველაზე უარყოფითად კი კახა კალაძე 29%-ით.



შინაარსობრივი შედეგები

„რუსთავი 2“ სამონიტორინგო არხებს შორის ხელისუფლებას ყველაზე ხშირად და მწვავედ აკრიტიკებდა. მის ეთერში ხშირი იყო ექსკლუზიური თემები, სადაც კორუფციის, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზეა საუბარი.

პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შუქდებოდა. სხვადასხვა მოვლენებისა თუ ამბების გაშუქებისას და შეფასებისას არხი ყველაზე მეტად სწორედ ენმ-ის ლიდერთა კომენტარებს იყენებდა. არჩევნების შემდეგ

მკვეთრად შემცირდა ენმ-ის თბილისის მერობის კანდიდატის, ზაალ უდუმაშვილის გაშუქების ინტენსივობა. თითქმის მუდმივ რეჟიმში და დადებითად შუქდებოდა მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური აქტივობები უკრაინაში.

დაუბალანსებლობის პრობლემები ძირითადად მმართველი გუნდის მიმართ მომზადებულ სიუჟეტებში იჩენდა თავს. მაგალითად 14 ნოემბერს ,,კურიერში" გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით „კვირიკაშვილის ბიზნეს ინტერესები." „კურიერის" წამყვანმა სიუჟეტი ასე წარადგინა: "პრემიერის ბიზნეს ინტერესები და სახელმწიფოსგან მიღებული მილიონობით ლარი, თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ გიორგი კვირიკაშვილმა საკუთარი წილები ბიზნეს პარტნიორებს გადაუფორმა, თუმცა, როგორც ირკვევა, ფიქტიურად, რეალურად კი მთავრობის მეთაური რაფიელ სურამელაშვილსა და დავით ნოზაძესთან ერთად 60-ზე მეტ კომპანიას ფლობს და მათ 193-ზე მეტ სახელმწიფო ტენდერში აქვთ მონაწილეობა მიღებული."

წამყვანის ეს ტექსტი მხოლოდ გაზეთ „ქრონიკა პლიუსის" რედაქტორის მონათხრობს ეყრდნობოდა. მთელი სიუჟეტის განმავლობაში კვირიკაშვილის მიმართ ისმოდა ბრალდებები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ უმძიმესი იყო, მხოლოდ ერთ წყაროს, ისევ „ქრონიკა პლიუსის" რედაქტორის მონათხრობს ეყრდნობოდა, მაგალითად: „ამ ბიზნესების უკან პრემიერ მინისტრი დგას;" „დღემდე მისი სამეგობრო პრემიერ მინისტრს მისი დაფუძნებული კომპანიებიდან წილს უხდის;" „ის ალაგებს პრემიერის სახელით სიტუაციებს საბაჟო გამშვებ პუნქტებზე"; „ის არის პრემიერ კვირიკაშვილის „კასირი" და ა.შ. 6-წუთიან სიუჟეტში არ იყო პრემიერ კვირიკაშვილის საპასუხო კომენტარი, არ ჩანდა მცდელობა ამ კომენტარის მოპოვების. არადა ჟურნალისტს შეეძლო დაკავშირებოდა მთავრობის პრესსამსახურს, გაეგზავნა კითხვები და სიუჟეტში აესახა თუ რა პასუხს მიიღებდა პრემიერის აპარატიდან.

როგორც რაოდენობრივმა, ასევე შინაარსობრივმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში „რუსთავი 2" განსაკუთრებული სიმპატიით იყო განმსჭვალული „ნაციონალური მოძრაობის" და თბილისში მისი მერობის კანდიდატის, ზაალ უდუმაშვილის მიმართ. ამ კანდიდატის გაშუქების ინტენსივობა და პოზიტიური ტონი ცდებოდა მიუკერძოებელი, დაბალანსებული, ეთიკური ჟურნალისტიკის ფარგლებს.

ეს პრობლემა უდუმაშვილის, როგორც მერობის კანდიდატის კურიერის სტუდიიდან წარდგენიდანვე დაიწყო. 19 ივნისს გადაცემის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე კურიერის ერთ-ერთი წამყვანი, ზაალ უდუმაშვილი მაყურებელს დაემშვიდობა და განაცხადა, რომ 2017 წლის არჩევნებზე თბილისის მერობის კანდიდატი იქნებოდა.

„ახლა ვთვლი, რომ დადგა დრო, როდესაც თავად უნდა გავხდე პოლიტიკური პროცესების აქტიური მონაწილე და ჩემი წვლილი შევიტანო იმ ბრძოლაში, რომელიც ქვეყანაში

ტოტალურ განუკითხაობას და ერთი კაცის მმართველობას დაასრულებს. ბრძოლის გამოცდილება კი ნამდვილად მაქვს, გავიარე ძალიან საინტერესო წლები, როგორც ჟურნალისტმა, და ამავე დროს, შევიძინე უზარმაზარი გამოცდილება თუ როგორ უნდა ებრძოლო უსამართლობას. მე ,,რუსთავი 2-ის“ გუნდთან და თქვენთან ერთად ერთხელ უკვე გავიმარჯვე ამ ხელისუფლებასთან სრულიად უთანასწორო ბრძოლაში. თუმცა, ქვეყანას მთავარი ბრძოლა წინ აქვს და მე ვაპირებ თქვენთან ერთად და თქვენი სახელით შევიდე ამ ბრძოლაში და კიდევ ერთხელ გავიმარჯვო და ამჯერად თბილისის მერის არჩევნებში დავამარცხო [ბიძინა] ივანიშვილის კორუმპირებული და ანტიდემოკრატიული რეჟიმი,“ - თქვა უდუმაშვილმა.

უდუმაშვილის გარდა, მისმა თანაწამყვანმა, დიანა ჯოჯუამ კურიერის სტუდიიდან დადებითად დაახასიათა თანაწამყვანი და მაყურებელს ზაალ უდუმაშვილის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. ზემოთ მოყვანილი მაგალითი წინააღმდეგობაში მოდის მაუწყებელთა ქცევის კოდექსთან, კერძოდ: „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიხედვით“ (მუხლი 15) ახალი ამბების გადაცემისას, მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიუკერძოებლობის პრინციპის განუხრელი დაცვა და (მუხლი 16) დაუშვებელია პროგრამაში რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების ან სხვა ინტერესთა ჯგუფის მხარდამჭერი პოზიციის გამოხატვა. გარდა ამისა, (მუხლი 29) მაუწყებლის თანამშრომელმა, რომელიც წარმოადგენს მაუწყებელს, არ შეიძლება საჯაროდ გამოხატოს მხარდაჭერა რომელიმე კანდიდატის ან პოლიტიკური პარტიის მიმართ.

უდუმაშვილის ქება „კურიერში“ მეორე დღეს და შემდეგ დღეებშიც გაგრძელდა: „სატელევიზიო სივრცეში ყველა ეტაპზე იყო გამორჩეული. მას არაჩვეულებრივი ქარიზმა აქვს. ყველა ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ ჟურნალისტიკაში“, „ომშიც ვყოფილვართ და სიხარულშიც, შეუპოვარი ადამიანია [ზაალ უდუმაშვილი],“ - ამბობდა სიუჟეტში დიანა ჯოჯუა, რომელიც ამავდროულად იმ საინფორმაციო გამოშვებას უძღვებოდა, სადაც ეს სიუჟეტი გავიდა. მანვე სიუჟეტის დასრულების შემდეგ წარმატება უდუმაშვილს პირდაპირ ეთერში წარმატება უსურვა.

უდუმაშვილის ქება სხვა გამოშვებებშიც გაგრძელდა: „აქამდე ზალიკო უდუმაშვილი მაყურებელს მხოლოდ ეკრანიდან ესალმებოდა. თბილისი მისი სახლია და ამ სახლის სიყვარულმა ტელევიზორის ყუთიდან ქალაქის ქუჩებში გამოიყვანა,“ - ამბობდა ჟურნალისტი თავის ყოფილ კოლეგასა და თბილისი მერობის კანდიდატზე, შემდეგ კი კადრში უდუმაშვილი ჩნდებოდა, რომელიც კვლავ ხალხს ესალმებოდა და ბავშვებს ეთამაშებოდა.

ამ და სხვა სიუჟეტებში უდუმაშვილის მიმართ მსგავსი საქებარი სიტყვა არაერთხელ ითქვა, რაც როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, შორსაა მიუკერძოებელი ჟურნალისტიკისგან.

„რუსთავი 2-ის“ ეთერში აშკარა იყო ბიძინა ივანიშვილისადმი ნეგატიური განწყობა. 18 ნოემბრის „შაბათის კურიერში“ გასული სიუჟეტი - „ბრალდებები ივანიშვილის წინააღმდეგ“ იყო დაუბალანსებელი და ივანიშვილის მისამართით მხოლოდ ერთ წყაროზე, ინგა პავლოვაზე დაყრდნობით მძიმე ბრალდებები ისმოდა. რამდენიმე სიუჟეტი მიეძღვნა ივანიშვილის ბანკ „ქართუს“ (19-24 სექტემბერს). გაშუქდა ამ ბანკთან „ნაციონალური მოძრაობის“ საპროტესტო აქციები, სადაც მათ გააჟღერეს ბევრი ისეთი ბრალდება (ფულის გათეთრება, ფინანსური მაქინაციები, ძარცვა, საქართველოს მოსახლეობის ფულის მითვისება და ა.შ.), რომლის მტკიცებულებებიც სიუჟეტის ავტორებს მაყურებლისთვის არ შეუთავაზებიათ. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ერთ წყაროზე, „ნაციონალურ მოძრაობაზე“ დაყრდნობით გავრცელდა მძიმე ბრალდებები.

იმედი

რაოდენობრივი შედეგები

,,იმედის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას, „ქრონიკას“ და „იმედის კვირას.“ ამ არხზე ყველაზე მეტი დრო პარტია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო, ყველაზე დადებითად მთავრობა გაშუქდა, დათმობილი დროის 8%-ით. ყველაზე უარყოფითად მიხეილ სააკაშვილი, დათმობილი დროის 52%-ით. მერობის კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დადებითი გაშუქება კახა კალაძეს ჰქონდა (9%.)



შინაარსობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში „იმედი“ თითქმის არ აკრიტიკებდა მმართველ გუნდს, ნაკლებად სწყალობდა მოქმედ პრეზიდენტს, განსაკუთრებით უარყოფითად აშუქებდა მიხეილ სააკაშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას.“ არჩევნების შემდეგ არაერთი დადებითი სიუჟეტი მიეძღვნა კახა კალაძეს და მთავრობის ახალ წევრებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული იყო „იმედის კვირა“.

19 ნოემბერს ,,იმედის კვირაში“ გავიდა სიუჟეტი ფინანსთა ახალ მინისტრზე მამუკა ბახტაძეზე. 12 წუთიანი მასალა მთლიანად ბახტაძის დადებითად წარმოჩენას მიეძღვნა. სიუჟეტის მიხედვით მამუკა ბახტაძის დროს აღორძინდა საქართველოს რკინიგზა და ის რკინიგზის ყველაზე წარმატებული მმართველი იყო. სიუჟეტში ბახტაძის პიროვნულ ღირსებებზე მოგვითხრობდნენ მისი ქართულის პედაგოგი, რაგბის ყოფილი მწვრთნელი, ბახტაძის სინგაპურელი მეგობარი. ყველა მათგანი ახალ მინისტრს დადებითად წარმოაჩენდა. ისმოდა ფრაზები: „უყვარდა მოხუცებთან მუსაიფი“, „იყო პერსპექტიული სპორტსმენი“, „მისი ოცნებები ყოველთვის უკავშირდებოდა საქართველოს“, „ჩვენთვის შოკისმომგვრელი იყო, რომ მან უარი თქვა ძალიან, ძალიან კარგ შემოთავაზებაზე, სინგაპურის ერთ-ერთ ცნობილ კომპანიაში მუშაობაზე და საქართველოში დაბრუნდა.“ ვრცელი სიუჟეტის განმავლობაში არ ისმოდა განსხვავებული პოზიცია, მაყურებელს შეუძლებელია გაეგო მართლა ასეთი წარმატებული იყო თუ არა რკინიგზაში ბახტაძე. სიუჟეტი მხოლოდ ბახტაძესთან ინტერვიუთი და ჟურნალისტის მიკერძოებული, დადებითი ტონით გამსჭვალული ტექსტებით იყო მომზადებული, რაც სცილდება ობიექტური, დაბალანსებული ჟურნალისტიკის ფარგლებს და ხელისუფლების მაამებლურ სიუჟეტს წარმოადგენს.

ასევე 19 ნოემბერს „იმედის კვირაში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც კახა კალაძის პირველ სამუშაო კვირას მიეძღვნა. იმავე დღეს, რამდენიმე წუთით ადრე თითქმის ანალოგიური შინაარსის სიუჟეტი კალაძის პირველი სამუშაო კვირის შესახებ საზოგადეობრივი მაუწყებლის „I არხის“ ეთერშიც გავიდა (რომელიც ზემოთ უკვე აღვწერეთ).

ჟურნალისტის ტექსტი: „ქალაქის მთავრობის კაპიტანი ახალ მოედანზეც გამორჩეულ თამაშს აპირებს, გეგმავს ცვლილებებს, რომელიც დედაქალაქს სწორი და თანმიმდევრული განვითარების შანსს მისცემს;“ „კომპეტენცია, მოტივაცია და კეთილსინდისიერება - საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელთა შერჩევისას იგივე პრინციპით იხელმძღვანელა.“

სიუჟეტში ჟურნალისტმა საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები წარადგინა დადებითი კუთხით. ყველაზე გამორჩეული ეკოლოგიის და გამწვანების სამსახურის უფროსის წარდგენა იყო. ახალმა უფროსმა თქვა, რომ, მათი გეგმით, 4 წლის თავზე თბილისი უნდა გაუთანაბრდეს ევროპის წამყვან ქალაქებს ეკოლოგიური მდგომარეობით და შეიძლება გადაასწროს კიდეც. ჟურნალისტს არ დაუსვამს არც ერთი დამაზუსტებელი კითხვა: როგორ,

რა გზებით და საშუალებებით აპირებს ახალი მერი და მისი გუნდი თბილისის მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის ასეთ მოკლე დროში გამოსწორებას.

,,I არხის“ სიუჟეტის მსგავსად აქაც იყო იმ ქუჩების ჩამონათვალი, სადაც ახალმა მერმა პირველ სამუშაო კვირაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. იყო დრონით, ზედა ხედით გადაღებული კადრები, სადაც ჩანდა, თუ როგორ ათვალიერებს კალაძე სამშენებლო- სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ,,I არხი”ს სიუჟეტის მსგავსად, აქაც იყო კალაძის მიერ გმირთა მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელის მონახულების კადრები. მეორედ მოიხსენია ჟურნალისტმა მერი მთავრობის კაპიტნად. ,,I არხი”ს მსგავსად აქაც გაჟღერდა კალაძის მიერ მერიაში აუდიტის მიწვევის შესახებ ინფორმაცია. 10-წუთიანი სიუჟეტი მთლიანად კალაძის დადებითად წარმოჩენას მიეძღვნა.

კალაძე მერად არჩევნებამდეც არაერთ სიუჟეტში იყო დადებითად წარმოჩენილი. მაგალითად, 22 სექტემბერს გასული სიუჟეტი ეხებოდა აქციას - „ერთი დღე ავტომობილების გარეშე.“ წამყვანი და ჟურნალისტიც ამბობს, რომ ველორბოლას განახლებულ პეკინის გამზირზე პოლიტიკოსებიც შეუერთდნენ, თუმცა კადრში მხოლოდ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი კახა კალაძე ჩანდა და მაყურებელსაც მხოლოდ მისი კომენტარი შესთავაზეს. გაურკვეველი დარჩა აქციაში პოლიტიკოსთაგან მხოლოდ კალაძე მონაწილეობდა და ამიტომ მოხვდა სიუჟეტში მხოლოდ ის, თუ სხვა პოლიტიკოსებიც იყვნენ, თუმცა იმედმა მხოლოდ კალაძეს დაუთმო ეთერი.

სამონიტორინგო პერიოდში დაფიქსირდა კონკრეტული შემთხვევები, სადაც „იმედის“ საინფორმაციო გამოშვების წამყვანები და ჟურნალისტები ამჟამინდელი და ყოფილი პრეზიდენტების მიმართ არაერთხელ არღვევდნენ ეთიკურ პრინციპებს. 2 აგვისტოს, „ქრონიკაში“ გავიდა სიუჟეტი პრეზიდენტის მიერ ვეტოდადებულ კანონზე ხელის მოწერის შესახებ. წამყვანისა და ჟურნალისტის ტექსტი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ნეგატიურ კონტექსტს უქმნიდა და თვითმმართველი ქალაქების გაუქმება ლამის პრეზიდენტის გადაწყვეტილებადაც ფასდებოდა.

„მარგველაშვილმა მის მიერ ვეტოდადებულ კანონებს ხელი მოაწერა. ეს კანონები მარგველაშვილის ხელის მოწერის გარეშეც ამოქმედდებოდა. ვეტოდაძლეულ კანონპროექტებს, ამ შემთხვევაში, ხელს პარლამენტის თავმჯდომარე მოაწერდა და ის ძალაში შევიდოდა, თუმცა ასე არ მოხდა. ვეტოებით ომი დასრულდა და მარგველაშვილმა კაპიტულაცია სწორედ მისი ხელმოწერით გამოაცხადა. 12 თვითმმართველი ქალაქიდან 7-ს სტატუსი სწორედ პრეზიდენტის თანხმობით შეუჩერდება.“ - ამბობდა წამყვანი სიუჟეტის წარდგენისას.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიუჟეტის ხაზი იყო, რომ პრეზიდენტმა პოზიცია შეიცვალა, ვეტოების ომი დასრულდა, კაპიტულაციას ხელი მოაწერა,მასალაში არ ისმოდა არც პრეზიდენტის და არც მისი რომელიმე წარმომადგენლის კომენტარი.

„იმედის“ ეთერში ,,I არხის“ მსგავსად გაშუქდა საკრებულოს 29 სექტემბრის ხმაურიანი სხდომა, რომელიც ,,პანორამა თბილისის“ პროექტთან იყო დაკავშირებული. სიუჟეტში ამბავი ისე იყო წარმოჩენილი, თითქოს, ოპოზიცია უმიზეზოდ ჩხუბობს და ეწინააღმდეგება ხელისუფლების კეთილშობილურ მიზანს განტვირთოს ქალაქი საცობებისგან.

გარდა ამისა, თანაინვესტორების ფონდზე ჟურნალისტი ამბობს, რომ „ოპოზიციის მტკიცებით“, ის ბიძინა ივანიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. არადა, ამ ფონდთან კავშირი თავად ივანიშვილსაც არ უარყვია და პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა იმავე დღეს თავის გამოსვლაშიც აღნიშნა, რომ ივანიშვილი ბიზნეს ინტერესის გარეშე აშენებს პარკინგს პუშკინის სკვერთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ პანორამა თბილისთან დაკავშირებით, „იმედისა“ და ,,I არხის“ ხსენებული სიუჟეტების მომზადების სტილი ერთნაირია, მსგავსია მთავარი მესიჯები, ივანიშვილთან ამ პროექტის დაკავშირების ფორმა და ა.შ. ჟურნალისტები მხოლოდ ოპოზიციის ბრალდებების გაჟღერებით და ამ ბრალდებებზე ოპონენტების პასუხით შემოიფარგლებიან, თავად არ იძიებენ დამატებით ინფორმაციას, არ სწავლობენ საკითხს, რაც ცალსახად აზარალებს მაყურებელს, რომელსაც უჭირს გარკვევა რა არის სიმართლე, ვინ ტყუის, კარგია თუ არა საკრებულოს გადაწყვეტილება, სარგებელი მეტი მოაქვს საზოგადოებისთვის თუ ზიანი და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „იმედი“ გამოირჩეოდა „ნაციონალური მოძრაობის“ და მიხეილ სააკაშვილის კრიტიკით, ეს ხშირად ჟურნალისტების მიკერძოებულ ფრაზებშიც გამოიხატებოდა. მაგალითად, თბილისის მერობის ამ პარტიის კანდიდატი ასე წარადგინეს: „პირველი სხდომათა დარბაზში გაბრაზებული თბილისელების, ძალიან გაბრაზებული კანდიდატი ზაალ უდუმაშვილი გამოჩნდა.“

სააკაშვილის მიმართ კი ამბობდნენ შემდეგ ფრაზებს - „ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ბინადარი“, „მორბენალი შოუმენი“, „უმისამართო ექსპრეზიდენტი“ და ა.შ.

ტვ პირველი

რაოდენობრივი შედეგები

,,ტვ პირველის“ ეთერში მონიტორები ყოველდღიურ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას, „დღის ამბებს“ აკვირდებოდნენ. ამ არხზე ყველაზე ხშირად პარტია „ქართული ოცნება“ გაშუქდა, თუმცა ყველაზე უარყოფითად, მისთვის დათმობილი დროის 22% ნეგატიური იყო.

3-3%-იანი დადებითი გაშუქებით ლიდერობდნენ ადგილობრივი ხელისუფლება, „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ თბილისის მერობის კანდიდატებს შორის ყველაზე დადებითად კახა კალაძე გაშუქდა (13%).



შინაარსობრივი შედეგები

ტელეკომპანია „პირველი“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში თითქმის ყველა მნიშვნელოვან ამბავს აშუქებდა, მაგრამ არხს არ აქვს საკუთარი მოძიებული სიღრმისეული სიუჟეტები. ამბების გაშუქებისას ხშირად ე.წ. „კადრ სინქრონებით“ შემოიფარგლება. გარდა ამისა, არხის ყურებისას იგრძნობა ისიც, რომ მაუწყებელი ვერ ახერხებს თვითონ წამოწიოს რაიმე თემა.

არ იგრძნობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ დადებითი ანდა უარყოფითი განწყობები, არხი არ ერიდება მმართველი ძალის მიმართ კრიტიკული შინაარსის მასალების ეთერში გაშვებას. თუმცა სამონიტორინგო პერიოდში იყო თბილისის აწ უკვე ყოფილი მერის, დავით ნარმანიას სამწლიან საქმიანობაზე მომზადებული სიუჟეტი, სადაც ნარმანია მიკერძოებულად, განსაკუთრებით დადებითად იყო წარმოჩენილი. 5-წუთიან სიუჟეტში მხოლოდ ნარმანიას მაქებარი ტექსტები და სინქრონები ისმოდა. ჩამოთვლილი იყო ის პროექტები, რომლებიც მას დადებითად წარმოაჩენდა. არაფერი იყო ნათქვამი იმ პრობლემებზე, რომლებიც დავით ნარმანიას მერობის დროს არათუ მოგვარდა, შესაძლოა,

უფრო დამძიმდა კიდეც, მაგალითად, დედაქალაქში პარკირება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ეკოლოგიური მდგომარეობა, მიწისქვეშა გადასასვლელები და საზოგადოებრივი საპირფარეშოები, დაუსრულებელი, დროში გაწელილი ინფრასტრუქტურული პროექტები (მაგ: ზაჰესის ხიდი) და ა.შ. სიუჟეტში არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემაზე არ ყოფილა საუბარი. ერთადერთი რაც სიუჟეტში პრობლემის სახით ითქვა ის იყო, რომ წიგნი "საპატიო თბილისელები" შეცდომებით დაიბეჭდა. თუმცა მსგავსი მსუბუქი პრობლემის წამოწევა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ნარმანიას მუშაობის დროს მხოლოდ ასეთი უმნიშვნელო პრობლემები იყო.

„ტვ პირველზე" მთავარ პრობლემად პოლიტიკოსთა ბრიფინგების ცალმხრივად გაშუქება შეიძლება მივიჩნიოთ. როდესაც აშუქებენ რომელიმე პარტიის ბრიფინგს ან განცხადებას, სადაც ისმის ბრალდებები, არ ცდილობენ ბრალდების არსში გარკვევას, ფაქტების გადამოწმებას, სხვა მხარეს არ აძლევენ პასუხის გაცემის საშუალებას. ჟურნალისტები კმაყოფილდებიან მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკოსის განცხადებით. ამ ტენდენციაში არ გამოკვეთილა რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ძალისადმი მიკერძოება, თითქმის ყველას მიმართ მსგავსი დამოკიდებულებაა.

ცალმხრივად ბრალდებების გაშუქების მაგალითია 15 ნოემბერს „ტვ პირველის" ეთერში გასული მასალა თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის თანამდებობაზე ნუგზარ (ნიკოლოზ) ჭონქაძის დანიშვნასთან დაკავშირებით. როგორც მასალიდან ირკვევა ჭონქაძე სულიკო კედელაშვილის სახელით იყო რეგისტრირებული სოციალურ ქსელში და სიძულვილის ენის შემცველი პოსტებით გამოირჩეოდა. მასალაში ისმოდა ბრალდებები, თუმცა არც ჭონქაძის და არც თბილისის მერიის წარმომადგენლის კომენტარი და არც კომენტარის მოძიების მცდელობა არ ჩანდა.

სამონიტორინგო პერიოდში ასეთი რამდენიმე მაგალითი დაფიქსირდა, რაც ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპებთან თანხვედრაში არ არის. „კანდრ სინქრონიც" ისეთივე ჟურნალისტური პროდუქტია, როგორც სიუჟეტი თუ სხვა ფორმის მასალა, ამიტომაც ბრალდების ობიექტს პასუხის გაცემის საშუალება უნდა მისცეს მაუწყებელმა.

ობიექტივი

რაოდენობრივი შედეგები

„ობიექტივის" ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვების - „ახალი ამბები" მონიტორინგი ხდებოდა, რომელიც ეთერში ყოველ სამუშაო დღეს გადიოდა. საინფორმაციო გამოშვებაში ყველაზე მეტი დრო პარტია „პატრიოტთა ალიანსს" დაეთმო, ყველაზე დადებითადაც პარტიებს შორის „პატრიოტთა ალიანსი" გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 12% დადებითი ტონი იყო. ყველაზე უარყოფითად, 80%-ით „ნაციონალური მოძრაობა" გააშუქეს. მერობის კანდიდატებს შორის ყველაზე დადებითად „პატრიოტთა ალიანსის" მერობის

კანდიდატი, ირმა ინაშვილი გაშუქდა, მისთვის დათმობილი დადებითი ტონი (23%) დაახლოებით ოთხჯერ აღემატებოდა თბილისის მერობის სხვა კანდიდატების დადებით გაშუქებას.



შინაარსობრივი შედეგები

ობიექტივი ყველა სხვა არხისგან განსხვავებულ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. აშკარაა ამ არხის მიკერძოებულობა „პატრიოტთა ალიანსის“ სასარგებლოდ, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, „ობიექტივის“ დამფუძნებელია. მთელი პერიოდის განმავლობაში თვალსაჩინო იყო, რომ „ობიექტივში“ მთავარ ოპოზიციურ პარტიად „პატრიოტთა ალიანსს“ აცხადებდნენ, ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე ამ პარტიის წევრებთან წერდნენ ინტერვიუებს, საინფორმაციო გამოშვების დღის წესრიგი ხშირად „პატრიოტთა ალიანსის“ დღის წესრიგის შესაბამისი იყო. არღვევდნენ ბალანსს და ხშირად უხვევდნენ ეთიკური პრინციპებიდან ისევ და ისევ ამ პარტიის სასარგებლოდ.

ეს ტენდეცია განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო 2017 წლის 12 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის წინა პერიოდში. მეორე ტურში „ქართული ოცნების“ კანდიდატის კონკურენტი ბორჯომში „პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატი იყო. მეორე ტურის წინა დღეებში „ობიექტივის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების ძირითადი ნაწილი ბორჯომისა და მიმდებარე რაიონების სოციალურ პრობლემებს, ხელისუფლების კრიტიკასა და „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებზე ზეწოლის

შესახებ მზადდებოდა. მას შემდეგ, რაც არჩევნების მეორე ტურმა ჩაიარა და „პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატი დამარცხდა, „ობიექტივის“ ეთერში თითქმის არ გასულა სიუჟეტი, რომელიც ბორჯომის მოსახლეობის პრობლემებს ეხებოდა.

„ობიექტივი“ დიდ დროს უთმობდა სოციალურად დაუცველთა პრობლემებს, კონკრეტულად კი მოქალაქეებისთვის სოციალური შემწეობის გაუქმების საკითხს. თუმცა, როგორც წესი, შემოიფარგლებოდა მხოლოდ და მხოლოდ გაჭირვებული ადამიანების პრობლემის აღწერით და არა სიღმისეული მიზეზების ძიებით. ასევე მნიშვნელოვანი ტენდენციაა პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის მკვეთრად უარყოფით ტონში გაშუქება, რაზეც, რაოდენობრივი მონაცემებიც მიუთითებს.

„ობიექტივის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ხშირი იყო ბალანსის დარღვევის, საკითხის ზედაპირულად გაშუქების, ასევე, ტექსტებით, კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევები. გარდა ამისა, სიუჟეტში, რომელიც ეხება გაჭირვებულ ოჯახებს, ბავშვები წარმოჩენილნი იყვნენ ამ გაჭირვების საილუსტრაციო მასალად, გულის ასაჩუყებლად, რაც „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა“ და „იუნისეფის“ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, არ შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვად.

მონიტორინგის პერიოდში, ხშირად მთავარ ამბად შუქდებოდა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრების შიმშილობა პარლამენტის შენობის წინ, ქართული მარშის აქტივობები და ალიანსის წევრების მოსკოვში ვიზიტები. ეს უკანასკნელი არხის ეთერში ლამის დიპლომატიურ გარღვევად გამოცხადდა. მაგალითად, 5 ოქტომბრის პირველი სიუჟეტის მიხედვით, „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები რუსეთიდან დაბრუნდნენ. ალიანსის წევრების ზოგადი კომენტარების გარდა სიუჟეტში არ ისმოდა სხვა მოსაზრება. უფრო მეტიც, აეროპორტში „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებს საპროტესტო აქციით შეხვდნენ, მიუხედავად იმისა, რომ კადრში ჩანდა საპროტესტო შინაარსის ტრანსფარანტები, ჟურნალისტს სიუჟეტში არ უხსენებია საპროტესტო აქცია.

სამონიტორინგო პერიოდში, ობიექტივი ერთადერთი არხი იყო, სადაც ქსენოფობიური შინაარსის შემცველი კომენტარებით მომზადებული სიუჟეტი გავიდა. 10 ივლისის მასალის თანახმად, მარჯანიშვილის ქუჩის და აღმაშენებლის გამზირზე „ქართული რესტორნები თურქებმა ჩაანაცვლეს“. მოქალაქეების კომენტარები არის თურქოფობიური - „თათრები“, „არაბები“, ამ ტერმინებს სიძულვილის ენის კონტექსტში იყენებდნენ სიუჟეტში მონაწილე მოქალაქეები. ისინი ამბობდნენ, რომ აღმაშენებელზე ქართული აღარ ისმის, ქართულ საკვებს ვერ მიირთმევ და ა.შ. ეს სიუჟეტი ხელოვნურად წამოწეულ პრობლემას ჰგავდა და მხოლოდ ერთი ჯგუფის მოსაზრებები ისმოდა. არ იყო გადამოწმებული და დაზუსტებული მასში მოყვანილი ინფორმაცია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

რაოდენობრივი შედეგები

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ ეთერში ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ ხელისუფლებას დაეთმო. ყველაზე დადებითად აჭარის მთავრობა და პრემიერ- მინისტრი წარმოჩინდნენ, დათმობილი დროის 4-4%-ით. ყველაზე უარყოფითად კი - ადგილობრივი ხელისუფლება, დათმობილი დროის 18%-ით.



შინაარსობრივი შედეგები

აჭარის ტელევიზია სამონიტორინგო არხებს შორის გამოირჩეოდა თემების მრავალფეროვნებით, სოციალური თემატიკის წინ წამოწევით, ადგილობრივი პრობლემების სიღრმისეული გაშუქებით. არხის ეთერში გასული სიუჟეტების უმრავლესობა დაბალანსებული იყო, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის და აჭარის მთავრობის შესახებ კრიტიკული მასალები. არ შეიმჩნეოდა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება.

აჭარის ტელევიზიის მთავარ გამოწვევად სიღრმისეული სიუჟეტების ხარისხიანად მომზადება შეიძლება მივიჩნიოთ. ზოგჯერ ეთერში გადიოდა სიუჟეტები, რომლებიც რეგიონში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემას ეძღვნებოდა, თუმცა ჟურნალისტს არ ჰქონდა სათანადოდ მოკვლეული ფაქტები, არ ჰყავდა რელევანტური რესპოდენტები შერჩეული, რის გამოც მნიშვნელოვანი ამბავი არასრულყოფილად იყო მიწოდებული მაყურებლისთვის.

მაგალითად 14 ნოემბერს გავიდა სიუჟეტი, რომელიც ყურძნის ჩაბარების პრობლემებს მიეძღვნა. ჟურნალისტმა სიუჟეტი შემდეგი ტექსტით წარადგინა: „ქედელი ფერმერები კი სახელმწიფოს მხრიდან ყურძნის რეალიზაციის პროცესში ხელოვნური ჩარევის ფაქტებზე საუბრობენ. ამბობენ, რომ იძულებულები არიან ყურძენი ქედის ღვინის ქარხანაში ჩააბარონ, რადგან კერძო პირებზე მიყიდვის საშუალება არ ეძლევათ. მათ ქედის ღვინის ქარხნის მიერ შეთავაზებული ფასი არ მოსწონთ, სადაც ჯერ კიდევ არ დაუდგენიათ ყურძნის ღირებულება“.

სიუჟეტში მხოლოდ ერთ ადგილობრივ მცხოვრებზე დაყრდნობით ხელისუფლება დადანაშაულებული იყო თავისუფალი ბაზრის შეზღუდვაში, ყურძნის თავისუფლად გაყიდვის აკრძალვაში, რაც სერიოზული ბრალდებაა და ჟურნალისტს შესაბამისი ფაქტები უნდა მოეძიებინა, რამდენიმე წყარო და შესაბამისი მოპასუხე პირების კომენტარები უნდა შეეთავაზებინა მაყურებლისთვის, რაც, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. სიუჟეტში ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენლის კომენტარი არ იყო და არც კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანდა.

ტელეარხი 25

რაოდენობრივი შედეგები

,,ტვ 25“-ის მთავარი საინფორმაციო გამოშვების, „მაცნეს“ ეთერში ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ მთავრობას დაეთმო, ყველაზე დადებითად აჭარის მთავრობა წარმოჩინდა, მისთვის დათმობილი დროის 13% დადებითი ტონი იყო. ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდა, მისთვის დათმობილი დროის 20%-ით.



შინაარსობრივი შედეგები

„ტვ 25-ის“ საინფორმაციო გამოშვებაში გაშუქებული თემები უმრავლესად თანხვედრაშია აჭარის ტელევიზიის მიერ გაშუქებულ თემებთან, მაგალითად, ორივე არხმა მნიშვნელოვანი დრო დაუთმო თიანეთის და ოზურგეთის მერობის კანდიდატების ხელისუფლებასთან დაპირისპირების გაშუქებას. ორივე არხმა ვრცელი სიუჟეტები მიუძღვნა საკრებულოებში მანდატების გადანაწილებას.

„ტვ-25“ რეგიონის პრობლემების ფართო სპექტრს აშუქებდა, საინფორმაციო გამოშვება ფოკუსირებული იყო ადგილობრივ პრობლემებზე. ხშირად უთმობდა დროს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, თუმცა ნაკლებად ჰქონდათ ექსკლუზიური, სიღრმისეული მასალები და სიუჟეტებიც უმეტესად ზედაპირული იყო.

უმრავლეს შემთხვევაში „მაცნეში“ გასული სიუჟეტები დაბალანსებული იყო, თუმცა იყო რამდენიმე გამონაკლისი. არხი კრიტიკული იყო „ქართული ოცნებისა“ და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ და რამდენჯერმე მათ საზიანოდ ბალანსის დარღვევის ფაქტიც დაფიქსირდა. მაგალითად, 4 სექტემბერს გავიდა სიუჟეტი საარჩევნო კომისიის წევრების შესახებ. ისმოდა ბრალდებები „ქართული ოცნების“ მისამართით, რამდენიმე რესპოდენტი 5 წუთიანი სიუჟეტის განმავლობაში ამ პარტიის მიერ არჩევნების გაყალბებისთვის მზადებაზე საუბრობდა, თუმცა პარტიის არც ერთი წარმომადგენლის კომენტარი სიუჟეტში არ ისმოდა.

რიონი

რაოდენობრივი შედეგები

ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში საინფორმაციო გამოშვება „დღის ამბებში“ ყველაზე მეტი დრო პარტია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო, ყველაზე მეტი დადებითი გაშუქება ცენტრალურ მთავრობას ჰქონდა (12%), მთავრობასვე ჰქონდა უარყოფითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, - დათმობილი დროის 27%.



შინაარსობრივი შედეგები

„რიონის“ ეთერში გასულ სიუჟეტებს აკლია სიღრმე - ბალანსის დაცვისთვის პრობლემის ორივე მხარეს სთხოვენ პოზიციის გამოხატვას, თუმცა თავად პრობლემის არსი გაუგებარი რჩება, რადგან ამბავი არის არასრულყოფილად წარმოჩენილი. ბევრ შემთხვევაში, ჟურნალისტი არ ინტერესდება ანდა ვერ ახდენს საკითხის ღრმად შესწავლას და პოლიტიკოსებს მაქსიმალურად უთმობს ტრიბუნას დემაგოგიისთვის.

პირველი ტურის დასრულების შემდეგ, ფაქტობრივად, მხოლოდ ოცნების შესახებ მზადდებოდა სიუჟეტები, რომლებიც ხშირად იყო დაუბალანსებელი და განსხვავებული მოსაზრებების არ ისმოდა. უმრავლეს საკითხებზე მხოლოდ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის კომენტარი ხვდებოდა გამოშვებაში. მაგალითად, 8 ნოემბერს გავიდა ვრცელი სიუჟეტი, სადაც „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი დადებითად იყო წარმოჩენილი. მთელი სიუჟეტის განმავლობაში მხოლოდ მერობის კანდიდატის ქება-დიდება ისმოდა. ნოემბერში „რიონის“ ეთერში კიდევ რამდენიმე სიუჟეტი გავიდა, სადაც სპიკერები ძირითადად „ქართული ოცნების“ ლიდერები იყვნენ და დადებითად წარმოაჩენდნენ.

გურჯაანი

რაოდენობრივი შედეგები

ტელეკომპანია ,,გურჯაანის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ საინფორმაციო გამოშვებას „დღეს“. ამ გადაცემაში ყველაზე მეტი დრო ცენტრალურ მთავრობას დაეთმო, ყველაზე დადებითადაც ცენტრალური მთავრობა გაშუქდა (25%) ყველაზე უარყოფითად - ადგილობრივი მთავრობა. მისთვის დათმობილი დროის 17% ნეგატიური იყო.



შინაარსობრივი შედეგები

გურჯაანის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ მეტ-ნაკლებად აშუქებდა რეგიონში მიმდინარე ამბებს. სიუჟეტებს ხშირად აკლდა ფაქტები, სტატისტიკური მონაცემები და ექსპერტთა შეფასებები. პრობლემების და მოვლენებს სიღრმისეულად არ განიხილავდნენ. სიუჟეტების ქრონომეტრაჟი ხშირად აღემატებოდა 3-4 წუთს, რაც მოსაწყენს ხდიდა მასალას. საინფორმაციო გამოშვებაში იყო რუბრიკა „რეგიონს გარეთ მიმდინარე მოვლენები.“ ამ რუბრიკაში წარმოდგენილი მასალები ხშირად იყო სხვადასხვა სამინისტროების მიერ მათ ოფიციალურ ვებგვერდებზე სიახლეების სექციაში გამოქვეყნებული ამბები (როგორც ვიდეო კადრები, ისე ტექსტები). წამყვანი თითქმის არასოდეს უთითებდა, რომ ავრცელებდა სამინისტროს მიერ მომზადებულ მასალას მიუხედავად იმისა, რომ ვიდეო კადრებზე ჩანდა ოფიციალური წყაროს აღმნიშვნელი ტიტრი (www.mod.gov.ge ან www.police.ge), მაყურებლის ნაწილს შესაძლოა, დარჩენოდა შთაბეჭდილება, რომ ის უშუალოდ საინფორმაციო გადაცემის ჟურნალისტების მიერ

მომზადებულ მასალას უყურებდა. ამიტომ მნიშვნელოვანია, არხმა უფრო მკვეთრად მიუთითოს, რომ ეს სარედაქციო მასალა არ არის. ცალკე საკითხია რამდენად აუცილებელი და მნიშვნელოვანია ასეთი მასალების ხშირად გამოყენება.

სამონიტორინგო პერიოდში დაფიქსირდა ინფორმაციის ერთ წყაროზე დაყრდნობით, ბალანსის დარღვევით გაშუქების რამდენიმე ფაქტი. მაგალითად, 11 ნოემბერს, გავიდა სიუჟეტი სადაც გურჯაანის გამგებელი საკუთარი წარმატებული მმართველობის 3 წელზე საუბრობდა. არ ისმოდა განსხვავებული მოსაზრება - მხოლოდ გამგებლის თავის ქება უჩვენეს. მართლა ასეთი წარმატებული იყო თუ არა გამგებელი, რას ფიქრობდა მის საქმიანობაზე ხალხი, ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორი, სიუჟეტში ეს ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი.

27 ოქტომბერს, ეთერში გასულ კადრ-სინქრონში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ბრალს სდებს ცესკოს, რომ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად აყალბებდა არჩევნებს და ისეთი ადამიანები გაატარეს რეგისტრაციაში, რომლებიც საქართველოში არ იმყოფებიან. ამ ბრალდებაზე არც „ქართული ოცნებისა“ და არც ცესკოს პოზიცია სიუჟეტში არ იყო. არც მისი მოპოვების მცდელობა ჩანდა.

თრიალეთი

რაოდენობრივი შედეგები

„თრიალეთის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ყველაზე ხანგრძლივად ადგილობრივი მთავრობა გაშუქდა. დადებითი ტონით ცენტრალური მთავრობა ლიდერობდა (3%), ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება პარტია „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა (31%).



შინაარსობრივი შედეგები

„თრიალეთი“ გამოირჩეოდა ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სიუჟეტების სიმრავლით, თუმცა, მასში მოყვანილ ფაქტებს ხშირად აკლდა მტკიცებულებები (დოკუმენტები, სტატისტიკური მონაცემები და ა.შ).

არხი ცდილობდა ხელისუფლების მიმართ კრიტიკული ყოფილიყო, თუმცა კრიტიკა, ხშირად არა ფაქტებს, არამედ ჟურნალისტის არაარგუმენტირებულ შეფასებებს ემყარებოდა. მაგალითად, ჟურნალისტმა შემდეგი ფრაზა თქვა: „რა შეიცვლება არჩევნების მეორე ტურის შემდეგ. დიდი კითხვა არ სჭირდება, როდესაც ქვეყანაში სიღარიბე და სიდუხჭირეა გამეფებული ერთ პატარა ქალაქში ადამიანების სოციალური მდგომარეობა უკეთესობისკენ ვერ შეიცვლება.“

როგორც რაოდენობრივ მაჩვენებელშიც გამოიკვეთა, არხი კრიტიკულია ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, ბალანსიც ხშირად ხელისუფლების და „ქართული ოცნების“ საზიანოდ იყო დარღვეული.

2 ნოემბერს მომზადებულ სიუჟეტში ჟურნალისტმა ასეთი ტექსტი თქვა: „ეს არის გორის მოქმედი მერი ზურაბ ჯირკველიშვილი, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობამ 2014 წელს აირჩია. ჯირკველიშვილის არსებობის შესახებ მოსახლეობის ნაწილმა არც კი იცის“, „ხელისუფლებამ ზურაბ ჯირკველიშვილის კანდიდატურა მეორედ აღარ დაასახელა. ალბათ იმიტომ, რომ მთელი სამი წელი არაეფექტურად იმუშავა.“ „ჩვენ ცხადია დავუკავშირდით თავად ჯირკველიშილს. მისგან გვაინტერესებდა შეეფასებინა სამწლიანი მუშაობა და ყველაზე დიდი პროექტები გაეხსენებინა. თუმცა მან კომენტარზე უარი გვითხრა, ალბათ მიზეზი ყველასთვის გასაგებია - მას სათქმელი არაფერი აქვს.“- ამბობს, ჟურნალისტი. დარღვეული იყო ბალანსიც, სიუჟეტში საუბარია „ქართული ოცნების“ მიერ კანდიდატის არ დასახელების ვერსიაზე, ჟურნალისტმა კი არ სცადა ამ ვერსიების პარტიასთან გადამოწმება.

არხს ხშირად აქვს ტექნიკური პრობლემები. ეს გამოიხატება უტიტროდ გასული სინქრონებში, სიუჟეტების არალოგიკურ წყვეტებში, საინფორმაციოს წამყვანის ყოფნა-არყოფნაში, პრესკონფერენციების ყოველგვარი შესავლის გარეშე მიწოდებაში. გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როცა რამდენჯერმე სხვადასხვა დღეს გავიდა ერთი და იგივე სიუჟეტი.

არხის მაყურებელი ხშირად ისმენდა ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოვლენილი დარღვევების შესახებ. ჟურნალისტის ტექსტები მცირედით განსხვავდებოდა ან სრულად ემთხვეოდა უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებებს. იგივე შემთხვევაა თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებითაც. მნიშვნელოვანია, მედია ქმნიდეს საკუთარ კონტენტს და მაყურებელს არ სთავაზობდეს სახელმწიფო უწყებების პიარ სამსახურების მომზადებულ მასალებს

უცვლელი სახით. მსგავსი მასალები შესაძლოა გამოყენებული როგორც ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო, რომლის განვრცობასაც მოახდენს მედია, თუ ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის საინტერესოა.

ქვემო ქართლი

რაოდენობრივი შედეგები

ტელეკომპანია ქვემო ქართლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში „ქრონიკა " ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ მთავრობას დაეთმო. ყველაზე დადებითად „ქართული ოცნება" გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 14% დადებითი იყო. უარყოფითი გაშუქების ყველაზე დიდი მაჩვენებელიც „ქართულ ოცნებას" ჰქონდა, დათმობილი დროის 10%.



შინაარსობრივი შედეგები

ქვემო ქართლის საინფორმაციო გამოშვება ძირითადად ადგილობრივ თემებს ფარავს, ნაკლებად ეხებიან ცენტრალურ ამბებს. თუმცა, საკითხების გაშუქება ზედაპირულია. არ ჩანს კონკრეტული თემის სიღრმისეულად გაშლის, მოსაზრებათა მრავალფეროვნების წარმოჩენის მცდელობა.

მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების კანდიდატი ირაკლი ტაბაღუა რუსთავის მერად აირჩიეს, მის შესახებ მომზადებული სიუჟეტების აბსოლუტურ უმრავლესობაში წარმოჩენილია დადებითად. შუქდება, როგორ ესწრება მერი კონკრეტულ, თუნდაც ნაკლებად მნიშვნელოვან ღონისძიებას და როგორ გამოთქვამს აზრს ამ ღონისძიების შესახებ.

სიუჟეტები უმრავლესად დაბალანსებულია, თუმცა დაფიქსირდა ბალანსის დარღვევის რამდენიმე შემთხვევა.

27 ოქტომბერს გავიდა სიუჟეტი გარდაბანში მერის არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატის შესახებ, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ხმების 72% დააგროვა, რამდენიმე წუთიან მასალაში წამყვანის ტექსტით და გამარჯვებულის კომენტარით მხოლოდ დადებით ტონში იყო წარმოჩენილი ახალი მერი.

აღსანიშნავია, რომ 22 სექტემბერს გავიდა სარეკლამო შინაარსის შემცველი სიუჟეტი, სადაც ერთ-ერთი ტექნიკის მაღაზიის ლოგოს და პროდუქციის რეკლამირება ხდებოდა. „მაუწყებლობის შესახებ კანონით“ დაუშვებელია საინფორმაციო გადაცემაში სარეკლამო მასალის გაშვება.

მე-9 არხი

რაოდენობრივი შედეგები

მე-9 არხის მთავარმა საინფორმაციო გამოშვება „ექომ“ ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ ხელისუფლებას დაუთმო. დადებითი ტონია 13%-ით ცენტრალური მთავრობა ლიდერობდა. უარყოფითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა (31%).



შინაარსობრივი შედეგები

საინფორმაციო გამოშვება „ექო“ სრულყოფილად ვერ აშუქებდა რეგიონში მიმდინარე ამბებს და მოვლენებს. გადაცემაში გადიოდა 3-4 ადგილობრივი ამბავი. აქედან ერთი ხშირად ტელეკომპანია „ბორჯომის“ მიერ მომზადებული სიუჟეტი იყო. „მეცხრე არხი“ საინფორმაციო გადაცემაში ხშირად იყენებდა „მედიის განვითარების ფონდის” პროექტის - „მითების დეტექტორის“ ფარგლებში მომზადებულ სიუჟეტებსაც.

„ექო“ ძირითადად დაკავებული იყო პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგის აღწერით. არ იძიებდნენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებს და არ აშუქებდნენ სიღრმისეულად. უმრავლეს შემთხვევაში ამბები დაბალანსებულად იყო გადმოცემული, თუმცა იყო გამონაკლისებიც. 26 ოქტომბერს გავიდა სიუჟეტი, სადაც ოპოზიციის წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ოქმების გადასწორების გზით არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდა. მიუხედავად მძიმე ბრალდებისა, არ ისმოდა არც ერთი საპასუხო კომენტარი და არც კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანდა.

ოდიში

რაოდენობრივი შედეგები

ოდიშის საინფორმაციო გამოშვება „დრო“ ყველაზე ხშირად ადგილობრივ ხელისუფლებას აშუქებდა, ყველაზე დადებითად დამოუკიდებელი კანდიდატები წარმოჩინდნენ, (თუმცა მათ ჯამში მცირე დრო დაახლოებით 5 წუთი დაეთმოთ) ყველაზე უარყოფითად კი „ქართული ოცნება“, მისთვის დათმობილი დროის 54%-ით.



შინაარსობრივი შედეგები

„დრო“ ძირითადად დაკავებული იყო პოლიტიკური პარტიების დღის აქტივობების და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული შეხვედრების გაშუქებით. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემებს არ აშუქებდნენ სიღრმისეულად. ნაკლები დრო ეთმობოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სიღრმისეულად გაშუქებასაც. საინფორმაციო გამოშვება გადიოდა ზოგჯერ ყოველდღე, ზოგჯერ 4 დღეში ერთხელ, ხანგრძლივობა კი საშუალოდ 3-4 წუთი იყო. ხშირად საინფორმაციო გამოშვებაში მხოლოდ 1 სიუჟეტი გადაიცემოდა. ეთერი უმეტესად შევსებული იყო კადრ-სინქრონით. ხშირად ასახავდნენ მოსახლეობაში არსებულ სოციალურ პრობლემებს, თუმცა აღწერდნენ მხოლოდ ზედაპირულად. დაფიქსირდა ბალანსის დარღვევის შემთხვევებიც, როცა რესპონდენტები აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას და არ იყო ხელისუფლებისგან შესაბამისი მოპასუხის კომენტარი.

სამონიტორინგო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებაში რამდენჯერმე გავიდა სარეკლამო შინაარსის მასალა, მაგალითად 27 აგვისტოს სიუჟეტში საუბარი იყო იმაზე, რომ ზუგდიდში ერთ-ერთმა რეპროდუქციული პროფილით მომუშავე კლინიკამ უფასო გამოკვლევები ჩაატარა. სიუჟეტში ჟურნალისტის ტექსტები უმეტესად კლინიკის ქებას ეძღვნებოდა. ჟურნალისტი ამბობდა, რომ კლინიკა აღჭურვილია ულტრათანამედროვე ტექნიკით და ამერიკული ხარისხით მკურნალობს პაციენტებს. ექიმები საკუთარ კომენტარებში რეკლამას

უწევდნენ კლინიკას. თითქმის 4-წუთიანი სიუჟეტის განმავლობაში უამრავჯერ იყო ნაჩვენები კლინიკის დასახელება, მთელი სიუჟეტის განმავლობაში კადრის ქვედა მარჯვენა კუთხეში განთავსებული იყო კლინიკის დასახელება და საკონტაქტო ტელეფონი, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ სიუჟეტი იყო სარეკლამო. თუმცა ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია ჟურნალისტს და რედაქციას მაყურებლისთვის არ მიუწოდებია. აღნიშნული სიუჟეტი იგივე სახით ოდიშის 29 აგვისტოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაშიც განმეორდა. მაუწყებლობის შესახებ კანონი ცალსახად კრძალავს საინფორმაციო გამოშვებაში სარეკლამო სიუჟეტის გაშვებას. სარეკლამო სიუჟეტის შთაბეჭდილებას ტოვებდა 30 ოქტომბერს სამშენებლო კომპანია „დელუქს დეველოპმენტის“ შესახებ გასული სიუჟეტიც.

ტვ გურია

რაოდენობრივი შედეგები

ტელეკომპანია „გურიის“ ეთერში ყველაზე მეტი დრო პარტია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო, ყველაზე დადებითადაც „ქართული ოცნება“ გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 13% დადებითი იყო. ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქებაც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა მისთვის დათმობილი დროის 8%.



შინაარსობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში „გურიის“ ეთერში მწირი საინფორმაციო გამოშვება გადიოდა, ძირითადად ადგილობრივი სიახლეები და რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების ვიზიტები შუქდებოდა. ხშირი იყო ტექნიკური პრობლემები.

ამბები უმეტესწილად მიუკერძოებლად გადაიცემოდა. სამონიტორინგო პერიოდში ტელეკომპანია „გურიის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ფაქტობრივად არ გასულა სიღრმისეული მასალა, რომელიც მაყურებელს რიგ საკითხებზე ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდიდა. ყველაზე მეტი სიუჟეტი აზიურ ფაროსანას და მასთან ბრძოლას მიეძღვნა.

არხი ძირითადად ხელისუფლების წევრებს ან მმართველი პარტიის კანდიდატებს აშუქებდა, ამას ადასტურებს რაოდენობრივ შედეგებში აღნიშნული სუბიექტების მაღალი დადებითი ტონი.

ხელისუფლების დადებითად გაშუქების მაგალითია 25 სექტემბრის სიუჟეტი, რომელიც ოზურგეთელი „არწივებისა“ და ბოლნისის „ყოჩების“ რაგბის თამაშს დაეთმო. მასალაში ჩაწერილი იყო „ქართული ოცნების“ ოზურგეთის მერობის კანდიდატი, ბეგლარ სიორიძე, რომელიც მერად არჩევის შემთხვევაში თავის გეგმებზე საუბრობდა. ის დადებითად იყო წარმოჩენილი. გაუგებარია, რატომ გახდა აუცილებელი რაგბის შესახებ მასალაში მგავსი კომენტარის გაშვება მაშინ, როცა სხვა პარტიის წარმომადგენლებს იმავე თემაზე არ დაეთმოთ დრო.

რეკომენდაციები

- წინასაარჩევნო პერიოდში ტელევიზეიბმა მაქსიმალურად სამართლიანად უნდა გაუნაწილონ დრო არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს.
- მედია არ უნდა აშუქებდეს ამბებს რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ მიკერძოებულად. რაოდენობრივმა და შინაარსობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ კონკრეტული არხები კონკრეტული პოლიტიკური ძალის მიმართ ავლენდნენ მიკერძოებულ დამოკიდებულებას, რაც მიუღებელია და უნდა გამოსწორდეს.
- ბალანსის დაღვევის ფაქტები ძირითადად ე.წ. „კადრ სინქრონებში“ გვხვდება „კადრ სინქრონიც“ ჩვეულებრივი მედია პროდუქტია და მასზეც ვრცელდება ეთიკური პრინციპები.
- კვლავ პრობლემად რჩება უმრავლეს არხებზე სიღრმისეული, მოკვლევითი სიუჟეტების ნაკლებობა, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მაუწყებელზეა სასურველი მსგავსი სიუჟეტების სიმრავლე.
- მართალია წინა მონიტორინგებთან შედარებით მკვეთრადაა შემცირებული სიძულვილის ენის გამოყენება, თუმცა სასურველია მედიამ საკუთარ ეთერში

სიძულვილის ენის ტირაჟირების დაფიქსირებული ერთეული შემთხვევებიც აღკვეთოს.

- რეგიონულმა არები უნდა შეეცადნენ მიმდინარე ამბები უფრო სრულყოფილად ასახონ, მოამზადონ სიღრმისეული მასალები, წამოწიონ პრობლემები და პასუხისმგებელ პირებამდე მიიტანონ.
- რეგიონულ არხებზე სასურველია მოგვარდეს საინფორმაციო გამოშვებების პრეიოდულობის პრობლემა.
- რეგიონულ არხებზე გამოსასწორებელია ტიტრების არარსებობა და სხვა ტექნიკური პრობლემები.

სატელევიზიო ტოქშოუების მონიტორინგი

პროექტის შესახებ

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - ,,საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი“ - ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით აკვირდებოდა ტელემაუწყებლების მიერ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2017 წლის 19 აგვისტოს და დასრულდა 2017 წლის 19 ნოემბერს.

დაკვირვება ხორციელდებოდა შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25, რიონი, გურჯაანი, გურია, ქვემო ქართლი, თრიალეთი, ოდიში, მეცხრე არხი.

მეთოდოლოგია

მონიტორები აკვირდებოდნენ 14 სატელევიზიო არხის საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმტაიმში) გასულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტოქშოუებს და საინფორმაციო გამოშვების იმ ნაწილს, რომელშიც მაყურებელს სთავაზობდნენ ათ წუთზე მეტი ქრონომეტრაჟის ინტერვიუს რესპონდენტებთან.

მონიტორინგის სუბიექტებად შერჩეული იყვნენ:

- პრეზიდენტი;
- მთავრობა;
- პოლიტიკური პარტიები.

მონიტორები აკვირდებოდნენ, როგორ ჩანდნენ კვლევის სუბიექტები გადაცემებში. თითოეულ ტოქშოუს აფასებდნენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: იყო თუ არა გადაცემის თემა სათანადოდ შერჩეული, რამდენად შეესაბამებოდა მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემას, სტუმრების შერჩევისას ხომ არ იკვეთებოდა მიკერძოება,

როგორ მიმდინარეობდა მსჯელობა, რამდენად კარგად მართავდა წამყვანი დისკუსიას, როგორი იყო მისი კითხვები, იყო თუ არა წამყვანი მომზადებული, ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას ხომ არ აძლევდა სტუმრებს, გადაცემის საშუალებით ხომ არ ვრცელდებოდა სიძულვილის ენა. მთლიანობაში, მიიღებდა თუ არა მაყურებელი რაიმე დამატებით ინფორმაციას, რომელიც დაეხმარებოდა მას გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში.

ძირითადი ტენდენციები

- ტოქშოუები, ძირითადად, საარჩევნო სუბიექტების პრეზენტაციას ითვალისწინებდნენ და ნაკლებად იყო დისკუსია, რადგან წამყვანები მხოლოდ მოდერაციით შემოიფარგლებოდნენ. მათი კითხვები არ გამომდინარეობდა კანდიდატთა ხედვებიდან, საარჩევნო პროგრამებიდან. შესაბამისად, აუდიტორია ვერ იღებდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად რელევანტური იყო პოლიტიკოსთა დაპირებები და გადაიჭრებოდა თუ არა არსებული პრობლემები თუნდაც მათი შესრულების შემთხვევაში.

- 2016 წლისგან განსხვავებით, ეროვნულმა მაუწყებლებმა მკაცრად სტრუქტურირებული ტოქშოუ შესთავაზეს მაყურებელს, რომელშიც იწვევდნენ ყველა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს. შესაბამისად, ნათელი იყო გადაცემაში მონაწილე სუბიექტების მოწვევის პრინციპი. ამგვარ გადაცემაში მკვეთრი აქცენტი კეთდებოდა ფორმაზე და არა შინაარსზე. წამყვანის როლი იყო პასიური, მხოლოდ საუბრის მიმართულებას აძლევდა კანდიდატებს, შემხვედრ კითხვებს კი მაშინაც არ სვამდა, როდესაც რესპონდენტები სხვა თემაზე იწყებდნენ საუბარს.

- ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში თბილისის მერობის კანდიდატებიდან მიწვეული არ ყოფილა „შენების მოძრაობის“ კანდიდატი.

- ტელეკომპანია „იმედმა“ დებატებში თბილისის მერობის კანდიდატებთან არ მიიწვია „შენების მოძრაობისა“ და „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატები. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატი არ დაპატიჟეს ტელეიმედის მიმართ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები ხშირად არიან პოლიტიკოსების კრიტიკის ობიექტები, მაგრამ ეს გავლენას არ უნდა ახდენდეს რესპონდენტების შერჩევის პროცესზე, მითუმეტეს წინასაარჩევნო პერიოდში.

- სამ არხზე: „რუსთავი 2-ზე“, „იმედსა“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“, რომლებიც მთელ საქართველოს ფარავენ, თბილისის მერობის კანდიდატებს ერთი და იმავეს გამეორება მოუწიათ, რადგან წამყვანებისგან პრაქტიკულად არ დასმულა კრიტიკული,

არგუმენტირებული ანდა კანდიდატების საარჩევნო პროგრამებზე დაფუძნებული კითხვები. ისინი სხვადასხვა თემაზე სთხოვდნენ კანდიდატებს ხედვის წარმოდგენას, რაც მანამდეც არაერთხელ გაუმეორებიათ როგორც გადაცემებში, ასევე სარეკლამო რგოლებში.

- წამყვანების ზედაპირული კითხვები, მოუმზადებლობა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო მაშინ, როდესაც ისინი მასპინძლობდნენ თემის მცოდნე, კარგად მომზადებულ რესპონდენტებს ანდა გამოცდილ პოლიტიკოსებს.

- ზოგჯერ გადაცემაში პოლიტიკური პარტიის კანდიდატები მოწვეულნი იყვნენ როგორც საზოგადოების წარმომადგენლები, მუსიკოსი, ჟურნალისტი და სხვ. აუდიტორიას არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ ისინი კანდიდატებიც იყვნენ. განსაკუთრებით „გირჩის“ წევრები სტუმრობდნენ გადაცემებს მაშინ, როდესაც სხვა პოლიტიკური პარტიები არ იყვნენ წარმოდგენილი და ისინი ექსპერტების რანგში გამოთქვამდნენ მოსაზრებებს.

- მაუწყებლები ძირითად აქცენტს აკეთებდნენ არჩევნების პირველ ტურზე, მისი დასრულების შემდეგ აფასებდნენ არჩევნების შედეგებს, მეორე ტურს და იქ მონაწილე კანდიდატებს ტოქშოუების ყურადღება თითქმის არ დათმობია.

- მეორე ტურში მონაწილე კანდიდატებს შორის დისკუსია არ გამართულა არც იმ რეგიონის ტელეარხზე, სადაც მეორე ტურის კანდიდატებს შორის დიდი კონკურენცია იყო, მაგალითად ოზურგეთში. „გურია ტვ-ს“ ტოქშოუ პირველიდან მეორე ტურამდე მხოლოდ ერთხელ გავიდა ეთერში და მაშინაც მას საკრებულოს წევრები სტუმრობდნენ. ამ მხრივ გამონაკლისი იყო „თრიალეთი“, რომელმაც მეორე ტურში გადასული ხაშურის მერობის კანდიდატები მიიწვია.

- „ბორჯომში“ გასამართ მეორე ტურს ეროვნული მაუწყებლებიდან „ობიექტივმა“ დაუთმო დრო თავის ტოქშოუებში. ბორჯომში მეორე ტურში გადავიდა „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელი, შესაბამისად, „ობიექტივის“ ინტერესიც სავარაუდოდ ამით იყო გამოწვეული. მთლიანობაში, გადაცემას სტუმრობდა ამ პარტიის 91 წარმომადგენელი, მაშინ როდესაც სხვა პარტიებიდან მხოლოდ 8 წარმომადგენელი იყო მიწვეული; მათგან 3 ტელეფონის საშუალებით ჩაერთო. ამასთან გადაცემა გამოყენებული იყო ხალხის მობილიზებისთვის „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ორგანიზებულ აქციებში მონაწილეობის მისაღებად. გადაცემაში უხვად ისმოდა ანტიდასავლური რიტორიკა, თურქოფობია, სიძულვილის ენა, შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია, უპასუხოდ დარჩენილი ბრალდებები ოპონენტების მიმართ.

- „ობიექტივის“ გარდა, სხვა არხებზეც შეინიშნებოდა სიძულვილის ენის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა, თუმცა მას ძირითადად რესპონდენტები მიმართავდნენ. წამყვანს

უმეტეს შემთხვევაში ჰქონდა კრიტიკული, ადეკვატური რეაქცია. ზოგჯერ წამყვანები ხელს უწყობდნენ გენდერული სტერეოტიპების გაღვივებას.

- ზოგიერთმა რეგიონულმა არხმა წინასაარჩევნო პერიოდში დაწყებული გადაცემები პირველი ტურის დასრულების შემდეგ შეწყვიტა, ნაწილი კი არასტაბილურად გადიოდა ეთერში.

- ტელეკომპანია „გურჯაანი“ და „ოდიში“ გამონაკლისები არიან, რომლებმაც ტოქშოუები განსაზღვრული პერიოდულობით ვერ შესთავაზეს მაყურებელს. „გურჯაანმა“ მხოლოდ ერთხელ, „ოდიშმა“ კი 2-ჯერ მოაწყო ტოქშოუ კანდიდატების მონაწილეობით. თუმცა, აქაც წამყვანი მხოლოდ მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა და გადაცემა ტრიბუნა იყო კანდიდატებისთვის.
- რეგიონულ მაუწყებლებს მნიშვნელოვანი ტექნიკური პრობლემები ჰქონდათ, რაც უკავშირდება ხმას, ვიზუალურ მხარეს, გადაცემის შეფუთვას. ყველა ეს პრობლემა, შინაარსობრივ ხარვეზებთან ერთად, ნაკლებად მიმზიდველს ხდიდა გადაცემას აუდიტორიისათვის.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წინასაარჩევნო პერიოდში მაყურებელს შესთავაზა გადაცემა „თვითმმართველობა 2017“, რომელიც საზოგადოებას საარჩევნო კანდიდატებს აცნობდა. 18 სექტემბრიდან პირველი ტურის დასრულებამდე გადაცემა ეთერში კვირაში სამჯერ გადიოდა. 2016 წლისგან განსხვავებით, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სამი გადაცემა მუშაობდა საარჩევნო თემაზე, მათ შორის, მონიტორინგისას ყველაზე დადებითად შეფასებული გადაცემა „ინტერვიუ“, წელს ამგვარი, ე. წ. Hard Talk-ის ფორმატის, გადაცემა, რომელშიც მწვავე კითხვები დაისმებოდა, ეთერში არ გასულა. სიღრმისეული კითხვების დასმის მიზნით ახალი გადაცემა „კვირის ინტერვიუ“ ნოემბრიდან გავიდა ეთერში, თუმცა ის არ ეძღვნებოდა საარჩევნო თემატიკას. ამავე პერიოდიდან დაიწყო ტოქშოუ „აქტუალური თემა“, რომელიც ასევე ერთ რესპონდენტთან ინტერვიუს სთავაზობდა მაყურებელს.

თვითმმართველობა 2017

გადაცემას სტუმრობდნენ სხვადასხვა ქალაქის მერობის კანდიდატები. გადაცემის გუნდი ჩავიდა რეგიონებში და უშუალოდ ადგილიდან, ღია ცის ქვეშ მოწყობილი სცენა-სტუდიიდან სთავაზობდა მაყურებელს კანდიდატების სხვადასხვა ხედვას. კანდიდატების შერჩევისას დაცული იყო თანასწორობის პრინციპი. თუკი რომელიმე მოწვეული კანდიდატი გადაცემაში

არ მონაწილეობდა, წამყვანი ამის შესახებ აცნობებდა აუდიტორიას. თითოეულ მათგანს აზრის გამოხატვის და დისკუსიისთვის შერჩეულ საკითხებზე მოსაზრებების გამოთქმის თანაბარი შესაძლებლობა მიეცა.

მაუწყებლის ვებსაიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, გადაცემა კანდიდატებს შორის დებატებს ითვალისწინებდა, თუმცა, ფორმატიდან გამომდინარე, დისკუსია არ შემდგარა. რესპონდენტები მხოლოდ საკუთარ ხედვას წარადგენდნენ. გადაცემის წამყვანი პასიურად იყო, არ სვამდა დამაზუსტებელ კითხვებს. პირველ ბლოკში ყველა სტუმარს ერთსა და იმავე კითხვაზე უწევდა პასუხის გაცემა, თუ როგორ მოაგვარებდნენ ამა თუ იმ პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული პოზიციის კანდიდატები იყვნენ მიწვეული, მაინც ერთსა და იმავეს პასუხობდნენ და ამომრჩეველს ჰპირდებოდნენ პრობლემების მოგვარებას. 3 კითხვაზე/თემაზე ზოგადი პასუხის გაცემას, კანდიდატების რაოდენობიდან გამომდინარე, დაახლოებით 45 წუთი ეთმობოდა.

წამყვანის კითხვები არ გამომდინარეობდა კანდიდატების პროგრამებიდან და დაპირებებიდან. მაგალითად, 9 ოქტომბერს გორის მერობის კანდიდატები ამბობდნენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში ააშენებდნენ მუნიციპალურ თავშესაფრებს, ბაღებს ყველა სოფელში, გაზს მიაწვდიდნენ სოფლის მცხოვრებლებს. წამყვანი არ კითხულობდა როგორ, საიდან მოიტანდნენ საჭირო თანხას, რას მოაკლდებოდა ამ პრობლემის მოსაგვარებლად გამოყოფილი თანხა. წამყვანი არ აზუსტებდა, რამდენად რეალური იყო მათი დაპირება და შეესაბამებოდა თუ არა ის მათ კომპეტენციას, ანუ შეეძლოთ თუ არა საკუთარი უფლებამოსილებიდან გამომდინარე მისი შესრულება.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 9 ოქტომბერს ამავე გადაცემაში „დიმიტრი ლორთქიფანიძე - კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველოს“ გორის მერობის კანდიდატის, იოსებ სოსიაშვილის, ბიოგრაფიის წარდგენისას გამოაცხადეს, რომ ის მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების ანტიკორუფციული დეპარტამენტის შიდა ქართლის განყოფილების უფროსის მოადგილედ. სოსიაშვილმა საუბრის დაწყებისთანავე უარყო აშშ-ში მუშაობა და თქვა, რომ შსს-ში მუშაობდა. წამყვანმა უპასუხა, რომ პრესცენტრმა ასე მიაწოდა მას ინფორმაცია. რედაქციას არ გასჩენია ეჭვი, რომ აშშ-ის ანტიკორუფციულ დეპარტამენტს არ ექნებოდა შიდა ქართლის განყოფილება.

ფორმატიდან გამომდინარე, წამყვანს არ ჰქონდა შესაძლებლობა კონტრკითხვები დაესვა მაშინაც კი, როდესაც არარელევანტურ პასუხს იღებდა სტუმრებისგან. მაგალითად, 2 ოქტომბერს „დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელს წამყვანმა ჰკითხა რაჭაში გაზიფიცირების პრობლემის შესახებ, რესპონდენტის პასუხი კი გირჩის შეგროვება–მოპოვებას ეხებოდა.

შეკითხვები თითქმის იდენტური იყო ყველა ქალაქში, რაც უკავშირდებოდა მუნიციპალური ტრანსპორტის, წყალმომარაგების, განაშენიანების პრობლემას. გასაგებია, რომ ეს პრობლემები აწუხებთ მთელ საქართველოში, თუმცა მუნიციპალიტეტების მიხედვით, მაინც არსებობს ისეთი წყება საკითხებისა, რომლებიც ყველაზე მწვავედ გვხვდება მხოლოდ ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში. მაგალითად, ზუგდიდში - აზიური ფაროსანას პრობლემა; ქუთაისში - ქალაქის ფუნქციური დატვირთვის მნიშვნელობა: საპარლამენტო, საუნივერსიტეტო ქალაქი თუ საერთაშორისო აეროპორტზე მიბმული ტურისტული ცენტრი და ა. შ. ადგილობრივი სპეციფიკა არ ყოფილა გათვალისწინებული არცერთ გადაცემაში. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ქუჩაში ჩაწერილ გამოკითხვაში მოქალაქეები საუბრობდნენ სხვადასხვა პრობლემაზე, წამყვანის შეკითხვები კი არ ითვალისწინებდა მათ მიერ წამოჭრილ საკითხებს.

იმის გამო, რომ გადაცემის სტუდია ღია ცის ქვეშ იყო მოწყობილი, მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე, იქმნებოდა დამატებითი პრობლემები. მაგალითად, 29 სექტემბერს ქუთაისის მერობის კანდიდატებსა და ჟურნალისტს ძლიერ ქარში მოუწიათ რამდენიმესაათიანი საუბრის წარმართვა. ეს იწვევდა ტექნიკურ პრობლემასაც – წყდებოდა ხმა, ციმციმებდა კადრი და ა. შ.

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო გაუსაძლისი იყო გადაცემაში მონაწილეობა თბილისის მერობის კანდიდატებისთვის 19 ოქტომბერს. სცენა მოწყობილი იყო მეტეხთან ახლოს, სადაც არაერთი რესტორანია განთავსებული. გადაცემის მსვლელობისას შემოვიდა მუსიკის ხმა, რომელიც 15 წუთს გაგრძელდა. ამას მოჰყვა ფეიერვერკიც. რედაქციას უნდა ევარაუდა, რომ გასართობ ადგილებთან ახლოს ამგვარი პრობლემები მოსალოდნელი იქნებოდა. ჩანდა, რომ კანდიდატებს სციოდათ. რედაქციას უნდა შეემოწმებინა ამინდის პროგნოზი და წინასწარ გაეთვალა სავარაუდო რისკები. 13°-იანი ტემპერატურის პირობებში გადაცემა 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა.

გარდა მძიმე პირობებისა, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები წამყვანისგან შორ დისტანციაზე იყვნენ. ყველა ეს ფაქტორი იწვევდა იმას, რომ გადაცემა არადინამიკური იყო. მართალია, წამყვანი აცხადებდა, რომ კანდიდატებს შეეძლოთ დრო დაეთმოთ შეპასუხებისთვის, მაგრამ ამ შესაძლებლობას ნაკლებად იყენებდნენ. მაგალითად, რუსთავის კანდიდატებს შორის დებატები არ შედგა, მაშინ როდესაც სხვა არხზე სტუმრობისას მათ შორის იყო ცხარე კამათი და არგუმენტებით დაპირისპირება.

აქტუალური თემა

გადაცემის ფორმატის მიხედვით, სტუდიაში მოწვეულ რესპონდენტს პირველ ბლოკში კითხვებს წამყვანი უსვამდა, მეორე ბლოკში კი - ამავე არხის ჟურნალისტები, ანალიტიკოსები ანდა მოწვეული სტუმრები. ეს ფორმატი სამონიტორინგო პერიოდში ორჯერ დაირღვა. ორივე შემთხვევაში გადაცემა საზოგადოებრივ მაუწყებელს ეხებოდა. ერთის

ნაცვლად რამდენიმე სტუმარი (არხის თანამშრომლები) მოიწვიეს და კითხვებს მხოლოდ წამყვანი სვამდა. საანგარიშო პერიოდში გადაცემას სტუმრობდა მთავრობისა და მმართველი პარტიის 4 წარმომადგენელი, 2 კი ოპოზიციურ პარტიას წარმოადგენდა.

მაუწყებლის ვებგვერდზე განთავსებული აღწერის მიხედვით, გადაცემის მიზანი იყო მნიშვნელოვანი და აქტუალური თემის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციისა და არგუმენტების მიწოდება მაყურებლისთვის. თუმცა სამონიტორინგო პერიოდში გასული გადაცემების უმრავლესობა იმ კონკრეტულ დღეს არააქტუალურ საკითხებს მიეძღვნა.

მაგალითად, პირველ გადაცემაში მოიწვიეს დავით უსუფაშვილი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც არცერთ მიმდინარე აქტუალურ საკითხს არ შეხებია და საკონსტიტუციო ცვლილებებზე და საკუთარ გეგმებზე ასაუბრეს. მომდევნო გადაცემას უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია სტუმრობდა, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბერსა და ადვოკატების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე მსჯელობდა. 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედის“ დარბევასთან დაკავშირებით ეკა ბესელიას მიწვევის არგუმენტაცია გაუგებარი დარჩა.

მისასალმებელია, როცა მედია ცდილობს პირდაპირ არ მიჰყვეს დღის წესრიგს და თავად სურს შექმნას იგი, მაგრამ ამ პროცესში მნიშვნელოვანია შენარჩუნებული იყოს კავშირი მის მიერ შერჩეულ თემასა და საზოგადოების ინტერესს შორის. მედია უნდა გრძნობდეს და ითვალისწინებდეს დროის იმ კონკრეტულ მონაკვეთში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და საჯარო ინტერესს. იყო განცდა, რომ გადაცემაში თემის მიხედვით კი არ ირჩევდნენ სტუმარს, არამედ, პირიქით, თემას არჩევდნენ სტუმრის მიხედვით.

მაგალითად, 13 ნოემბერს განხორციელდა სამთავრობო ცვლილებები. იმავე დღეს გადაცემას იუსტიციის მინისტრი სტუმრობდა, თუმცა საუბარი ეხებოდა საგამოძიებო მექანიზმის შექმნას, რაც ნაკლებად აქტუალური იყო იმ დღეს. ამის გამო ფაქტობრივად არ დასმულა მნიშვნელოვანი შეკითხვები, რომლებიც სამთავრობო ცვლილებების წარდგენილ გეგმას დაუკავშირდებოდა, რაც უნდა ყოფილიყო კიდეც გადაცემის მთავარი თემა.

აღსანიშნავია, რომ გადაცემაში მოწვეული ჟურნალისტების კითხვები არაფრით განსხვავდებოდა წამყვანის კითხვებისგან, არ იყო მწვავე. შესაბამისად, გაუგებარი დარჩა, რისთვის გახდა საჭირო დამატებით ორი ჟურნალისტის მიწვევა და რატომ ვერ დასვამდა იმავე კითხვებს წამყვანი.

ზოგ შემთხვევაში გაუგებარი იყო სფეროს სპეციალისტის შერჩევის კრიტერიუმიც. მაგალითად, 7 ნოემბერს ეკა ბესელიასთან საკამათოდ მოიწვიეს ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ადვოკატი, საპროკურორო საბჭოს წევრი ირმა ჭკადუა, რომელიც არ გამოირჩევა ხელისუფლების კრიტიკით. მაგალითად, როდესაც საზოგადოება

დემონსტრაციების გზით მოითხოვდა ხელისუფლებისგან პასუხს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხტარლის, გატაცების გამო, ირმა ჭკადუა აკრიტიკებდა გატაცებულის მეუღლეს და მიანიშნებდა, რომ მუხტარლის დამცველების უკან რაღაც ძალა იდგა.

ის აქტიურად ითხოვდა რუსთავი 2-ის ჟურნალისტის თამარ ბაღაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაწყებას, ციანიდის საქმის დახურული სასამართლო სხდომიდან ინფორმაციის გასაჯაროების გამო, რასაც იურისტების ნაწილი და სამოქალაქო საზოგადოება მკაცრად შეეწინააღმდეგა. გასაჯაროვებულ მასალაში მოწმემ კორუფციულ გარიგებაში ის ეკა ბესელიასთან ერთად დაასახელა. ციანიდის საქმეში ირმა ჭკადუა პროკურატურის მოწმე იყო. მას ეკა ბესელიასთვის ოპონირება არ გაუწევია და გადაცემაც პოზიტიურ ნოტზე დასრულდა: „ჩვენ ვიცით, რომ ეკა [ბესელია] რამდენიმე წელი ისევ პარლამენტშია, რომელიც ლობირებს ადვოკატთა ინსტიტუტს, ასე რომ, ჩვენ არ გვეჩქარება, გვირჩევნია კარგად დავხვეწოთ და მივიღოთ პროდუქტი“.

წამყვანს უჭირდა სიღრმისეული კითხვების დასმა, დროული ჩაკითხვა, არგუმენტების მოშველიება, თემის გაშლა, მაგალითად, განათლების მინისტრის სტუმრობისას. გადაცემა ფაქტობრივად ვერ გასცდა მასწავლებლების დაბალ ხელფასებზე და მათ კვალიფიკაციაზე საუბარს, მაშინ როდესაც ძალიან ბევრი პრობლემა და აქტუალური თემაა ამ სფეროში. რამდენიმე შემთხვევაში წამყვანისა და ანალიტიკოსების კითხვები გამეორდა. ზოგჯერ დასმული შეკითხვები არ გამომდინარეობდა საუბრის ლოგიკური მიმდინარეობიდან.

მხოლოდ ერთხელ, 15 ნოემბერს, გადაცემაში ძირითადი ოპოზიციური პარტიებიდან მონაწილეობდა წარმომადგენელი, გიგი უგულავა, რომელიც მწვავედ აკრიტიკებდა ხელისუფლებას, ჟურნალისტები კი პოზიციონირებდნენ როგორც ხელისუფლების დამცველები – მათი ძირითადი კითხვები ტრიალებდა იმის გარშემო, თუ რა ხდებოდა უგულავას მერობის დროს. მის მოსაზრებებს უპირისპირებდნენ კითხვას - თქვენ დროს რა ხდებოდა, მაშინ ასე იყო?

გაუგებარი შეკითხვა დასვა წამყვანმა მაკა ცინცაძემ: „სტრატეგიულ საკითხებში თუ ხედავთ ქართულ ოცნებას მოკავშირედ?“ საპასუხო კრიტიკის მოსმენის შემდეგ შეცვალა კითხვა და თქვა, რომ, ზოგადად, პოლიტიკურ სპექტრში მოკავშირეს გულიხმობდა, შემდეგ ისევ შეცვალა მოსაზრება და იკითხა თუ ვის ხედავდა გიგი უგულავა მსოფლმხედველობრივ მოკავშირედ. ამ დიალოგმა აჩვენა ჟურნალისტის მოუმზადებლობა.

ამგვარი შემთხვევა იყო პირველ გადაცემაშიც (6.11), როდესაც დავით უსუფაშვილს ჰკითხა: „0,76% ქართველი ამომრჩევლით იმედგაცრუებული ხომ არ ხართ?“.

- რა ციფრია ეს, მაკა? - ჰკითხა სტუმარმა.

- 0,76%.
- რისი მაჩვენებელია?
- მოძრაობის პროცენტია?
- კი, ბატონო, ცოტა დაგიზუსტებთ.
- კი, ბატონო, თქვენ დამიზუსტეთ.

ამის შემდეგ უსუფაშვილმა პარტიის შექმნის ისტორიასა და ლოგოს ფერზე საუბარი დაიწყო

7 ნოემბერს ირმა ჭკადუამ თქვა, რომ ადვოკატმა თამარ ქუთათელაძემ რამდენიმე წლის წინ დაწყევლა პროკურორი და ამის გამო მის წინააღმდეგ საქმე განიხილება საქალაქო სასამართლოში.

- წყევლის გამო ამ დრომდე პასუხისგებაშია? - იკითხა წამყვანმა.

წყევლას, როგორც სამართალდარღვევას ან დანაშაულს, საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ არ სცნობს. ამიტომ გამორიცხულია, რომ ადვოკატს ბრალი დაწყევლაში ედებოდეს. მაყურებელი არ არის ვალდებული კარგად ერკვეოდეს კანონმდებლობაში და ამ მოკლე დიალოგით შესაძლოა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ადვოკატს, მართლაც, წყევლა ედება ბრალად. ამასთან, ადვოკატს, რომელსაც ჭკადუა გულისხმობდა, თაღლითობაში ედება ბრალი.

კონკრეტული და მომზადებული კითხვებით არც მაუწყებლის ანალიტიკოსები გამოირჩეოდნენ. ისინი ძალიან დიდ დროს უთმობდნენ კითხვების ფორმულირებას და ცდილობდნენ, მაქსიმალურად წარმოეჩინათ საკუთარი ცოდნა პოლიტიკური თეორიების მიმართულებით. შედეგად სვამდნენ რთულად ფორმულირებულ გრძელ კითხვებს. მაგალითად, ასეთი კითხვა დაისვა 9 ნოემბერს:

> *„როცა საუბარია საქართველოს ევროპულ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრაციაზე, განსაკუთრებით სოციოეკონომიკური განზომილებით, ევროპული სახელმწიფო მოგეხსენებათ გულისხმობს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფოს, სადაც თავისუფალი ბაზრის პრიმატს ანაცვლებს კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეა. თუმცა მთელი პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პერიოდში საქართველოში ჩვენ ძირითადად ვხედავდით კეთილდღეობის სახელმწიფოს, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფოს იდეის მოშლას. როგორ ფიქრობთ, უნდა გადაიაზროს თუ არა სახელმწიფომ ტრანზიციის ის მოდელი, რომელიც მან ადრეული, პოსტაბჭოთა გარდაქმნის ადრეული ეტაპიდანვე აიღო და უნდა წავიდეთ თუ არა კეთილდღეობის სახელმწიფოს გზით?“*

ანალიტიკოსები ღიად მემარცხენე იდეოლოგიის ადამიანები არიან. მათი კითხვებიც მხოლოდ ამ პერსპექტივიდან ისმებოდა, მაშინ როდესაც მაუწყებელი ვალდებულია ყველა იდეოლოგიის ადამიანის ინტერესს ემსახურებოდეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ანალიტიკოსთა იდეოლოგიის შესახებ აუდიტორიას ჰქონდეს ინფორმაცია და არ შეექმნას მოლოდინი, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით მიუკერძოებელი და ნეიტრალური იქნება მათი კითხვა.

კვირის ინტერვიუ

სამონიტორინგო პერიოდში მხოლოდ 2 გადაცემა გავიდა ეთერში. ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, აღწერის მიხედვით, ფორმატი ითვალისწინებს რესპონდენტთან ინტერვიუს პირისპირ და ყველა აქტუალურ კითხვაზე ამომწურავი პასუხის მიღებას. პირველივე გადაცემას არხის გენერალური დირექტორი ვასილ მაღლაფერიძე სტუმრობდა, თუმცა საზოგადოებაში არსებული ბევრი მწვავე კითხვის მიუხედავად, გადაცემა ფამილარულად წარიმართა. წამყვანი და რესპონდენტი ერთი პოზიციიდან საუბრობდნენ და კრიტიკული კითხვები არ დასმულა.

წამყვანის კითხვების ნაწილი მოიცავდა არასწორ ინფორმაციას და იქმნებოდა განცდა, რომ მაუწყებელს მიზანმიმართულად შეჰყავდა მაყურებელი შეცდომაში. მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებულ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების განხილვისას წამყვანმა მხოლოდ იმ მუხლის შესახებ დაუსვა კითხვა გენერალურ დირექტორს, რომელიც იმ გამონაკლისთა შორისაა, რომელთა დაკავშირებითაც სამოქალაქო საზოგადოებას პრეტენზია არ გამოუთქვამს. სამაგიეროდ, ყურადღების მიღმა დარჩა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეხება სპონსორებიდან, რეკლამიდან შემოსავლების გაზრდას. შესყიდვებთან დაკავშირებით გამონაკლისების დაშვების შესახებ ცვლილებაზე საუბრისას კი წამყვანმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელა, როდესაც თქვა, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საზოგადოებრივი მაუწყებელი იძულებულია მთელი სცენარი გამოაქვეყნოს, თუკი დეტექტიური სერიალის გადაღების შესყიდვა სურს. „ეს რომ აბსურდია, იქიდანაც ჩანს, რომ მოგვიხდა ამის გაკეთება ცოტა ხნის წინ“, - თქვა მან. კანონში ამგვარი მითითება არ არსებობს. 2 თვის წინ მაუწყებელმა სცენარი საკუთარი სურვილით გამოაქვეყნა.

გენერალურმა დირექტორმა ვასილ მაღლაფერიძემ ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის, შვილის კომპანიის მიერ მაუწყებლის ტენდერში გამარჯვების შესახებ თქვა, რომ ტენდერში მონაწილე კომპანიის სახელი არ ჩანს, შესაბამისად, საზოგადოებრივ მაუწყებელს წინასწარ არ ეცოდინებოდა, რომელი კომპანია მონაწილეობდა ტენდერში, რაც სიმართლე არ არის. კომპანიები ტენდერში ანონიმურად არ მონაწილეობენ, თუმცა წამყვანს არც ეს ინფორმაცია შეუსწორებია.

მეორე გადაცემაში, რომლის თემა სამთავრობო ცვლილებები იყო, სტუმრად მიწვეული იყო მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ცქიტიშვილი. მთლიანობაში, თემასთან დაკავშირებით ყველა მნიშვნელოვანი და საინტერესო შეკითხვა დაისვა გადაცემაში, თუმცა ფორმატი ითვალისწინებდა ე. წ. Hard Talk ტიპის ინტერვიუს, როცა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ, ზოგადად, საკითხის ირგვლივ კითხვების დასმა, არამედ, რესპონდენტის პასუხებიდან გამომდინარე, ძალიან დეტალური ჩაკითხვა, რათა კარგად გამოჩნდეს, როდის გაურბის რესპონდენტი პირდაპირ პასუხებს. წამყვანი უნდა შეეცადოს ამ პირდაპირი პასუხების მიღებას. მაგალითად, როცა რესპონდენტმა თქვა, რომ საქართველოში სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული ვითარება არ იძლევა ამ სამინისტროს შერწყმის შესაძლებლობას რომელიმე სხვა სამინისტროსთან, ხოლო გარემოს დაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ევროპის წარმატებული ქვეყნების მოდელი გადმოდის, ჟურნალისტს დამატებითი კითხვები არ ჰქონდა. მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ჟურნალისტს სწორედ ფაქტობრივი მონაცემები წარმოედგინა, თუ რა სავალალო მდგომარეობაა საქართველოში იგივე ჰაერის დაბინძურების კუთხით, მიეთითებინა, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში სასჯელაღსრულების სამინისტრო ცალკე არ არსებობს და ა. შ., რათა მაყურებელს კარგად დაენახა მთავრობის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

ინტერვიუს დასასრულს წამყვანმა აღნიშნა, რომ ივანიშვილის თქმით, იგი უარს არ ეტყოდა მთავრობას რჩევების მიცემაზე და დასვა კითხვა, ცვლილებების განხორციელებისას თუ მისცა რჩევა მთავრობას ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ჟურნალისტმა გადაცემა დაასრულა. წამყვანს შეეძლო საკადრო გადაადგილების ანალიზი გაეკეთებინა: ვინ იკავებს საკვანძო პოზიციებს და აქედან გამომდინარე ჩაჰკითხოდა რესპონდენტს, რითიც წარმოაჩენდა მართლა ჰქონდა თუ არა რაიმე გავლენა ივანიშვილს სამთავრობო ცვლილებებზე.

რუსთავი 2

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ წინასაარჩევნო პერიოდში მაყურებელს სთავაზობდა ორ ტოქშოუს: გიორგი გაბუნიას „არჩევანი“ და ეკა კვესიტაძის „აქცენტები“. „არჩევანი“ კანდიდატების ხედვას აცნობდა აუდიტორიას და აქტუალურ თემებს განიხილავდა, „აქცენტებში“ კი დისკუსია მიმდინარეობდა სხვადასხვა საკითხზე.

არჩევანი

გადაცემამ პლატფორმა დაუთმო ძირითადი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და მერობის კანდიდატებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მიწვეული არ ყოფილა „შენების მოძრაობის“ წარმომადგენელი. გადაცემის ძირითადი ნაწილი ეთმობოდა კანდიდატების ხედვას, თითოეულ მათგანს საუბრის საშუალება თანაბრად ეძლეოდა. წამყვანი ასრულებდა მოდერატორის ფუნქციას და თითოეულ კანდიდატს სთხოვდა განსაზღვრულ დროში

ეპასუხათ გამოკითხვის შედეგად შერჩეული პრობლემების მოგვარების გზებზე. სტუმრები იძლეოდნენ ზოგად დაპირებებს, რომ მოაწესრიგებდნენ პარკინგს, სანიაღვრე სისტემას, შექმნიდნენ სამუშაო ადგილებს, მაგრამ კონკრეტულად როგორ, ამას არც თავად აკონკრეტებდნენ და ფორმატიდან გამომდინარე, არც წამყვანი უწევდა ოპონირებას.

წამყვანის პასიურობა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო 9 ოქტომბერს, როცა სტუმრად ჰყავდათ მერობის 7 კანდიდატი და მათი გუნდები. თითოეული მათგანი დაახლოებით ნახევარ საათს საუბრობდა. შედეგად, 4 საათის განმავლობაში მაყურებელი ისმენდა მხოლოდ მათ მონოლოგებსა და დაპირებებს, რომელთაც მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში იმეორებდნენ. ჟურნალისტი, მთლიანობაში, მხოლოდ 20 წუთის განმავლობაში საუბრობდა.

9 ოქტომბრის გარდა, სხვა დღეებში „არჩევანის“ მეორე ბლოკში კითხვების დასასმელად მიწვეული იყვნენ იმ რეგიონის ჟურნალისტები, საიდანაც კანდიდატები სტუმრობდნენ გადაცემას, რაც გადაცემის უფრო ინფორმაციული და დინამიკური ნაწილი იყო. თუმცა, ჟურნალისტების ნაწილი სვამდა ზოგად კითხვებს, მაგალითად, როგორ მოაგვარებთ სოციალურ, სატრანსპორტო და ა. შ. პრობლემას. ამ ბლოკში უმჯობესი იქნებოდა, ჟურნალისტებს კანდიდატების პროგრამა წინასწარ სცოდნოდათ და აქიდან გამომდინარე დაესვათ კონკრეტული კითხვები, რათა ამომრჩევლისთვის ცხადი გამხდარიყო, თუ რამდენად შეუძლია კანდიდატს გაცემული დაპირების შესრულება. შედარებით კრიტიკული და კონკრეტული იყო დედაქალაქის კანდიდატების მიმართ დასმული კითხვები, რამაც კარგად წარმოაჩინა სახელისუფლებო კანდიდატის პოზიცია მწვავე და კრიტიკული საკითხების მიმართ.

არჩევნების დასრულების შემდეგ გადაცემაში აქტუალური საკითხები განიხილებოდა და ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ ინფორმაცია სწორედ ამ გადაცემის საშუალებით გახდა ცნობილი. მაგალითად, 24 ოქტომბერს ეთერში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა, ზაქარია ქუცნაშვილმა პრაქტიკულად აღიარა მმართველ ძალის ნეპოტიზმი, გარიგებებში მონაწილეობა და არაკვალიფიციური კადრების წინ წამოწევა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ გადაცემაში აშკარა იყო მიკერძოება. მაგალითად, 7 ნოემბერს „არჩევანი“ მიეძღვნა „ნაციონალური მოძრაობის” წევრის, გიორგი ონიანის, დაკავებას. მთელი ბლოკის განმავლობაში საუბრობდნენ ერთი პოლიტიკური ძალის, „ნაციონალური მოძრაობის“, წევრები, რომლებიც ბრალს სდებდნენ ხელისუფლებას დიქტატორული რეჟიმის დამყარებაში, გიორგი ონიანის პოლიტიკურ დევნაში, ფეოდალური წესწყობილების ჩამოყალიბებაში, ძალაუფლების უზურპაციასა და სხვა მრავალ დანაშაულში. სტუდიაში არ იმყოფებოდა ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც ამ ბრალდებებს უპასუხებდა, არც წამყვანს გაუწევია ოპონირება.

31 ოქტომბერს კი მაყურებელს შესთავაზეს ინტერვიუ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან, ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელ მიხეილ სააკაშვილთან. წამყვანი მის ერთგვარ ჰეროიზაციას ცდილობდა, თუმცა რამდენიმე ფაქტობრივი უზუსტობა დაუშვა, როდესაც თქვა: „ის (მიხეილ სააკაშვილი) ერთი კვირაა კარავში ცხოვრობს“, ან „ეს შეიძლება ბოლო ინტერვიუ იყოს პირდაპირ ეთერში, რადგან შესაძლოა ნებისმიერ დროს დააპატიმრონ“. ამ განცხადებების საპასუხოდ წამყვანს თავად სააკაშვილმა შეუსწორა: „დავიწყოთ იქიდან, რომ კარავში არ ვცხოვრობ, სამი ღამე გავათენე იქ, მაგრამ არასოდეს გამომიცხადებია, რომ იქ ვაპირებ ცხოვრებას... ეს ერთი და მეორეც, ვინ გითხრათ, რომ დღე-დღეზე დამაპატიმრებენ? ეგ არის სრული სისულელე“.

აქცენტები

წინასაარჩევნო პერიოდში გადაცემის პირველი ბლოკი მაყურებელს სთავაზობდა დისკუსიას კონკრეტულ თემაზე, მეორე ბლოკში კი ჟურნალისტის კითხვებს, მწვავე დისკუსიის (ე. წ. Hard Talk) ფორმატით, თბილისის მერობის კანდიდატები პასუხობდნენ. გადაცემა იყო დინამიკური და ხშირ შემთხვევაში მაყურებელი ბევრ ახალ ინფორმაციას იგებდა სადისკუსიო თემების შესახებ. წამყვანი ცდილობდა ყოფილიყო შემტევი და კრიტიკული, თუმცა ზოგჯერ რესპონდენტების პასუხებს ფაქტობრივი მონაცემების, ამონარიდების ნაცვლად, მხოლოდ ირონიას უპირისპირებდა. ამასთან, იყო შემთხვევები, როდესაც კითხვისას დაშვებული ფაქტობრივი უზუსტობების გამო რესპონდენტების კრიტიკაც დაიმსახურა. მაგალითად, 9 სექტემბერს, კახა კუკავას სტუმრობისას, წამყვანმა თქვა, რომ ის კანდიდატად ნინო ბურჯანაძის პარტიამ წარადგინა, როდესაც სინამდვილეში კ. კუკავა ორი პარტიის ბლოკის მიერ იყო წარდგენილი. ამ, ერთი შეხედვით, მცირე უზუსტობამ სტუმარს საშუალება მისცა, რომ ჟურნალისტი გაეკრიტიკებინა მოუმზადებლობის გამო. წამყვანს ასეთივე ბრალდება წაუყენა კიდევ ერთმა კანდიდატმა, ირმა ინაშვილმა (16.09). წამყვანმა ჰკითხა რესპონდენტს, რატომ არ გამოთქვამდნენ პროტესტს ხმამაღლა ის და მისი პარტია საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, მაშინ როცა ყველა სხვა ოპოზიციური პარტია და სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი აპროტესტებდა მას. რესპონდენტმა უპასუხა, რომ წამყვანი მოუმზადებელი იყო, რადგან პარტია აქტიურად აკრიტიკებდა აღნიშნულ პროცესს და ეს, მართლაც, ასე იყო.

თბილისის მერობის კანდიდატებთან დიალოგი ნაკლებად იყო ფოკუსირებული კონკრეტულ საარჩევნო ხედვაზე. უმჯობესი იქნებოდა, მეტი სიღრმისეული და ფაქტობრივი შეკითხვები დასმულიყო კონკრეტულ დაპირებებთან დაკავშირებით, ჟურნალისტს გაეწია არგუმენტირებული ოპონირება და აუდიტორიას გაეგო, რამდენად რელევანტური იყო კანდიდატის ხედვა.

არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ გადაცემა დაეთმო მიმდინარე აქტუალურ თემებს. წამყვანის თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლები, შეთავაზების მიუხედავად, არ მონაწილეობდნენ გადაცემაში. შედეგად, მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკა უპასუხოდ რჩებოდა. წამყვანის კითხვები იყო არგუმენტირებული, ლოგიკური, ცდილობდა ეჩვენებინა თემის მთლიანი კონტექსტი.

იმედი

წინასაარჩევნო პერიოდში ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში კვირაში ერთხელ გადიოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა „ამომრჩევლის პირისპირ“.

ამომრჩევლის პირისპირ

გადაცემა საშუალებას აძლევდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და მერობის კანდიდატებს საკუთარი ხედვა წარედგინათ მოქალაქეებისთვის. თუმცა მიწვეულებს შორის არ აღმოჩნდნენ „ლეიბორისტული პარტიისა“ და „შენების მოძრაობის“ კანდიდატები. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ ამის მიზეზი გახდა „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის შეურაცხმყოფელი განცხადებები „იმედის“ მიმართ. ჟურნალისტები ხშირად ხდებიან პოლიტიკოსების კრიტიკის ობიექტები და ეს არ უნდა ახდენდეს გავლენას რესპონდენტების შერჩევის პროცესზე, მითუმეტეს წინასაარჩევნო პერიოდში. „შენების მოძრაობის“ კანდიდატის არყოფნა კი ტექნიკური პრობლემებით აიხსნა, რაც ასევე არ არის გასამართლებელი მიზეზი. მაუწყებელს ვალდებულება აქვს სამართლიანად მოეპყროს კანდიდატებს.

გადაცემის ფორმატი არ იყო განსაზღვრული. ზოგჯერ პირველ ბლოკში მერობის კანდიდატები მონაწილეობდნენ, ზოგჯერ კი მიმდინარე ამბებზე მსჯელობდნენ. ზოგიერთ გადაცემაში მეორე ბლოკი პარტიულ პრეზენტაციას ეთმობოდა, ნაწილში კი პარტიის პრეზენტაცია პირველ ბლოკში გაიმართა.

წამყვანი თითოეულ სტუმარს თანაბარ დროს უთმობდა სასაუბროდ. მის მიერ საარჩევნო სუბიექტებისთვის დასმული კითხვები იყო ზოგადი, რაც გამომდინარეობდა ქუჩაში გამოკითხული მოსახლეობის პასუხებიდან. მაგალითად, თუ როგორ მოაგვარებენ წყალმომარაგების, გარე ვაჭრობის, ინფრასტრუქტურის პრობლემებს. ფაქტობრივად, წამყვანს მხოლოდ მოდერატორის ფუნქცია ჰქონდა, ვინაიდან არ სვამდა დამაზუსტებელ, კრიტიკულ კითხვებს, არ წარადგენდა კონტრარგუმენტებს. შედეგად, გაურკვეველი რჩებოდა, რამდენად შეეძლოთ კანდიდატებს პრობლემების მოგვარება და რამდენად რეალური იყო მათი დაპირება.

ასევე კრიტიკული შეკითხვების გარეშე ჩაიარა თბილისის მერობის კანდიდატების სტუმრობამ 10 ოქტომბერს. რესპონდენტები, ძირითადად, თავისუფალი მონოლოგის რეჟიმში საუბრობდნენ, ზოგჯერ არც პასუხობდნენ კითხვას და სხვა თემაზე მსჯელობას ამჯობინებდნენ. ასევე კანდიდატები, განსაკუთრებით კალაძე–ელისაშვილი, ეჭრებოდნენ ერთმანეთს საუბარში და წამყვანი ვერ ახერხებდა სიტუაციის მართვას.

იყო შემთხვევები, როდესაც გადაცემაში რესპონდენტის მხრიდან ისმოდა ქსენოფობიური და სექსისტური გამონათქვამები. მაგალითად, 19 სექტემბერს კახა კუკავამ ითქვა, რომ *„ჩვენ ხელი უნდა შევუშალოთ არაბული, თურქული კვარტლების მშენებლობას, ეს არის მავნებლობა და ჩვენ კანონის და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით უნდა დავიწყოთ ამ მიგრანტების დეპორტაცია“.* წამყვანის მხრიდან შესაბამისი კითხვების არარსებობის გამო გაუგებარი დარჩა, რას ნიშნავდა თურქული და არაბული კვარტლები, კონკრეტულად სად ეგულებოდა ასეთი კვარტალი კანდიდატს? როგორ აპირებდა ამ კვარტლების მშენებლობისთვის ხელის შეშლას, თანაც „კანონის და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით? რატომ არის მავნებლობა ასეთი კვარტლების არსებობა, (თუკი საერთოდ არსებობს), რომელი მიგრანტების დეპორტაციას აპირებდა კუკავა?

26 სექტემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ პირველმა ნომერმა, ნიკა მელიამ, სექსისტური გამონათქვამები გამოიყენა „ქართული ოცნების“ პირველი ნომრის, მარიკა დარჩიას, მიმართ. მას, სახელის ნაცვლად, მიმართავდა მხოლოდ სიტყვით „ქალბატონო“. „არ ვგრძნობ კომფორტულად თავს, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ქალბატონი ბრძანდებით“, - თქვა მან. წამყვანს არ მიუთითებია მელიასთვის, რომ ორივე კანდიდატი სიის პირველი ნომერი იყო, მათ თანაბარი სტატუსი ჰქონდათ და არ შეიძლებოდა სქესის გამო კანდიდატის დაკნინება.

მანიპულაციური იყო 19 სექტემბერს წამყვანის შესავალი ტექსტი: *„საარჩევნო კამპანიების უკანონო გზებით მხარდაჭერის ცდუნება ძალიან დიდია. დასავლეთის ქვეყნებს ათწლეულები დასჭირდათ ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ჩვენ კი ჯერ კიდევ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, სადაც ხშირად, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, გვესმის, რომ მმართველი გუნდი წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს. არც სამთავრობო გუნდი ერიდება თავის მართლებას“*. რეალურად ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების არაერთი ფაქტი არსებობს, რასაც ადასტურებს სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები, მედიით გავრცელებული ინფორმაცია. შესაბამისად, წამყვანის მხრიდან გაკეთებული განცხადება, რომ ბრალდებების მტკიცებულება არ არსებობს, მაყურებელს მიანიშნებდა, თითქოს მსგავსი დარღვევები არ არსებობდა.

არჩევნების დასრულების შემდეგ გადაცემა მიმდინარე თემებს ეთმობოდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ნაკლებად ჩანდა წამყვანის მომზადების დონე და იგი კვლავაც მოდერატორის ფუნქციის შესრულებას ამჯობინებდა.

ქრონიკა

შაბათის საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“ იყო შემთხვევები, როდესაც გადაცემაში ჩართეს მონიტორინგის სუბიექტები და მათთან ინტერვიუ შესთავაზეს მაყურებელს. სადისკუსიო თემა ახალი ამბებიდან გამომდინარეობდა და რამდენიმე შემთხვევაში რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ წამყვანი მიკერძოებული იყო ხელისუფლების წარმომადგენელთა სასარგებლოდ. მაგალითად, 23 სექტემბერს ვენეციის კომისიის დასკვნის შესახებ საუბრობდნენ ირაკლი აბესაძე „ევროპული საქართველოდან“ და მამუკა მდინარაძე „ქართული ოცნებიდან“. წამყვანს გაუჭირდა იურისტების დებატებს გამკლავებოდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტი კრიტიკულად იყო განწყობილი არა ხელისუფლების, არამედ ოპოზიციის წარმომადგენლის მიმართ. მას არ შეუწყვეტინებია საუბარი მამუკა მდინარაძისთვის, როცა ის გაუგებარი არგუმენტებით ცდილობდა ოპოზიციონერის დისკრედიტაციას. მისი თქმით, კონსტიტუციაზე მსჯელობისას ირაკლი აბესაძე ანტიდასავლური პარტიების პოზიციას იზიარებდა. *„კონსტიტუცია აერთიანებთ, ანუ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლებივით ფიქრობენ ეს ადამიანები? რა ვიფიქროთ ამ შემთხვევაში?“.* ჟურნალისტი საშუალებას აძლევდა დეპუტატს გაეგრძელებინა მსჯელობა სხვა საკითხებზე და, რომ არა აბესაძის დაჟინებული მცდელობა, ეპასუხა ოპონენტისთვის, ეს „არგუმენტი“ დარჩებოდა „არგუმენტად“.

არჩევნების დასრულების შემდეგ მონიტორინგის სუბიექტები იშვიათად მონაწილეობდნენ გადაცემაში. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სტუმრების მოწვევა მიზნად ისახავდა არა რაიმე დამატებითი ინფორმაციის მიღებას, არამედ საეთერო დროის შევსებას.

ტვ პირველი

ტელეკომპანია „პირველი“ დღის განმავლობაში აუდიტორიას რამდენიმე ტოქშოუს სთავაზობდა, თუმცა მონიტორინგში მოხვდა მხოლოდ საღამოს 8 საათზე გასული გადაცემები. აგვისტოს თვეში გადაიცემოდა „დღის ამბები“, სექტემბერში კი მცირედ შეიცვალა სამაუწყებლო ბადე და სხვადასხვა დღეს განსხვავებული ტოქშოუ გადიოდა ეთერში – „რეაქცია“, „ხალხის პირისპირ“, „პოლიტმეტრი“ და „პირველები“. არხი ცდილობდა წინასაარჩევნო პერიოდში როგორც პარტიების, ისე მერობის კანდიდატების ხედვა გაეცნო აუდიტორიისთვის.

არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ ყველა გადაცემა მიმდინარე ამბებს განიხილავდა და შინაარსობრივად პრაქტიკულად აღარ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

დღის ამბები

მონიტორინგის დასაწყისში გადაცემა ეთერში გადიოდა ყოველდღე. ტოქშოუში უმეტესად დღის აქტუალური საკითხები განიხილებოდა. სწორედ ამ საკითხებზე ცდილობდნენ წამყვანები დამატებითი ინფორმაცია მიეღოთ სტუმრებისგან. ჟურნალისტები არ ავლენდნენ მიკერძოებას და სამართლიანად ანაწილებდნენ დროს სტუმრებს შორის. ძირითად შემთხვევაში სტუმრები იყვნენ რელევანტურები.

ხალხის პოლიტიკა

გადაცემა კვირაში ერთხელ გადიოდა ეთერში და ითვალისწინებდა დებატებს როგორც მერობის კანდიდატებს შორის, ისე სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. საარჩევნო ფორმატში გადასვლამდე იყო შემთხვევები, როდესაც გადაცემა მთლიანად სტუმრების ურთიერთბრალდებებსა და დაპირისპირებაზე იყო აგებული და ნაკლებად ისახავდა მიზნად აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდებას. მაგალითად, ასეთი იყო 4 სექტემბერის გადაცემა, სადაც საათ-ნახევრის განმავლობაში განიხილავდნენ სახელმწიფო თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელების დანიშვნის საკითხს და ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები, რესპონდენტების მიერ ერთმანეთის შეურაცხყოფა.

რაც შეეხება მერობის კანდიდატების სტუმრობას, წამყვანი ყველას თანაბრად უთმობდა დროს (თუმცა ეს დრო არ იყო მექანიკურად გადანაწილებული) და სტუმრებს შესაძლებლობას აძლევდა, რომ სრულყოფილად გაეცათ პასუხი. მნიშვნელოვანია, რომ გადაცემაში სტუმრებს ჰქონდათ საშუალება გაეკეთებინათ რეპლიკა ერთმანეთისთვის, შეპასუხებოდნენ, დაესვათ კონტრკითხვა. ზოგ შემთხვევაში დისკუსია მწვავდებოდა, თუმცა წამყვანი მართავდა მას. სადისკუსიო საკითხები მოიცავდა აქტუალურ თემას იმ რეგიონისთვის, სადაც კენჭს იყრიდნენ კანდიდატები. წამყვანი სვამდა დამაზუსტებელ კითხვებსაც, ლოგიკურად ავითარებდა დისკუსიას. თუმცა 11 სექტემბერს, როდესაც „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა თქვა, რომ „ქალაქი ჩააბარეს თურქებს“ და ქალაქი „მიდის ნგრევისკენ“, წამყვანმა ოპონირება არ გაუწია, მხოლოდ ჰკითხა: „ანუ რას ეუბნებით ამომრჩევლებს?“.

პირველი ტურის დასრულების შემდეგ პოლიტიკოსები რამდენიმე შემთხვევაში სტუმრობდნენ გადაცემას და როგორც არჩევნებამდე, ისე შემდგომშიც ტოქშოუ ძირითადად ოპონენტებს შორის ურთიერთბრალდებების ფონზე მიმდინარეობდა. 13 ნოემბერს გადაცემაში სამთავრობო ცვლილებები განიხილეს. უმრავლესობის წევრს, გია ვოლსკის, წამყვანმა თითოეული მინისტრის შესახებ ჰკითხა, თუ რატომ შეცვალეს ისინი. საპასუხოდ ვოლსკიმ მინისტრის პიროვნულ თვისებებს გაუსვა ხაზი. წამყვანს შეეძლო მინისტრ გახარიას პროფესიულ ღირსებებზე გაემახვილებინა ყურადღება და ეკითხა რესპონდენტისთვის, კონკრეტულად რა დამსახურების საფუძველზე შეაჩერა პრემიერ-მინისტრმა მისი კანდიდატურა. ჟურნალისტს უფრო მკაფიო კითხვები უნდა დაესვა,

თუნდაც რა მიზანი აქვს სტრუქტურულ ცვლილებებს, რამდენი ადამიანი გათავისუფლდება სამინისტროების შერწყმის შედეგად. ასევე წამყვანს შეეძლო მოეძიებინა ინფორმაცია, სულ რა თანხა იხარჯებოდა გაუქმებულ სტრუქტურებში მომუშავე ადამიანების ხელფასებსა და სხავადასხვა პროექტზე და შემცირდება თუ არა ეს თანხა ცვლილებების შედეგად.

რეაქცია

გადაცემაში აქტუალურ თემებს ბევრი რესპონდენტის მონაწილეობით განიხილავდნენ. პირველი ტურის დასრულების შემდეგ პოლიტიკოსები ნაკლებად სტუმრობდნენ გადაცემას. ზოგიერთ შემთხვევაში დისკუსია ურთიერთბრალდებების რეჟიმში მიმდინარეობდა, ნაკლებად იყო შესაძლებელი ინფორმაციის, ანალიზის მიღება. ასეთ დროს წამყვანი ვერ ახერხებდა სტუმრების მოდერაციას. ისმოდა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, სიძულვილის ენა.

მაგალითად, ასეთ რეჟიმში წარიმართა 21 სექტემბრის გადაცემა, რომელიც ქსენოფობიურ ე. წ. „ქართულ მარშს“ ეძღვნებოდა. ტოქშოუში რაოდენობრივადაც სჭარბობდნენ „ქართული მარშის“ წარმომადგენლები. ჩანდა, თითქოს ისინი ცდილობდნენ საქართველოს გადარჩენას, თავს სწირავდნენ ქვეყანას და ყველა სხვა მათ ებრძვის. შეურაცხმყოფელი და ჰომოფობიური იყო ერთ-ერთი რესპონდენტის, ლადო სადღობელაშვილის, გამოსვლა. მან თბილისის მერობის კანდიდატ გიორგი ვაშაძის ძმას „მამათმავალი“ უწოდა, რა დროსაც წამყვანმა ეთერიდან გათიშა, ბოდიში მოიხადა და დადო პირობა, რომ ამდენ სტუმარს აღარ მოიწვევს ეთერში. მიუხედავად ამისა, გადაცემა დასრულდა სანდრო ბრეგაძის სიძულვილის ენის შემცველი სიტყვით. წამყვანმა ვერ შეძლო მისი შეჩერება. სწორედ მისი პასუხისმგებლობაა ისე შეარჩიოს სტუმრები, რომ საკუთარი გადაცემა არ აქციოს სიძულვილის ენის პლატფორმად. მისივე მოვალეობაა, მოწვევის შემთხვევაში ოპონირება გაუწიოს იმ პირებს, რომლებიც სიძულვილის ენას იყენებენ და ისე წარმართოს დისკუსია, რომ აჩვენოს მათი რეალური სახე, რათა არ მისცეს ტრიბუნა სხვათა დისკრედიტაციისა და ფაქტობრივი უზუსტობების გავრცელებისთვის.

ზოგიერთ შემთხვევაში გაურკვეველი იყო სტუმართა შერჩევის პრინციპი. 24 ოქტომბერს არჩევნების შედეგებს აფასებდნენ ხელოვანები. გადაცემის სტუმარი იყო მაია დათუნაშვილიც, რომლის წარდგენისას წამყვანმა აღნიშნა, რომ ის ჟურნალისტია და თან არჩევნებზე კენჭსაც იყრიდა. ცალსახად რთულია თქმა, ის გადაცემაში საუბრობს, როგორც ყოფილი კანდიდატი „პატრიოტთა ალიანსიდან“, თუ როგორც ცნობილი სახე. თუკი ის მიწვეული იყო როგორც კანდიდატი, მაშინ გაურკვეველია რატომ სხვა კანდიდატები არ მონაწილეობდნენ გადაცემაში და რა ნიშნით შეირჩა ის. ასევე დარბაზში სტუმრად იყო თინათინ დარბაიძე. მას ტიტრში სამოქალაქო აქტივისტი ეწერა, მაგრამ თვითონ თქვა, რომ მაჟორიტარობის კანდიდატი იყო პარტიიდან „ახალი საქართველო“.

ამავე გადაცემაში კვლავ ჩართეს „ქართული მარშის“ ლიდერი გია კორკოტაშვილი, რომელიც, როგორც ყოველთვის, ჰომოფობიური განცხადებებით გამოირჩეოდა. გაუგებარი დარჩა, რატომ უნდა მოესმინა აუდიტორიას, ვის მისცა ხმა მაინცადამაინც გია კორკოტაშვილმა, რომელიც მუდმივად სიძულვილის ენას იყენებს. ამიტომაც წამყვანის მხრიდან რეპლიკა: „ჩემთვის წარმოუდგენელია ამის ეთერში გაშვება, ახლა გაგითიშავთ ეთერს“, ფორმალობად დარჩა. სამონიტორინგო პერიოდში, 4 თვის განმავლობაში, გია კორკოტაშვილი, სხვა არხებთან შედარებით, ყველაზე მეტჯერ, 4-ჯერ, ამ გადაცემას სტუმრობდა.

მართალია, მომდევნო გადაცემაში, რომელიც ფეხბურთელ გურამ კაშიას წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას ეძღვნებოდა, მის მიერ ანტიჰომოფობიური სამკლაურის გაკეთების გამო, წამყვანმა ღიად დააფიქსირა სარედაქციო პოზიცია და მხარდაჭერა ლგბტ ადამიანების მიმართ, მაგრამ სამონიტორინგო პერიოდში „რეაქცია“ იმ იშვიათ გადაცემებს შორის იყო, რომლებიც სწორედ სიძულვილის ენის ტირაჟირებისთვის არაერთხელ გამოიყენეს.

ზოგჯერ წამყვანის კითხვები გრძლად იყო ფორმულირებული, ზოგჯერ კი როდესაც რესპონდენტი კითხვაზე პასუხს იწყებდა, აწყვეტინებდა და სრულიად სხვა საკითხზე უსვამდა შეკითხვას. ზოგ შემთხვევაში საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას, როდესაც სტუმარი სასურველი მიმართულებით იწყებდა საუბარს. მაგალითად, 19 ოქტომბერს, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარეს, ირაკლი კობახიძეს, ჰკითხა, არის თუ არა ის თბილისის მერობის კანდიდატის, კახი კალაძის, პროტეჟე, პარლამენტის თავმჯდომარემ თავი აარიდა პასუხს და საუბარი დაიწყო მერობის კანდიდატის მიღწევებზე. წამყვანმა საკუთარ კითხვაზე პასუხის გაცემა აღარ მოითხოვა, თემა საერთოდ შეცვალა და დაინტერესდა, რამდენად არსებობს რისკი იმისა, რომ კალაძე ოპოზიციაში გადავიდეს.

ზოგიერთ გადაცემაში წამყვანი საკუთარი დღის წესრიგის ნაცვლად მიჰყვებოდა რესპონდენტების მიერ წამოწეულ თემებს და მათ ირგვლივ ითხოვდა პასუხებს (მაგ., 19.09).

პირველები

„პირველებს“ ტელეკომპანიის სამი წამყვანი უძღვნებოდა. გადაცემა ეთერში წინასაარჩევნოდ გადიოდა და პოლიტიკურ პარტიებს პრეზენტაციის საშუალებას აძლევდნენ. საანგარიშო პერიოდში გადაცემაში მოწვეული იყო ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტია და ასევე თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი ალექსანდრე ელისაშვილი. განსხვავებით პირველი სამი გადაცემისგან, რომლებშიც სტუმრობდნენ „ნაციონალური მოძრაობა“, „პატრიოტთა ალიანსი“ და ალექსანდრე ელისაშვილი, მონიტორინგის ბოლოს, პარტიებს, 2 საათის ნაცვლად, ერთი საათი დაეთმოთ. აუდიტორიისთვის უცნობი დარჩა ამგვარი არათანაბარი გადანაწილების მიზეზი.

ფორმატის მიხედვით, სტუდიაში მიწვეული იყვნენ პარტიის ლიდერები, მერობის კანდიდატები, მხარდამჭერები. წამყვანები გადაცემის დასაწყისში პარტიის შესახებ მცირე ისტორიულ მიმოხილვას სთავაზობდნენ მაყურებელს, რის შემდეგაც უკვე პარტიებს აძლევდნენ საკუთარი ხედვის წარდგენის საშუალებას.

ჟურნალისტები სვამდნენ ლოგიკურ კითხვებს. რამდენიმე გადაცემაში ისინი კარგად უწევდნენ ოპონირებას პოლიტიკოსებს. მაგალითად, 28 სექტემბერს დიდი დრო დაეთმო სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარებაზე, ასევე ინვესტიციების მოზიდვაზე „პატრიოტთა ალიანსის“ შეხედულებებს. წამყვანმა მოახერხა ეჩვენებინა აუდიტორიისთვის რამდენად რელევანტური იყო მათი დაპირებები და ხედვა, ასევე საინტერესო კითხვები დაისვა ამ პარტიის რუსეთთან ურთიერთობასთან დაკავშირებით.

ამისგან განსხვავებით, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ (22.09) დიდი დრო დაეთმო იმას თუ ვინ არის პარტიის ლიდერი, ვისი პარტიაა დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ და ა. შ. შედარებით ნაკლები დრო დაეთმო თავად პარტიის საარჩევნო პროგრამას და კანდიდატებს. წამყვანების კითხვები იყო ლოგიკური, თუმცა იძლეოდა მხოლოდ ზოგად სურათს. გადაცემისას სტუმარი გრიგოლ ვაშაძე გააღიზიანა შეკითხვებმა. მან შეიგინა, მაგრამ წამყვანებს ჰქონდათ ადეკვატური რეაქცია და ვაშაძეს მიუთითეს, რომ არასწორად მოიქცა. „ლეიბორისტულ პარტიასთან“ კი დიდი დრო დაეთმო პარტიის წარსულ გამოცდილებას თვითმმართველობის არჩევნებზე, რაც 2017 წელს ნაკლებად საინტერესო იყო.

სუსტი იყო წამყვანების ოპონირება „ევროპულ საქართველოსთან“. 13 ოქტომბერს, მათი სტუმრობისას, აქცენტი გაკეთდა კვლავ „ნაციონალურ მოძრაობისგან“ გამოყოფაზე და მასთან ურთიერთობაზე. „აქამდე ხომ ბევრჯერ იკითხეთ ეგ?“ - ვერ დამალა ემოცია გიგა ბოკერიამ, რომელიც გადაცემას მოგვიანებით შეუერთდა და პირველივე კითხვა ის დაუსვეს, რაც მანამდეც არაერთხელ დაისვა ეთერში, ანუ რით განსხვავდებოდნენ „ნაციონალური მოძრაობისგან?“

ამ პარტიის წევრ გიგა ბოკერიასთან ინტერვიუმ კიდევ უფრო ცხადი გახადა წამყვანების კითხვების სისუსტე, რადგან პოლიტიკოსი ჩვეულ სტილში არაფერს „პატიობდა“ ჟურნალისტებს. მაგალითად, წამყვანის კითხვაზე, თუ სად ჰყავს მის პარტიას მონიშნული პოტენციური ამომრჩევლები, ბოკერიამ გაიკვირვა: „გეოგრაფიულად? - ყველგან“, - უპასუხა შემდეგ.

პარტიის დაფინანსებაზე საუბრისას გიგა ბოკერიამ თქვა, რომ დავით კეზერაშვილი დევნილობის პერიოდში არ აფინანსებდა „ნაციონალურ მოძრაობას“. წამყვანმა შეახსენა პარტიის მიერ დაწერილი წერილი, რომელშიც, მისი თქმით, პარტია წერდა, რომ კეზერაშვილის დევნის გამო პარტია ფინანსურად დაზარალდებოდა. ბოკერიამ უარყო ეს ინფორმაცია და თქვა, რომ მსგავსი რამ არ ეწერა წერილში. ნაცვლად იმისა, რომ წამყვანებს

გამზადებული ჰქონოდათ საჯარო წერილი, წამყვანებმა „ლოგიკის“ გამოყენება სცადეს და ჰკითხეს: „აბა სხვაგვარად როგორ დაზარალდებოდა პარტია?“.

არჩევნების წინა დღეს ეთერში კიდევ ერთხელ ცალ-ცალკე მოიწვიეს თბილისის მერობის კანდიდატები და სთხოვეს მათ ეთქვათ, თუ რატომ უნდა დაუჭირონ მხარი ამომრჩევლებმა, რაც ფაქტობრივად საარჩევნო სუბიექტისთვის ტრიბუნის მიცემას ნიშნავდა. ორიგინალური ფორმით „მიიღო მონაწილეობა“ გადაცემაში სახელისუფლებო კანდიდატმა კახა კალაძემ. წამყვანებმა მის მხარდამჭერებთან შეხვედრა ჩართეს პირდაპირ ეთერში.

არჩევნების დასრულების შემდეგ გადაცემაში მიმდინარე ამბებს განხილავდნენ. კითხვები იყო ზოგადი, ზოგჯერ გადაცემის ფოკუსიც არ იყო კარგად გამოკვეთილი, შესაბამისად, სამი წამყვანის საჭიროებაც ნაკლებად ჩანდა.

პოლიტმეტრი

გადაცემაში მიმდინარე ამბები განიხილებოდა და სტუმრებიც შესაბამისად იყვნენ მიწვეული. წამყვანი უმეტესად კარგად იყო მომზადებული გადაცემისთვის, თანაბრად ანაწილებდა დროს რესპონდენტებს შორის, თუმცა გადაცემაში უკვე კარგად ნაცნობ თემებზე მსჯელობდნენ, იმ საკითხებზე, რომლებიც, მათ შორის „ტვ პირველის“ ეთერში, უკვე განხილული იყო. მაგალითად, ახალი კონსტიტუცია, თაბორის მთისა და პუშკინის სკვერისთვის სტატუსის შეცვლა და ა. შ. შესაბამისად, მაყურებელი ნაკლებად იღებდა რაიმე ახალ ინფორმაციას, ანალიზს. კრიტიკული კითხვები, უშუალოდ საარჩევნო პროგრამიდან გამომდინარე, კანდიდატების მიმართ არ ისმოდა.

11 ოქტომბერს თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა 15 წუთის განმავლობაში მისი მერობის პერიოდში განხორციელებულ პროექტებზე ლაპარაკობდა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში არაერთი კითხვა არსებობს, ჟურნალისტს ასეთ პროექტებზე კრიტიკული კითხვები თითქმის არ დაუსვამს. დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში აუდიტორია უგულავას მონოლოგს ისმენდა. ამავე გადაცემაში კიდევ ერთი რესპონდენტი, ზაზა გაბუნია, ამბობდა, რომ ბიძინა ივანიშვილის საინვესტიციო პაკეტში, რომელშიც 8 სხვადასხვა პროექტი შედის, 22 ათასი ადამიანი იქნება დასაქმებული. ეს, ერთი შეხედვით, არარეალური რიცხვია, თუმცა ჟურნალისტი არ ჩაეძია და არ ჰკითხა დასაქმების დეტალები, რათა მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონოდა გაეგო, რამდენად რეალური იყო ზაზა გაბუნიას ნათქვამი.

ობიექტივი

ტელეკომპანია ,,ობიექტივის“ ეთერში მონიტორინგის ქვეშ იყო გადაცემა „ღამის სტუდია“, რომელიც ყოველდღე 22:30 საათზე გადის ეთერში.

ღამის სტუდია

გადაცემა მხოლოდ ერთი პარტიის, „პატრიოტთა ალიანსის“, პლატფორმაა. ამ პარტიის 91 წარმომადგენელი იყო მიწვეული. არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წარმომადგენლებიდან გადაცემას სტუმრობდნენ გოჩა ჯოჯუა („ახალი ქრისტიან-დემოკრატები“), გუბაზ სანიკიძე („დემოკრატიული მოძრაობა“), კობა კობალაძე („ქართული ოცნება“) და ანი მიროტაძე („ეროვნული ფორუმი“). არჩევნების დღეს ტელეფონით ჩაერთო „თავისუფალი საქართველოს“ ერთი და „ქართული ოცნების“ ორი წარმომადგენელი.

მონიტორინგის მთელ პერიოდში გადაცემა ცდილობდა ხალხის მობილიზებას „პატრიოტთა ალიანსის“ საპროტესტო აქციაზე. მაგალითად, 25 ოქტომბერს ირმა ინაშვილმა თითქმის 45 წუთი მონოლოგის რეჟიმში სწორედ ამ მიზნით ისაუბრა. ამის შემდეგ წამყვანი, ბონდო მძინარაშვილი, ჩაერთო საპროტესტო აქციიდან ისევ ირმა ინაშვილთან ერთად და სთხოვა მომავალში კიდევ ერთი ტელემონოლოგის ჩაწერა. მომდევნო დღეებში ირმა ინაშვილის მიმართვა კიდევ რამდენჯერმე გადაიცა.

ზოგადად, გადაცემის წამყვანები და მისი რესპონდენტები („პატრიოტთა ალიანსის“ წევრები) სრულ თანხვედრაში იყვნენ და ფაქტობრივად არ ისმოდა არანაირი განსხვავებული აზრი. თითოეულ მათგანს დაუბრკოლებლად ეძლეოდა საკუთარი იდეებისა და არასწორი ფაქტების გავრცელების შესაძლებლობა. გადაცემის თემებიც ხშირ შემთხვევაში პარტიის აქტივობებს იყო მორგებული. წამყვანები პირდაპირ გამოხატავენ სიმპათიას „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ, მაგ., 16 სექტემბერს წამყვანმა ირმა ინაშვილს „გმირი“ უწოდა, „პატრიოტთა ალიანსს“ კი - „პატრიოტული სულისკვეთების ძალა“.

29 ოქტომბერს მონოლოგის რეჟიმში საუბრობდა წამყვანი ბონდო მძინარაშვილი, რომელიც 2016 წელს პატრიოტთა ალიანსის მაჟორიტარობის კანდიდატი იყო. თავისი ეთერი მან ხელისუფლების გასაფრთხილებად გამოიყენა:

> *„ვფიქრობ, ძალიან ბევრ ადამიანს, საქართველოს ხელისუფლებაში განსაკუთრებით, დაფიქრება მოუწევს, რომ აუცილებელია „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებისა და მხარდამჭერების მოთხოვნების გათვალისწინება. სხვა შემთხვევაში სრულიად ბუნებრივია, რომ აქციები უფრო ფართომასშტაბიან ხასიათს მიიღებს“.*

წამყვანები, „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებთან ერთად, აკრიტიკებდნენ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“. არგუმენტებისა და მტკიცებულებების გარეშე

საუბრობდნენ "ბოკერია-კვირიკაშვილის" გარიგებაზე, შესაბამისად, გაუგებარი დარჩა პრემიერ-მინისტრი და ოპოზიციური პარტიის ლიდერი რაზე და როგორ გარიგდნენ. „ნაციონალურ მოძრაობას" მოიხსენიებდნენ როგორც „ნაცებს", „ევროპულ საქართველოს" - როგორც „ბოკერიებს". „ნაციონალური მოძრაობის" წევრებს უწოდებდნენ ჭიამაიებს, ჩხრიალა გველებს, „ქართულ ოცნებისას" კი - პოლიტიკურ ცხოველებს, მუტანტებს.

15 ოქტომბერს წამყვანმა თქვა: *„მას შემდეგ, რაც ნაცმოძრაობა, ეს ჭიამაიები, გაკეთილშობილებული ჩხრიალა გველები დარწმუნდნენ, რომ არჩევნებს პირწმინდად აგებენ, მე ვგულისხმობ ძველი ბუდის „ნაციონალურ მოძრაობას", მას შემდეგ გამოვიდნენ და ცდილობენ, რომ პოლიტიკური პროცესები აბსოლუტურად სხვა კალაპოტში გადაიყვანონ. მშვიდობიანი პერმანენტული საპროტესტი აქციები და პროტესტის უკიდურესი ფორმა, რასაც ჰქვია შიმშილობა, დიახ, ასე შეიძლება ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ წავიდეს სახლში".*

10 ნოემბერს კი წამყვანი დუმილით ხვდება სტუმრის ფრაზას: *„ქართველი ხალხის გენოციდზეც კი იყო გადასული, ანუ ქართველი ხალხის გენოციდი ბოლო წლების განმავლობაში, უკანასკნელი გენოციდი განახორციელა მიხეილ სააკაშვილმა".*

ხშირად რთული იყო გადაცემის თემის გარკვევა, ვინაიდან სტუმრები და წამყვანი არაერთ თემას ეხებოდნენ და საუბარს ფოკუსი ფაქტობრივად არ გააჩნდა.

გადაცემაში რამდენიმე ნარატივი მეორდებოდა:

„პატრიოტთა ალიანსის" წევრები წამყვანების დახმარებით ავრცელებდნენ მოსაზრებას, თითქოს საქართველოს არ აქვს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა. დასმულია დილემა: **ნატო თუ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი?** საჭიროა რუსეთთან დიალოგი, ამისათვის კი უნდა შეიქმნას ახალი ფორმატი - ნატო- რუსეთი-საქართველო.

პარტიის წევრები იმყოფებოდნენ რუსეთში. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გადაცემა ამ ვიზიტის გამართლებას ცდილობდა, რაშიც ეხმარებოდა წამყვანი და ნატოსადმი სკეპტიციზმის გამყარებას უწყობდა ხელს. მაგალითად, წამყვანი ამბობდა, რომ ბევრი ფორმატის მიუხედავად, *„აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების გასაღები არის რუსეთში, თუ რუსეთის ხელისუფლებასთან დალაპარაკებას ვერ მოვახერხებთ, ხელისუფლება, პოლიტიკური წრეები, ამ შემთხვევაში ხომ კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით?",* რის შემდეგაც რესპონდენტი დავით თარხან-მოურავი ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას, თითქოს ნატო გაფართოებას არ გეგმავს, რადგან აღარ სურს დამატებითი კონფლიქტები რუსეთთან. „საერთოდ ასეთი აზროვნებაა ტრაგედია - როგორ შეიძლება, რომ ნატო ან გაერო ან კვატო გაიცვალოს სოხუმში და ცხინვალში...", - აღნიშნავდა ის (24.08).

25 ოქტომბერს ირმა ინაშვილი უკვე მიმართავდა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ ჩააბარონ მას „აფხაზეთის და ოსეთის მიმართულება და პირდაპირი დიალოგი რუსეთთან“. შესაბამისად, მისი სურვილია, რუსეთში წასვლისას მიიღოს მეტი ლეგიტიმაცია და არა ერთი პარტიის, არამედ ქვეყნის სახელით შეხვდეს რუს წარმომადგენლებს.

1 სექტემბერს რუსეთიდან ჩამოსულ ადა მარშანიას წამყვანი მიესალმა სიტყვით „ს პრიეზდამ“. გადაცემის განმავლობაში რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე საუბრისას წამყვანიც და სტუმარიც იყენებდნენ რუსულ ტერმინებს, წამყვანი არ შეწინააღმდეგებია სტუმრის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას: „ნატოსთან ისე ვთანამშრომლობთ, რომ ჩვენი ბიჭები იღუპებიან, მე მგონი, ყველა ცხელ წერტილში, რაც არსებობს დედამიწის ზურგზე“.

ეროვნული ფასეულობების დაკარგვა - ძირითადი ხაზია, რომელიც გადაცემას გასდევს და ახდენს დასავლური კულტურისა და პოლიტიკური სისტემის დისკრედიტაციას. სტუმარი და წამყვანი თითქმის უნისონში ცდილობენ მაყურებელს აუხსნან, რომ დასავლეთში მიღებული განათლებით შეიძლება დაკარგო ეროვნულობა, რადგან იქ მიღებული ცოდნა „ქართველობას ვერ გასწავლის“. „გაანებეთ თავი, ჩავლილია, აგრესიულმა ლიბერალიზმმა არია სამყარო და სისხლის აბანოებში ბანაობს კაცობრიობა დღეს“, - ამბობს ეროვნული ფორუმის წევრი გუბაზ სანიკიძე, წამყვანის შეკამათების გარეშე (30.10).

ამ გადაცემის ეთერიდან ხშირად ისმის **ქსენოფობია, ჰომოფობია** როგორც სტუმრების, ისე წამყვანების მხრიდან. მაგალითად, 13 ოქტომბერს „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა ვაჟა ოთარაშვილმა თქვა: „ჩემი მეგობრები ცხოვრობენ სპორტის სასახლესთან, ნახევარ კორპუსში ირანელები ცხოვრობენ. ჩემი ერთი მეგობრის, იქიდან მოვდივარ, დოლიძიდან, სადარბაზოში ოთხი ქართველიღაა, დანარჩენი არიან ზანგები, ირანელები, ინდოელები, ჩინელები“.

13 ოქტომბერს გადაცემაში ისმოდა **ჰომოფობიური გამონათქვამები, გენდერული სტერეოტიპები**, რომ მამაკაცია ოჯახის თავი, მამაკაცს ფუნქცია დააკარგვინეს. რესპონდენტი ამბობდა, რომ „მცირე ერისათვის ქალი უნდა იყოს ოჯახში და მიხედოს და გაამრავლოს ერი“, წამყვანი მისი „ოპონირებისთვის“ ამბობდა, რომ კაცმა ოჯახის რჩენის ფუნქცია უნდა დაიბრუნოს. მთლიანად ჰომოფობიური იყო 2 ნოემბრის გადაცემა, რომელშიც ფეხბურთელი გურამ კაშია გაკიცხეს ანტიჰომოფობიურ კამპანიაში ჩართვის გამო. არაერთი შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია გამოიყენეს კაშიას მხარდამჭერების მიმართაც.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

აჭარის ტელევიზიის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ტოქშოუებს - „ახალი სივრცე“ და „ფაქტორი“, ასევე საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ იმ ნაწილს, რომელშიც მონიტორინგის სუბიექტებთან ინტერვიუებს სთავაზობდნენ მაყურებელს. ტოქშოუები ეთერში მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში გადიოდა. პირველი ტურის დასრულების შემდეგ გადაცემები სამაუწყებლო ბადიდან მოიხსნა.

ახალი სივრცე

„ახალი სივრცე“ დროს უთმობდა საარჩევნო სუბიექტების პრეზენტაციას და ნაკლებად ისახავდა მიზნად დისკუსიას. მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი გარკვეული დამაზუსტებელი კითხვების დასმას ცდილობდა, ის მათ ოპონირებას არ უწევდა და ტრიბუნას უთმობდა. შესაბამისად, ტოქშოუ საარჩევნო სუბიექტების პლატფორმად იქცა. სტუდიაში პარტიის ლიდერთან ერთად მისი წევრებიც იმყოფებოდნენ და ვის როდის რაზე უნდა ესაუბრა, ამას ლიდერი განსაზღვრავდა. 28 სექტემბერს გადაცემა, რომელსაც სტუმრობდა საარჩევნო სუბიექტი „ზვიადის გზა უფლის სახელით“, ისე დამთავრდა, რომ სტუდიაში მყოფ ოთხ ადამიანს არათუ არ მისცემია მოსაზრების გამოთქმის საშუალება, არამედ მათი ვინაობაც კი უცნობი დარჩა.

„შენების მოძრაობის“ სტუმრობისას კი გადაცემის დასასრულს მოძრაობის ლიდერი მერაბ აბაშიძე საკუთარ თანამებრძოლებს სათითაოდ წარადგენდა, აქებდა და მოიხსენიებდა „კარგ კაცად“, „თემის ბურჯად“ და ა. შ. ერთ-ერთ სტუმარს, მაყვალა გერძაძეს, „ძალიან წარმატებული დიასახლისი“ უწოდა. წამყვანს არ ჰქონია ამაზე რეაქცია.

უმჯობესი იყო წამყვანი მომზადებულიყო, გასცნობოდა კანდიდატების პროგრამას და აქედან გამომდინარე დაესვა კითხვები, გადაცემას ჰქონოდა ლოგიკური განვითარება, რაც უზრუნველყოფდა იმას, რომ აუდიტორიას მიეღო ღირებული ინფორმაცია რესპონდენტებისგან და გადაცემა არ ქცეულიყო პარტიების ტრიბუნად.

ჟურნალისტის ფუნქცია მხოლოდ კითხვების წარდგენა და ქრონომეტრაჟის კონტროლი იყო. კანდიდატებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, რომ სასურველი მოსაზრებები გადმოეცათ კონტრკითხვებისა და დაზუსტებების გარეშე.

მაგალითად, 14 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, გოჩა მელაძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის გზების პრობლემის თაობაზე განაცხადა: „ვერ ნახავთ სოფელს, სადაც არ იგება ბეტონის გზა, სადაც არ შენდება ახალი ბაღები. სადაც ისტორიულად არ არსებობდა, იქ იგება ასფალტის საფარი“. გადაცემამდე მომზადებული ადგილობრივი მოსახლეობის

გამოკითხვა კი საწინააღმდეგო სურათს აჩვენებდა. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტს მისთვის ოპონირება არ გაუწევია.

შემოთავაზებული ფორმატი შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ კანდიდატები მხოლოდ დაპირებებს გასცემდნენ და თითქმის არ ამახვილებდნენ ყურადღებას იმაზე, თუ როგორ მოაგვარებდნენ ამ პრობლემას. უმჯობესი იქნებოდა გადაცემის წამყვანს მეტი შეკითხვა დაესვა საარჩევნო პროგრამის განხორციელების გზებზე და აუდიტორიისთვის ეჩვენებინა დაპირებების რეალურობა.

გადაცემას ჰქონდა ტექნიკური პრობლემები, ეთერში შემოვიდა წამყვანისა და პროდიუსერის დიალოგი (28.09)წამყვანის საუბრისას, მის ნაცვლად კადრში ჩანდა დარბაზში მსხდომი სტუმრების სტატიკური კადრი, კონკრეტული პირის წარდგენისას კი კადრში საერთო ხედით რამდენიმე ადამიანი ხვდებოდა და გაურკვეველი იყო, ვისზე საუბრობდენ.

ფაქტორი

„ფაქტორი“ მაყურებელს სხვადასხვა თემაზე სთავაზობდა დისკუსიას. მონიტორინგის სუბიექტები მხოლოდ რამდენიმე გადაცემას სტუმრობდნენ. სადიკუსიოდ შერჩეულ გადაცემაში ნაკლებად მიმდინარეობდა ანალიზი. წამყვანის კითხვები იყო ძალიან ზოგადი. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გადაცემა ეთერში აღარ გასულა.

29 სექტემბერს „ფაქტორს“ პარტიების სიის პირველი ნომრების წარმომადგენლები სტუმრობდნენ. „გაეცანით მაყურებელს“, – ასე დაიწყო ჟურნალისტმა კანდიდატებთან საუბარი, რომლებიც საპასუხოდ ბიოგრაფიას ჰყვებოდნენ. უმჯობესი იყო წამყვანს გადაცემამდე მოეძიებინა სტუმრების შესახებ ინფორმაცია და თავად წარედგინა ისინი მაყურებლისთვის. ამის შემდეგ ჟურნალისტი სვამდა სტანდარტულ კითხვებს, მაგალითად: „გამოყავით მთავარი პრობლემა“. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ წამყვანი მხოლოდ წინასწარ გაწერილ კითხვებს მიჰყვებოდა, არ სვამდა იმ კითხვებს, რომლებიც რესპონდენტთა პასუხებიდან ლოგიკურად ჩნდებოდა.

მთავარი აჭარაში/კვირის მთავარი

გადაცემა საინფორმაციო გამოშვების ფორმატისაა. ზოგიერთ შემთხვევაში რთავდნენ და იწვევდნენ სტუმრებს მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე. რესპონდენტები იყვნენ რელევანტურნი და ისმებოდა ადეკვატური, კრიტიკული, დამაზუსტებელი კითხვები. გადაცემის სტუმრებთან ინტერვიუ, ძირითადად, ინფორმაციული ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა თემასთან დაკავშირებით დამატებითი დეტალების მიღებას მიწვეული პირების მხრიდან.

წამყვანი განყენებულ საკითხებზე საუბრის საშუალებას სტუმრებს არ აძლევდა. მაგალითად, 18 ნოემბერს გადაცემის დასაწყისშივე უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მოისურვა ესაუბრა, თუ რა კარგი და მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივები აქვთ დეპუტატებს. წამყვანმა მას მალევე შეახსენა გადაცემის თემა და სთხოვა დაბრუნებოდა განსახილველ საკითხს.

რიონი

ტელეკომპანია ,,რიონის" ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ტოქშოუ „თემას", რომელიც ეთერში კვირაში ორჯერ გადიოდა.

თემა

გადაცემას იმერეთის 12 მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები სტუმრობდნენ. წამყვანი სვამდა ზოგად კითხვებს. საკითხები განიხილებოდა ზედაპირულად და ,შესაბამისად, აუდიტორია ვერ იღებდა კონკრეტულ ინფორმაციას. ამის ნათელი მაგალითია 19 ოქტომბერს ქუთაისის მერობის კანდიდატებისთვის დასმული კითხვები: „რა გეგმები გაქვთ?" „რის შეცვლას აპირებთ?" „იცნობთ თუ არა ქუთაისის პრობლემებს?". ამ კითხვებზე პასუხი წამყვანმა გადაცემის დაწყებამდე უნდა მოამზადოს. მან უნდა იცოდეს, თუ რა გეგმები აქვს კანდიდატს, რამდენად კარგად იცნობს რეგიონს, რას აპირებს და, აქედან გამომდინარე, დაუსვას კითხვები.

გადაცემაში კანდიდატები ჰპირდებოდნენ ხალხს სხვადასხვა პრობლემის მოგვარებას, კერძოდ, ქუთაისის „მოწინავე ქალაქად" ქცევას, პენსიების ზრდას, თუმცა წამყვანი არ ჩასძიებია მათ, როგორ მოახერხებდნენ ამას, არ ცდილობდა გაებათილებინა კანდიდატების, სავარაუდოდ, არარეალური დაპირებები, ან სულ მცირე, მათი დაპირებები მკვეთრად დაესვა კითხვის ნიშნის ქვეშ ამომრჩევლის წინაშე.

12 ოქტომბერს გადაცემა დაემშვიდობა მოქმედ მერს, რომელმაც წამყვანის თქმით, „პოლიტიკური სტაბილურობა" შექმნა. წამყვანსა და სტუმარს შორის იყო ძალიან ჰარმონიული ურთიერთობა. წამყვანს არც უცდია კრიტიკული კითხვები დაესვა სტუმრის მიმართ ან რაიმე ფაქტები, დოკუმენტები მოემზადებინა სტუმრის მმართველობის პერიოდთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, წამყვანი დაეხმარა ქუთაისის მერს, მოეყოლა მაყურებლისთვის, თუ რა გააკეთა მან ქალაქისთვის. ჟურნალისტი თავისი შეკითხვებით მხოლოდ შეახსენებდა ხოლმე სტუმარს სხვადასხვა საკითხს, რომლებზეც უნდა ესაუბრა მას; არ უცდია რაიმე საკითხი დაეზუსტებინა სტუმართან. ანდა ეჭვი შეეტანა წარმატებულად დასახელებულ საქმეებში. თუკი წამყვანი ნეგატიური ინფორმაციის შემცველ კითხვას სვამდა, ყოველთვის იშველიებდა ფრაზას: „ასე საუბრობენ", თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ

თავად ასე სულაც არ ფიქრობდა. ზოგჯერ სტუმარი 8-10 წუთის განმავლობაში უწყვეტად საუბრობდა მის მიერ გაკეთებულ საქმეებზე.

ხელისუფლებისადმი ლოიალურობით გამოირჩეოდა კიდევ ერთი გადაცემა, რომელიც 26 ოქტომბერს გავიდა ეთერში. გადაცემაში 1 საათის განმავლობაში მონაწილეობდა სახელისუფლებო პარტიის 6 წარმომადგენელი და არ ყოფილა არცერთი ოპონენტი. სტუმრებს ოპონირებას თავად ჟურნალისტიც არ უწევდა, რაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ჟურნალისტს ექნებოდა შეკითხვები ქალაქის თვითმმართველობაში ამ გუნდის სამწლიან საქმიანობასთან დაკავშირებით და ამ კონტექსტში განიხილავდა მათ ახალ დაპირებებსა და პრობლემის მოგვარების გზებს. ჟურნალისტმა გადაწყვიტა, რომ თავის მონოლოგში ეხსენებინა პრობლემები (წყალმომარაგება, კანალიზაცია და ა. შ.) და მათი მოგვარების იმედი გამოეთქვა. მას ერთი კითხვაც არ დაუსვამს ამ საკითხების თაობაზე რესპონდენტებისთვის.

გარდა ამისა, ჟურნალისტი ხშირად გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხზე, რაც ხშირ შემთხვევაში ძალიან პათეტიკური იყო, მაგალითად, ჟურნალისტმა თქვა: „ქუთაისიდან ხდებოდა დედაქალაქისთვის ჯანსაღი სისხლის გადასხმა და ჩვენ ამით ვამაყობდით...“.

წამყვანის შეკითხვა ხშირ შემთხვევაში კომპლექსური იყო და რამდენიმე კითხვას აერთიანებდა. სტუმრისთვის და მაყურებლისთვისაც უკეთესი იქნებოდა ერთ თემაზე ფოკუსირება, რადგან ასეთ დროს რესპონდენტი მხოლოდ მისთვის სასურველ კითხვას ირჩევს და მას პასუხობს. ზოგჯერ კითხვები ბუნდოვნად იყო ფორმულირებული, მაგალითად, *„ბაღდათი არის ვაზის სამშობლო, ასევე თხილი მოჰყავთ ბაღდათში. ჩვენ ვიცით თხილთან დაკავშირებული პრობლემები... თხილი და ფაროსანას პრობლემა, რომელიც ძალიან აწუხებს მოსახლეობას და ვაზი ტყუილად არ მიხსენებია. ჩვენ გვახსოვს პერიოდები, როდესაც გლეხმა აჭრა ვაზი, სამწუხაროდ. გაქვთ თუ არა გზა მონახული, ევროპულ ბაზარზე როგორ გავიდეს. მე ვიცი, რომ ცალკე ოჯახები და ა. შ. გადიან უკვე ბაზარზე და მათ მონახეს რეალიზების საშუალება, მაგრამ თქვენ, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს, ამ შემთხვევაში და ასევე თქვენ, რომელსაც სურვილი გაქვთ, რომ გახდეთ ბაღდათის მერი, რა გზები გაქვთ მოძებნილი ამ მიმართულებით და ფაროსანას პრობლემას როგორ გადაჭრით უახლოეს მომავალში?“* (28.09).

ტელეარხი 25

„ტელეარხი 25-ის“ ეთერში გადიოდა ტოქშოუ „საზოგადოებრივი პოზიცია“, რომელშიც სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები მონაწილეობდნენ.

საზოგადოებრივი პოზიცია

გადაცემამ მისცა შესაძლებლობა აჭარის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატებს საკუთარი დაპირებები საზოგადოებისთვის გაეცნოთ. „საზოგადოებრივი პოზიცია“ იმ გამონაკლის გადაცემებს შორისაა, რომლებიც მონიტორინგის დაწყებიდან დასრულებამდე მკვეთრად გაუმჯობესდნენ. თუ სექტემბერში და ოქტომბრის პირველ ნახევარში წამყვანის კითხვები ძირითადად იყო ზოგადი და ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ის არ იყო სათანადოდ მომზადებული, ეს პრობლემა მეორე ნახევარში შედარებით მოგვარდა და გადაცემაც ბევრად საინტერესო გახდა.

„საზოგადოებრივი პოზიცია“ წინასაარჩევნო პერიოდში უმეტესად კანდიდატთა საარჩევნო ხედვებს აცნობდა აუდიტორიას, არსებულ პრობლემებზე მსჯელობდნენ და ნაკლებად კეთდებოდა აქცენტი მათი მოგვარების გზებზე.

19 სექტემბერს გადაცემას სტუმრობდა კახა ცისკარიძე, რომელსაც ჯერ დამოუკიდებლად სურდა ბათუმის მერობის კანდიდატად რეგისტრაცია, ბოლოს კი პარტიის - „საქართველო ერთობისა და განვითარებისთვის“ სახელით იყარა კენჭი. წამყვანს ცისკარიძისთვის არ უკითხავს, თუ რა ღირებულებების საფუძველზე გადაწყვიტა მან არჩევნებში ამ პარტიის სახელით მონაწილეობა და იკვეთება თუ არა მათ შორის იდეოლოგიური თანხვედრა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. წამყვანს კითხვა არ ჰქონია არც მაშინ, როდესაც ცისკარიძემ თქვა, რომ ბათუმის მერი არ უნდა იყოს პოლიტიკოსი. წამყვანს არც შემდეგ გასჩენია დამაზუსტებელი კითხვა, როდესაც მის შეკითხვაზე, თუ რამდენადაა მზად გამარჯვების შემთხვევაში სხვა პარტიებთან თანამშრომლობისთვის, ცისკარიძემ უპასუხა, რომ საზოგადოებას სთავაზობს ერთობას და მისი მთავარი დასაყრდენი ბათუმის მოსახლეობაა. გაუგებარი დარჩა, თუ რის გარშემო აერთიანებს კახა ცისკარიძე მოსახლეობას.

ზოგიერთ შემთხვევაში წამყვანი ვერ მართავდა დისკუსიას. მაგალითად, 9 ოქტომბერს გაუჭირდა მოდერაცია, როდესაც „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ერთმანეთს ბრალდებებს უყენებდნენ.

როგორც აღინიშნა, მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა ოქტომბრის ბოლოდან. წამყვანი სვამდა ლოგიკურ, კონკრეტულ კითხვებს, ცდილობდა რესპონდენტებისთვის დაეზუსტებინა კითხვები, შეკამათებოდა არასწორი ინფორმაციის გავრცელებისას. მაგალითად, 18 ოქტომბერს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი აცხადებდა, რომ რეფორმა მიწის საკუთრების შესახებ ყველაზე წარმატებული პროექტი იყო „ნაციონალური

მოძრაობის“ მმართველობის დროს. წამყვანმა აღნიშნა, რომ რეფორმა არ გატარებულა და კონკრეტული მაგალითების მოშველიებით გაუწია ოპონირება. მთლიანობაში, კანდიდატებს შორის იმართებოდა დინამიკური და საინტერესო დისკუსიები.

არჩევნების დასრულების შემდეგ გადაცემა ეძღვნებოდა მიმდინარე აქტუალურ თემებს, რომელშიც მოქალაქეებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სატელეფონო ზარების მეშვეობით.

იყო ერთი შემთხვევა, როდესაც გადაცემაში ისმოდა სექსისტური გამონათქვამები და სტერეოტიპების გამყარებას თავად წამყვანიც უწყობდა ხელს. 24 ოქტომბერს გადაცემაში საუბარი იყო ქალი კანდიდატებისა და ამომრჩევლების პრიორიტეტებზე. გადაცემა სიუჟეტით დაიწყო, რომელშიც ჟურნალისტმა გაიმეორა საკრებულოს წევრი ქალის მოსაზრება, რომ „პირველ რიგში ქალი უნდა იყოს ოჯახის დედა, მეუღლე და შემდეგ მთელი მისი უნარი და ნიჭი გამოიყენოს საზოგადოებისათვის“, რითიც ხელი შეუწყო სტერეოტიპების გაძლიერებას.

სტუმრად მყოფმა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა გააცნო აუდიტორიას. კვლევის შედეგებში ქალების მიერ დასახელებულ საჭიროებებს შორის იყო სამკერვალოები, სილამაზის სალონები და ა. შ. ჟურნალისტმა სტერეოტიპისა და სტიგმის წამახალისებელი რეპლიკა წარმოთქვა: „ძალიან ქალური მოთხოვნები იყო“, რაც დაუშვებელია ჟურნალისტის მხრიდან. მთელი გადაცემის მანძილზე ჟურნალისტის შეკითხვები და რეპლიკა აჩვენებდა, რომ ის იყო სრულიად მოუმზადებელი, გენდერულად არასენსიტიური და ხელს უწყობდა არასწორი წარმოდგენების, სტერეოტიპების გავრცელებას ქალების თაობაზე.

არჩევნების დასრულების შემდეგ გადაცემის ერთი ბლოკი ეთმობოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროს მიერ ახალი პროგრამების წარდგენას, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტიდან გამომდინარე. საუბარი შეეხებოდა ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა პროგრამის მიმოხილვას. კერძოდ, სად რა აშენდება, რა დაფინანსდება და ა. შ., რაც ასახულია გამოქვეყნებული ბიუჯეტის პროექტში და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია. მედიის მხრიდან მნიშვნელოვანი იქნებოდა, თითოეული პროგრამის ანალიზი და არა მხოლოდ პრეზენტაცია. კარგი იქნებოდა, მინისტრს ჰყოლოდა ოპონენტი სტუდიაში, თუნდაც ოპოზიციის წარმომადგენელი, რაც გადაცემას მაყურებლისთვის უფრო ინფორმაციულს გახდიდა. ამასთან, არ მისცემდა მთავრობის წარმომადგენელს საშუალებას, რომ მხოლოდ დადებით ტენდენციებზე ესაუბრა და ერთგვარი თვითრეკლამა გაეკეთებინა.

თრიალეთი

მონიტორინგი მიმდინარეობდა ორ გადაცემაზე: „განსხვავებული აზრი“ და „შაბათის სტუდია“. პირველი გადაცემა ითვალისწინებდა ბევრ სტუმართან საუბარს, მეორე კი რამდენიმე სტუმართან ცალ-ცალკე ინტერვიუებს სთავაზობდა აუდიტორიას. ორივე მათგანი ეთერში კვირაში ერთხელ გადიოდა და ერთი და იგივე წამყვანი ჰყავდა. გადაცემებს მნიშვნელოვანი ტექნიკური პრობლემები ჰქონდა: ისმოდა შრიალი, ითიშებოდა მიკროფონი და ა. შ.

განსხვავებული აზრი

გადაცემის ფორმატის მიხედვით, შერჩეულ თემაზე სასაუბროდ მოწვეული იყო რამდენიმე ადამიანი, მათ შორის პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. კენჭისყრის დღის მოახლოებისას არხმა მაყურებელს ერთგვარი დებატების ფორმატი შესთავაზა, თუმცა წამყვანი არ სვამდა კანდიდატის ხედვიდან გამომდინარე ან რაიმე დოკუმენტზე დაფუძნებულ, არგუმენტირებულ, კრიტიკულ კითხვებს. იგი არ ინტერესდებოდა, თუ რა რესურსებით აპირებდნენ კანდიდატები დაპირებების შესრულებას. წამყვანი, უმეტეს შემთხვევაში, მოუმზადებელი იყო დებატებისთვის. ასრულებდა მოდერატორის როლს და მხოლოდ წამზომს აკონტროლებდა.

მაგალითად, 13 ოქტომბერს სტუმარს ჰკითხა, ჰქონდა თუ არა იდენტიფიცირებული ხაშურის პრობლემები და ასახა თუ არა ის წინასაარჩევნო პროგრამაში. ჟურნალისტის ფუნქციაა, გადაამოწმოს კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამა, მოიძიოს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია და, აქედან გამომდინარე, დასვას კითხვა, თუ რამდენად რელევანტურია პრობლემის მოგვარების კანდიდატისეული ხედვა. ამ ფორმულირებით დასმულ კითხვაზე ყველა კანდიდატმა დადებითი პასუხი გასცა, ამომრჩეველმა კი ვერ გაიგო მათი დაპირების რეალურობა.

იმ შემთხვევაშიც, როდესაც გადაცემაში აქტუალურ თემებს განიხილავდნენ, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გადაცემას არ გააჩნდა ლოგიკური განვითარება. წამყვანი არ იყო სათანადოდ მომზადებული. მისი კითხვები იყო ზოგადი, არ სვამდა დამაზუსტებელ შეკითხვებს და არ სთხოვდა სტუმრებს მტკიცებულებებს, როდესაც ისინი ბრალდებებს უყენებდენ ოპონენტებს. გადაცემა უფრო მეტად ურთიერთბრალდებების რეჟიმში მიმდინარეობდა. შედეგად, მაყურებელი ვერ იღებდა ამომწურავ ინფორმაციას სადისკუსიო თემაზე.

მაგალითად, 29 სექტემბერს ჟურნალისტმა დასვა კითხვა „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლის ბრალდებაზე, თითქოს გამგებელმა სიდედრს ბიუჯეტის ფულით აუშენა სახლი, რაც გამგებელმა უარყო. ჟურნალისტსა და გადაცემაზე მომუშავე ჯგუფს ამ საკითხზე მაყურებლისთვის მოკვლევა არ შეუთავაზებია, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებების

შესახებ გადაცემამდე იყო ცნობილი. უცნობი დარჩა შეესაბამებოდა თუ არა ნათქვამი სიმართლეს, თუ კი, რა თანხა დაიხარჯა გამგებლის სიდედრის სახლის მშენებლობაზე და რა ფორმით უკავშირდება ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტს.

10 ნოემბერს შედარებით უკეთესი გადაცემა იყო, რომელიც მეორე ტურში გასულ ხაშურის მერობის კანდიდატებს მასპინძლობდა. დისკუსია აქტუალურ საკითხებზე წარიმართა და ჟურნალისტი ცდილობდა ჩაძიებას და კონკრეტული პასუხის მოპოვებას. თუმცა, როდესაც სტუმრებს შორის ცხარე კამათი გაიმართა, წამყვანს გაუჭირდა მართვა.

შაბათის სტუდია

გადაცემას სტუმრობდნენ სხვდასხვა პარტიის წარმომადგენლები. წამყვანი თითოეულ სტუმარს ცალ-ცალკე უსვამდა ზოგად კითხვებს, არ ყოფილა Hard Talk-ისთვის დამახასიათებელი მწვავე კითხვები. შესაბამისად, გაუგებარი დარჩა, რატომ არ ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ სტუმრები.

გადაცემის თემა ზოგიერთ შემთხვევაში არარელევანტური იყო. მაგალითად, 14 ოქტომბერს სტუმარი ჟურნალისტმა ასე წარადგინა: „გორისთვის, შიდა ქართლისთვის და მთელი საქართველოსთვის ნაცნობია ტარიელ გურგენიძე“, რაც არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელია, ვინაიდან რიგი მაყურებლისთვის გაუგებარი დარჩა მისი ვინაობა. როგორც შემდეგ გადაცემის მსვლელობიდან გაირკვა, ის ტარიელ გურგენიძე იყო, რომელიც 2012 წელს „ქართული ოცნების“ რიგებში ირიცხებოდა. ხელისუფლებაში ამ პარტიის მოსვლის შემდეგ გურგენიძე დაინიშნა მეჯვრისხევის რწმუნებულად. 2013 წელს კი დააკავეს ქრთამის აღების ბრალდებით. ის აცხადებდა რომ „ქართულმა ოცნებამ“ მოიშორა. გაუგებარია, რას ემსახურებოდა 2013 წლის მოვლენების გახსენება 2017 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ტოქშოუს ეთერში, რატომ გახდა ეს თემა ახლა აქტუალური? გადაცემის დასკვნით ნაწილში გაირკვა, რომ ტარიელ გურგენიძე იყო „შენების მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. მთლიანობაში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ გადაცემა ეძღვნებოდა „შენების მოძრაობის“ კანდიდატის პოპულარიზაციასა და „ქართული ოცნების“ კრიტიკას. ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ აღნიშნული ტელევიზიის მფლობელი ბადრი ნანეტაშვილიც სწორედ „შენების მოძრაობის“ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი იყო გორში. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს დასასრულს, ჟურნალისტმა რესპონდენტს ჰკითხა: „გაამართლა „ქართულმა ოცნებამ“ თქვენი იმედები?“ არადა, იგი მთელი 25 წუთი სწორედ იმაზე საუბრობდა, თუ როგორ გაუცრუვდა იმედი და როგორ გაწირა ის მოქმედმა ხელისუფლებამ, როგორც თვითონ ამბობდა, უკანონო პატიმრობისთვის.

თავად ნანეტაშვილიც გადაცემას სამონიტორინგო პერიოდში სტუმრობდა. წამყვანს მისთვის არ დაუსვამს კრიტიკული კითხვები. კერძოდ, არაფერი უკითხავს მედიაში გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, რომ მისი პარტიის მერობის კანდიდატის წარდგენას გორის გამგეობის

თანამშრომლები ესწრებოდნენ და მას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში სდებდნენ ბრალს. აუდიტორიისთვის წამყვანს არც ნანეტაშვილის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირი შეუხსენებია როცა ის პარლამენტის წევრი იყო ამ პარტიის სიით.

წამყვანის კითხვები ხშირად ისეთი ბუნდოვანი იყო, რომ არსის გაგება ჭირდა, რის გამოც რამდენიმე წუთი ეთმობოდა რესპონდენტსა და წამყვანს შორის დიალოგს, როცა რესპონდენტი კითხვის გაგებას ცდილობდა (11.11).

მთლიანობაში, ნაცვლად კრიტიკული კითხვებისა და საარჩევნო პროგრამებისა, წამყვანი ინტერესდებოდა ზოგადი საკითხებით. მაგალითად, თუ რატომ გადაწყვიტა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა კარდაკარ შეხვედრა მოსახლეობასთან ფართომასშტაბიანი შეხვედრის ნაცვლად; რა განწყობაა მოსახლეობაში; რამდენი მანდატით შედის პარტია წარმომადგენლობით ორგანოში და ა. შ.

ქვემო ქართლის ტელევიზია

ტელეკომპანია აუდიტორიას წინასაარჩევნო პერიოდში სთავაზობდა გადაცემას - „არჩევნები 2017“, რომელიც ეთერში გადიოდა კვირაში სამჯერ. გადაცემაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მერობის, რუსთავის ოლქების მაჟორიტარობის და საკრებულოს წევრობის კანდიდატები. გადაცემა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ეთერში აღარ გასულა.

არჩევნები 2017

ტოქშოუ იწყებოდა სტუმრების ბიოგრაფიების წარდგენით, რომლებიც, წამყვანის თქმით, თავად სტუმრებმა მიაწოდეს. კანდიდატების გაცნობისას წარმოდგენილი იყო ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად: „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, დავით რეხვიაშვილმა, წარჩინებით დაამთავრა კონკრეტული სასწავლებელი და აქტიურად მონაწილეობდა გარდაბანში მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობაში და ა. შ. 17 ოქტომბერს განაცხადეს, რომ „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი ვახტანგ ქებაძე 2011-2014 წლებში მუშაობდა იაკობ ცურტაველის სახელობის მუნიციპალიტეტში. ამგვარი მუნიციპალიტეტი არ არსებობს, თუმცა რედაქციას ეჭვი არ შეუტანია. არსებობს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის იაკობ ცურტაველის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული.

წამყვანი იყო პასიური. არ სვამდა არგუმენტირებულ, კრიტიკულ კითხვებს. ჰქონდა წინასწარ მომზადებული კითხვები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, იმის მიუხედავად, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს ეხებოდა ისინი, მოქმედ ხელისუფლებას თუ „პატრიოტთა ალიანსს“. ეს საკმაოდ მოსაწყენს და პროგნოზირებადს ხდიდა გადაცემას.

წამყვანის კითხვები რომ პროგნოზირებადი იყო, იქიდანაც გამოჩნდა, რომ 17 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, დავით იშხნელმა, ფურცელზე დაწერილი წინასწარ მომზადებული სიტყვა მას შემდეგ წაიკითხა, რაც მას წამყვანმა დრო დაუთმო. „რა პრობლემებს გამოყოფთ?“, „როგორ აპირებთ ამ პრობლემების მოგვარებას?...“ ეს არის ის მთავარი კითხვები, რომელთაც წამყვანი უსვამდა კანდიდატებს და რაც მათ სასურველ თემაზე საუბრის შესაძლებლობას აძლევდა. მიუხედავად იმისა, რომ წამყვანის როლი დებატების მართვითა და დროის გადანაწილებით შემოიფარგლებოდა, მას მაინც უჭირდა გადაცემის მართვა. სტუმრები კამათობდნენ, ხშირად ერთდროულად საუბრობდნენ. 9 ოქტომბერს წამყვანს რამდენიმე წუთი დასჭირდა, რომ სარეკლამო ჭრის გამოცხადება მოეხერხებინა.

11 ოქტომბერს შედარებით დინამიკური იყო გადაცემა და წამყვანმაც რამდენიმე ეპიზოდში ოპონირება გაუწია „ქართული ოცნების“ კანდიდატს, როდესაც მან განაცხადა, რომ კონკრეტულ რაიონში კარგად მოასფალტებული ეზოებია, ჟურნალისტს კი ამის საწინააღმდეგო ინფორმაცია ჰქონდა.

სექსისტური და სტერეოტიპული დამოკიდებულება წამყვანის მხრიდან ორ გადაცემაში გამოვლინდა. 18 სექტემბერს მან გადაცემა დაასრულა შემდეგი კითხვით: *„რომელ სფეროს ანდობდით ქალებს, ბატონო ირაკლი?“* რესპონდენტის პასუხიც სტერეოტიპული იყო. მან უპასუხა, რომ ქალებს კულტურასა და სოციალურ მიმართულებას ჩააბარებდა. წამყვანი დამატებით აღარ ჩაჰკითხვია. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის გენდერის საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესების მიხედვით, მედიამ არათუ ხელი არ უნდა შეუწყოს გენდერული სტერეოტიპების გამყარებას, მასალა არ უნდა აძლიერებდეს სოციუმში გავრცელებულ მოსაზრებას ქალის და კაცის როლის შესახებ.

შედარებით განსხვავებული ფორმატის იყო ბოლო გადაცემა, როდესაც გადაცემაში მიწვეული იყო რუსთავის მერობის ყველა კანდიდატი და კითხვებს ტელეკომპანიის რამდენიმე ჟურნალისტიც სვამდა. არც ამ კონკრეტულ გადაცემაში ჩაღრმავებიან ჟურნალისტები საკითხებს და სტუმრისთვის უმცირესი დისკომფორტიც კი არ შექმნილა. მწვავე კითხვებს ერთმანეთს ისევ კანდიდატები უსვამდნენ. ერთ-ერთმა მიწვეულმა ჟურნალისტმა ისიც კი ჰკითხა კანდიდატს, თუ რას გეგმავდა ახალგაზრდობასთან დაკავშირებული პრობლემების წინ წამოსაწევად და ამ საკითხზე თუ იყო საუბარი საარჩევნო პროგრამაში. მან რესპონდენტებს არათუ პლატფორმა მისცა, მოეცათ დაპირებები სამომავლოდ, არამედ ჩანდა, რომ არ იცნობდა კანდიდატების პროგრამებს და არ იცოდა, რა საკითხები იყო დასმული მათში.

შესაბამისად, რედაქციამ პარტიებს სრულად დაუთმო პლატფორმა, აუდიტორიას არ მიაწოდა პროგრამების ანალიზი და არ წარმოაჩინა დაპირებების რელევანტურობა.

მეცხრე არხი

მონიტორები ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ეთერში აკვირდებოდნენ გადაცემა „დიალოგს“, რომელიც ეთერში 21 სექტემბრიდან 3 ნოემბრამდე კვირაში ერთხელ გადიოდა.

დიალოგი

წინასაარჩევნო პერიოდში გადაცემას სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და კანდიდატები სტუმრობდნენ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე შემთხვევაში მოწვეულმა რესპონდენტებმა უარი თქვეს გადაცემაში მონაწილეობაზე. მაგალითად, 21 სექტემბერს მონაწილეობის სურვილი მხოლოდ ორმა გამოთქვა. მეორე გადაცემაში ასპინძისა და ადიგენის მერობის კანდიდატები მოიწვიეს, თუმცა ასპინძის მერობის მსურველი 5 კანდიდატიდან მხოლოდ ერთი მივიდა გადაცემაში, ადიგენის მერობის კანდიდატებიდან კი ორი მათგანი არ იღებდა მონაწილეობას. ამის შესახებ წამყვანმა ამცნო აუდიტორიას.

ჟურნალისტი არ სვამდა კრიტიკულ კითხვებს, არ აზუსტებინებდა სტუმრებს საკითხებს, არ უწევდა ოპონირებას მათ, რომლებიც გასცემდნენ დაპირებებს, რომ მოაგვარებდნენ ყველა პრობლემას, გაზრდიდნენ პენსიებს; წამყვანი არ კითხულობდა, რომელი საპენსიო ფონდით ან/და ფინანსური მხარდაჭერით აპირებდა პარტია ამის გაკეთებას. 29 სექტემბერს ერთ-ერთმა კანდიდატმა თქვა, რომ ვალე უნდა გახდეს „მოწინავე ქალაქი“. ეს იყო მისი პასუხი წამყვანის კითხვაზე, თუ რა მთავარი აქცენტებია მათ საარჩევნო გეგმაში. კანდიდატს არ დაუზუსტებია, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს და არც წამყვანი ჩასძიებია.

27 ოქტომბერს არჩევნების შედეგების შესაფასებლად მისული პოლიტიკოსების საუბარი ურთიერთბრალდებების რეჟიმში წარიმართა. წინასაარჩევნო პერიოდში ახალციხის რეგიონში მოსახლეობისთვის დარიგებული ცისფერი თეთრეული ამომრჩევლის მოსყიდვად შეაფასეს კანდიდატებმა, თუმცა გაუგებარი დარჩა, რა თეთრეულზე იყო საუბარი. უმჯობესი იყო წამყვანს მაყურებლისთვის აეხსნა როდის და რატომ, რა მიზეზით დაარიგეს თეთრეული. დამატებითი დეტალების გარკვევის ნაცვლად, წამყვანმა ეს ფაქტი მიიღო როგორც რეალობა, რომელშიც განსაკუთრებული არაფერი იყო.

ჟურნალისტის კითხვები ზოგადი იყო 3 ნოემბერს, როდესაც გადაცემაში ახალციხის მერი მიიწვიეს ერთწლიანი მუშაობის განსახილველად. თუმცა ამ შემთხვევაშიც წამყვანი რესპონდენტს სრულ თავისუფლებას აძლევდა ესაუბრა სასურველი მიმართულებით. მაგალითად, „როგორ შეაფასებდით თქვენი მმართველობის პერიოდს?“ „რით განსხვავდებოდით წინამორბედებისგან?“ „როგორ დაგიმახსოვრებენ ახალციხელები?“.

13 ოქტომბერს გადაცემა ქალების საჭიროებებს დაეთმო. ახალციხის მერობის კანდიდატებთან ერთად, გადაცემას სტუმრობდნენ სხვადასხვა თემის წარმომადგენელი ქალები. წამყვანმა არცერთი ქალი სტუმარი არ წარუდგინა მაყურებელს და გადაცემის

ბოლომდე გაუგებარი დარჩა ვინ იყვნენ კონკრეტულად ეს ქალები. წამყვანმა გადაცემის დასაწყისში განაცხადა, რომ „ქალების საჭიროებებზე“ ისაუბრებდნენ, თუმცა რეალურად ყველას საჭიროებებზე საუბრობდნენ, უბრალოდ თემში არსებულ საკითხებზე სვამდნენ კითხვებს სტუმრად მყოფი ქალები და არა წამყვანი.

გურია

წინასაარჩევნო პერიოდში ტელეკომპანია „გურიის“ ეთერში გადიოდა ტოქშოუ „თქვენთან ერთად“, რომელიც აუდიტორიას კანდიდატებს აცნობდა.

თქვენთან ერთად

გადაცემა ეთერში წინასაარჩევნო პერიოდში გადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ გურიის რეგიონი იმ იშვიათ გამონაკლისებს შორისაა, სადაც მეორე ტური გაიმართა, მეორე ტურის წინ გადაცემა მხოლოდ ერთხელ გავიდა ეთერში, რომელშიც საკრებულოს წევრები მოიწვიეს და ვერ მოახერხეს მეორე ტურში გასული კანდიდატების დებატების ორგანიზება. როგორც წამყვანმა აღნიშნა, შეთავაზებაზე უარი თავად კანდიდატებმა განაცხადეს.

წამყვანის კითხვები იყო ზოგადი. იგი არ ცდილობდა არგუმენტირებული ოპონირების გაწევას სტუმრებისთვის, პირიქით, მათ სასურველ თემაზე საუბრის საშუალებას აძლევდა. წამყვანი სვამდა კითხვებს, თუ ვის რა პროგრამა ჰქონდა, როგორ მოაგვარებდნენ ამა თუ იმ პრობლემას. შესაბამისად, გაუგებარი რჩებოდა, როგორ შეძლებდნენ ისინი დაპირებების შესრულებას ანდა რამდენად მოაგვარებდა პრობლემებს მათ მიერ გაცემული დაპირებები.

უმჯობესი იყო წამყვანი მომზადებულიყო, გაცნობოდა კანდიდატების პროგრამებს და აქიდან გამომდინარე დაესვა კითხვები.

მაგალითად, 13 ოქტომბერს, ოზურგეთის მერობის კანდიდატების სტუმრობისას, „ევროპული საქართველოს“ კანდიდატმა თქვა, რომ შექმნის ახალ სარეკრეაციო ადგილებს, კულტურის, დასვენების და გართობის ცენტრებს ახალგაზრდებისთვის და „უამრავ სპორტულ მოედანს“. გაუგებარი დარჩა, თუ რამდენია ეს „უამრავი“, რამდენ სარეკრეაციო ზონასა თუ კულტურის და დასვენების ცენტრს შექმნის? სად შექმნის კონკრეტულად? რა დაჯდება ეს პროექტი? რას მოაკლებს ამ თანხებს? წამყვანი ამით არ დაინტერესებულა.

ამავე გადაცემაში ისმოდა პრორუსული გზავნილები „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატისგან. ის ამბობდა, რომ უნდა გაიხსნას რუსეთის ბაზარი, ვინაიდან მხოლოდ ეს უშველის საქართველოს ეკონომიკას, რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ კი ოკუპაციის პრობლემაც მოგვარდება. მისი თქმით, „დღეს საქართველოსთვის ოკუპანტია თურქეთიც, მიტაცებული აქვს ქვეყნის ტერიტორიის 15%“. ერთადერთი ვინც ამ აზრების საწინააღმდეგო პოზიციებს გამოთქვამდა, „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი იყო. წამყვანი ჩუმად უსმენდა მათ პოლემიკას და საწინააღმდეგო არგუმენტები არ მოუშველიებია ოპონირებისთვის.

ზოგჯერ სტუმრები ერთდროულად საუბრობდნენ, აწყვეტინებდნენ ერთმანეთს, გადადიოდნენ თემიდან თემაზე, გაურკვეველი იყო, რაზე კამათობდნენ. წამყვანი ვერ მართავდა დებატებს, მხოლოდ წარმოთქვამდა ფრაზებს: „ძალიან გთხოვთ!“, „თუ შეიძლება, დააცადეთ!“, „ნუ ეჩრებით!“, რასაც შედეგი არ მოჰყოლია.

გურჯაანი

მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანია „გურჯაანის“ ეთერში მხოლოდ ერთხელ მომზადდა გადაცემა, რომელშიც გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები მიიწვიეს, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ გადაცემა ეთერში გავიდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სანქცირებისგან თავის არიდებისთვის. კანონმდებლობის თანახმად, ყველა საერთო მაუწყებელი ვალდებულია წინასაარჩევნო პერიოდში გამართოს დებატები კანდიდატებს შორის.

როგორც წამყვანმა აღნიშნა, გადაცემაში მონაწილეობა შესთავაზეს არჩევნებში მონაწილე ათივე კანდიდატს, მაგრამ მივიდა მხოლოდ 8. გადაცემა ერთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა, საიდანაც პირველი 30 წუთი დასჭირდა ყველა კანდიდატის პასუხს კითხვაზე, თუ რას სთავაზობდნენ ისინი ამომრჩევლებს. მეორე ნახევარში კი მათ ერთმანეთისთვის კითხვის დასმის საშუალება ჰქონდათ. შესაბამისად, წამყვანი იყო პასიური და მხოლოდ კანდიდატებისთვის სიტყვის მიცემით შემოიფარგლებოდა. იყო შემთხვევა, როდესაც წამყვანის კითხვაზე, თუ რას სთავაზობს ამომრჩეველს, კანდიდატმა უპასუხა, რომ იგი არაფერს სთავაზობს და გამარჯვების იმედიც არ აქვს. წამყვანის მხრიდან ამასაც კი არ მოჰყოლია ადეკვატური ოპონირება. საბოლოოდ გაირკვა, რომ ამ კანდიდატმა მხოლოდ გადაცემაში მოსვლისთვის დააყენა კანდიდატურა, გადაცემის მსვლელობისას კი თქვა, რომ ხსნიდა თავის კანდიდატურას.

კონკრეტული დაპირებისა და ხედვის ნაცვლად, კანდიდატები, ზოგადად, საზოგადოებაში არსებულ გაჭირვებასა და უიმედობაზე საუბრობდნენ. წამყვანს ფაქტობრივად არ დაუსვამს არათუ პროგრამიდან გამომდინარე, არამედ არც სხვა რაიმე ფაქტობრივ გარემოებაზე დაფუძნებული შეკითხვა.

ერთ-ერთმა კანდიდატმა თქვა, რომ მოქმედი ხელისუფლება წილს იღებს განხორციელებული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხებიდან. გამგებელი მოიხსენია როგორც „ლოთი“, „ბასიაკი“, საკრებულოს თავმჯდომარეს უწოდა „მკვდარზე ვენოკი“, თუმცა წამყვანმა მხოლოდ კორექტულობისკენ მოუწოდა და არ ჩაეძია რა მტკიცებულებებს ეყრდნობოდა მისი ბრალდება თანხების მითვისებასთან დაკავშირებით.

მეორე ნაწილში წამყვანმა თითოეულ მათგანს მისცა საშუალება ერთმანეთისთვის კითხვები დაესვათ. თუმცა ამ შესაძლებლობით ნაწილს არ უსარგებლია და დრო ზოგადი საუბრისთვის გამოიყენა. დანარჩენი კითხვებიც უმეტესად ბრალდებებს შეიცავდა.

როდესაც წამყვანისთვის ცნობილია კანდიდატთა დებატების უნარი და ზოგადად ოპონირების შესაძლებლობები, უმჯობესია თავად დასვას კონკრეტული კითხვები და გაურკვეველ თემებზე მსჯელობის საშუალება არ მისცეს მათ.

გადაცემას ჰქონდა სერიოზული ტექნიკური ხარვეზი - ხმა ზოგჯერ საერთოდ არ ისმოდა. საერთო ჯამში ამომრჩეველმა ვერ მიიღო ვერც ზოგადი და ვერც კონკრეტული ინფორმაცია კანდიდატების ხედვის შესახებ. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს გადაცემა მხოლოდ იმიტომ მომზადდა, რომ კანონის მოთხოვნები ფორმალურად შესრულებულიყო.

ოდიში

წინასაარჩევნო პერიოდში ტელეკომპანია ოდიშის ეთერში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუ მხოლოდ ორჯერ გავიდა. 12 ოქტომბერს პარტიების სიის პირველ ნომრებს, ხოლო 17 ოქტომბერს ზუგდიდის მერობის კანდიდატებს უმასპინძლეს. თითოეული გადაცემა 3 საათის განმავლობაში გაგრძელდა, რაც დროში გაწელილის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ მხოლოდ ზოგადი კითხვები ისმოდა, კერძოდ, თუ რა ხედვა აქვთ კანდიდატებს ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებისთვის.

მერობის კანდიდატების სტუმრობისას პასუხის გაცემას მხოლოდ ერთ კითხვაზე, თუ რა გეგმები აქვთ მათ, 18 წუთი დასჭირდა. გადაცემაში წამყვანმა, ამ კითხვის გარდა, მხოლოდ ერთი კითხვა დასვა, რაც მოსახლეობის გამოკითხვას მოჰყვა. კერძოდ, იკითხა, თუ როგორ მოაგვარებენ ჩამოთვლილ პრობლემებს. გადაცემა ითვალისწინებდა ტელეკომპანიის სხვა ჟურნალისტების მიერ კითხვების დასმასაც. 12 ოქტომბერს პირველმა ჟურნალისტმა, რომელიც გადაცემის დაწყებისთანავე სტუდიაში იჯდა, კითხვა მხოლოდ 1:41 წუთზე დასვა, მეორე კი 2 საათისა და 12 წუთის განმავლობაში სტუდიაში ყოფნის შემდეგ მიესალმა აუდიტორიას. გაუგებარია, რატომ ისხდნენ ამდენ ხანს ეთერში, თუ მხოლოდ გადაცემის ბოლოს უნდა დაესვათ კითხვები. ჟურნალისტების გარდა, კითხვები დასვეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც, რაც ჩანაწერის სახით გავიდა ეთერში. ორივე შემთხვევაში დაისმოდა ზოგადი კითხვები. მაგალითად, როგორ მოაგვარებენ კანდიდატები გარე ვაჭრობის, შშმ პირთა ინტეგრაციისა და ჰომოფობიის პრობლემებს. გაუგებარია, რატომ ვერ დასვამდა იმავე ზოგად კითხვებს წამყვანი.

არც ერთი კითხვა არ გამომდინარეობდა კანდიდატების საარჩევნო დაპირებებიდან, არ ისმოდა კონტრარგუმენტები, მათ არ ეკამათებოდნენ მაშინაც კი, როდესაც არ პასუხობდნენ კითხვებს და უბრალოდ ადასტურებდნენ, რომ ესა თუ ის პრობლემა არსებობს, რომ შშმ პირები აუცილებლად უნდა იყვნენ ინტეგრირებულნი საზოგადოებაში და ძალადობა არ შეიძლება, მათ შორის „ასეთ ადამიანებზე“, რომლებშიც კანდიდატები ლგბტ პირებს მოიაზრებდნენ.

შედეგად, გადაცემა იყო ძალიან არადინამიკური, გაწელილი, არ მოიცავდა არანაირ ანალიზს, რაც საშუალებას მისცემდა ამომრჩეველს, მიეღო ინფორმაცია, რომელიც მას გააზრებული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებოდა.

რეკომენდაციები

- ტოქშოუს მთავარი ამოცანაა ამომრჩეველს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც მას დაეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში. ამიტომაც აუცილებელია გადაცემა აუდიტორიას სთავაზობდეს საკითხების სიღრმისეულ განხილვას, დამატებით დეტალებს, პროგრამების ანალიზსა და კანდიდატების ხედვის წარმოჩენას. საარჩევნო კანდიდატებს არ უნდა ეთმობოდეს დრო მხოლოდ თვითპრეზენტაციისთვის.
- ამ მიზნის მისაღწევად, უმჯობესია გაიმართოს თემატური დისკუსიები კანდიდატებს, პარტიების წარმომადგენლებს შორის, რაც წამყვანებსაც შესაძლებლობას მისცემს, უკეთესად მოემზადონ გადაცემისთვის. წამყვანის ფუნქცია არის არა მხოლოდ მოდერაცია, სიტყვის გადაცემა რომელიმე სტუმრისთვის, არამედ კრიტიკული კითხვების დასმა, ოპონირება, არგუმენტების მოშველიება, რათა მაყურებელს აჩვენოს, თუ რამდენად რელევანტურია კანდიდატთა დაპირებები და მოაგვარებს თუ არა არსებულ პრობლემებს მათ მიერ შემოთავაზებული გზები.
- გადაცემის დაწყებამდე წამყვანს მომზადებული უნდა ჰქონდეს ფაქტობრივი მონაცემები, იცნობდეს კანდიდატის პროგრამას. უმჯობესია, აქედან გამომდინარე დასვას კითხვები და არ ჰკითხოს ზოგადად, თუ როგორ მოაგვარებს რომელიმე პრობლემას, რაც რეალურად კანდიდატისთვის ტრიბუნის მიცემას და ეთერის თავისუფლად გამოყენებას ნიშნავს.
- მაუწყებელი ვალდებულია აუდიტორიას მიაწოდოს ინფორმაცია, ამასთან, არადისკრიმინაციულად გააშუქოს ყველა აქტიური კანდიდატი მაშინაც კი, თუკი რომელიმე მათგანი არხის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი.
- როდესაც ბრალდების ობიექტი არ იმყოფება გადაცემაში, წამყვანი უნდა შეეცადოს მისი პოზიციის, არგუმენტების წარმოჩენას ყველა შესაძლო გზით, იქნება ეს ციტატების მოშველიება თუ ადრე გაკეთებული კომენტარების ეთერში გაშვება.
- პირისპირ ინტერვიუს დროს ე. წ. Hard Talk-ის ფორმატის გადაცემებში ჟურნალისტმა უმჯობესია შეარჩიოს კონკრეტული საკითხი, რომლის შესახებაც შერჩეული რესპონდენტისგან მიიღებს მნიშვნელოვან ინფორმაციას. ამგვარი ეთერისთვის წამყვანი განსაკუთრებულად უნდა მოემზადოს, მან ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს საკითხი, რათა დასვას მწვავე, კრიტიკული კითხვები, ოპონირება გაუწიოს ფაქტებით, მონაცემებით, ამონარიდებით, საჭიროების შემთხვევაში არქივიდან მოიძიოს შესაბამისი მასალა და ეცადოს კითხვებზე კონკრეტული პასუხის მიღებას.

- შედეგების თვალსაზრისით, მეორე ტური პირველ ტურთან შედარებით არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამიტომაც განსაკუთრებით იმ არხებმა, რომელთა სამაუწყებლო ზონაშიც იმართება მეორე ტური, სასურველია, დრო დაუთმონ მეორე ტურში გასულ კანდიდატებს და აუდიტორიას დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ მათზე.
- მაუწყებელი უნდა ეცადოს, რომ რესპონდენტებს არ მისცეს სიძულვილის ენის გავრცელების საშუალება. რედაქციულად დასაბუთებული უნდა იყოს ეთერში იმ პირთა მიწვევა, რომლებიც ჰომოფობიური თუ ქსენოფობიური განცხადებებით არიან ცნობილი.

რადიოების მონიტორინგი

პროექტის შესახებ

„ინტერნიუსი - საქართველო“ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი“ - ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით აკვირდებოდა რადიომაუწყებლების მიერ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი 2017 წლის 19 ივნისს დაიწყო და 2017 წლის 19 ნოემბერს დასრულდა.

დაკვირვება ხორციელდებოდა 14 რადიომაუწყებლის საღამოს საინფორმაციო გამოშვებებზე: „რადიო 1“(საზოგადოებრივი მაუწყებელი), „იმედი“, „ფორტუნა“, „თავისუფლება“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „მაესტრო“, „აფხაზეთის ხმა“, „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი), „რიონი“ (ქ. ქუთაისი), „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი), „ჰერეთი“ (ქ. თბილისი/ლაგოდეხი), „მარნეული“ და „აჭარა“ (ქ. ბათუმი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი).

მონიტორინგის მეთოდოლოგია

რადიოარხების საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ დათვლად ინდიკატორებს, როგორიცაა სუბიექტებისთვის დათმობილი დრო (წამობრივად), ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი) და პირდაპირი / ირიბი გაშუქება ანუ ის, თუ ვინ საუბრობს სუბიექტზე, თავად თუ სხვა პიროვნება.

თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორიცაა ეთიკური და პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას, ხმით/მუსიკით მანიპულირებას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

19 ივნისი - 19 ნოემბრის პერიოდში რადიოარხების მონიტორინგმა შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოავლინა:

- ყველაზე მეტი დრო მთავრობას და ადგილობრივ ხელისუფლებას დაეთმოთ, პარტიებიდან კი - „ქართულ ოცნებასს“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“;
- რადიომაუწყებლების ეთერში პოლარიზება არ შეინიშნებოდა, თუმცა არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს ყურადღება ნაკლებად ეთმობოდათ;
- რადიომაუწყებლების უმეტესობა მიუკერძოებლად მუშაობდა, თუმცა წინა წლების მსგავსად, ჟურნალისტებს პროაქტიულობა აკლდათ;
- არჩევნების დღეს ვრცელი და ანალიტიკური გამოშვება მხოლოდ რამდენიმე რადიომაუწყებელმა მოამზადა; უმეტესობამ კი მიმდინარე მოვლენები ისევე ზედაპირულად გააშუქა, როგორც მთლიანად წინასაარჩევნო კამპანია;
- არჩევნების მეორე ტურის გაშუქებას რადიომაუწყებლების უმეტესობამ დრო ფაქტობრივად არ დაუთმო;
- რადიომაუწყებლებს შორის კონკურენცია ნაკლებად იგრძნობოდა: ჟურნალისტები ექსკლუზიურ სიუჟეტებს იშვიათად ამზადებდნენ. ხშირად, სხვადასხვა რადიოსადგურების გადმოცემული ინფორმაცია ერთმანეთის მსგავსი იყო;
- ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ;
- პოლიტიკოსების მოსახლეობასთან შეხვედრები აქტიურად შუქდებოდა, თუმცა, საარჩევნო პროგრამები და მერობის კანდიდატების ხედვები არ განხილულა;
- რადიომაუწყებლების უმეტესობა რეგიონებში მიმდინარე მოვლენების, სოციალური საკითხებისა და უმცირესობების პრობლემების გაშუქებას მცირე დროს უთმობდა;
- არჩევნების დასრულების შემდეგ რადიომაუწყებლების მუშაობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნებოდა და იგივე ტენდენციები დაფიქსირდა, რაც არჩევნებამდე პერიოდში;

რადიო 1 (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

„რადიო 1“ მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდა. წინა წლებთან შედარებით საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი რამდენიმე წუთით გაიზარდა, რაც ჟურნალისტებს საშუალებას აძლევდა თემები უფრო ფართოდ გაეშალათ და განსხვავებული პოზიციები წარმოეჩინათ. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო გამოშვებები შედარებით მრავალფეროვანი გახდა, კრიტიკული კითხვების ნაკლებობა ისევ პრობლემად დარჩა.

მაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 11 საათი და 37 წუთი დაუთმო. აქედან, 24% „ქართულ ოცნებაზე“, 17% - მთავრობასა და 10% „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ მოდიოდა. არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს ჯამში დროის 22% დაეთმოთ.

რადიომაუწყებელი ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს და საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას აქტიურად აშუქებდა, თუმცა მერობის კანდიდატებს მცირე დრო დაეთმოთ: თბილისის მერობის კანდიდატებს ჯამში 47 წუთი დაეთმოთ, ხოლო სხვა თვითმმართველი ქალაქების მერობის კანდიდატების აქტივობები არ გაშუქებულა.

ჟურნალისტები პოლიტიკოსთა განცხადებებს, უმეტესად, თავად ციტირებდნენ, რაც ნეიტრალური ტონის სიჭარბეზეც აისახა და სუბიექტების ირიბი გაშუქების საკმაოდ მაღალ (საშუალოდ, 80%) მაჩვენებელზეც.

საზოგადოებრივი რადიომაუწყებელი მოვლენებს, ძირითადად, დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდა. ჟურნალისტები პოლიტიკოსების მოსახლეობასთან შეხვედრების გაშუქებისას მხოლოდ მათ დაპირებებს აჟღერებდნენ, არ მომზადებულა სიუჟეტი, სადაც საარჩევნო პროგრამები სიღრმისეულად იქნებოდა განხილული.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვრცლად გააშუქა არჩევნების ორივე ტური. ჟურნალისტები აშუქებდნენ არჩევნების მიმდინარეობას როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დამკვირვებლებისა და არასამთავრობო სექტორის შეფასებებს, არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის მოსაზრებებს.

„რადიო 1“-სთვის კვლავაც პრობლემად რჩება ანალიტიკური, სოციალური და ამა თუ იმ მოწყვლადი ჯგუფის პრობლემებზე მომზადებული სიუჟეტების არარსებობა. სამწუხაროდ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვერ შეძლო ამ თემების საარჩევნო კონტექსტით წინა პლანზე წამოწევა და გაშუქება.

რადიომაუწყებლის ეთერში ჟურნალისტური სტანდარტები დაცული იყო. წინა წლების მსგავსად, იგი არც ერთი პოლიტიკური სუბიექტის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა, არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენის გამოყენება და ხმით/მუსიკით მანიპულაციის შემთხვევები.



პირველი რადიო

„პირველი რადიოს“ ეთერში ახალი ამბები აქტიურად შუქდებოდა. წინა წლებთან შედარებით, რადიომაუწყებელი უფრო დაბალანსებულ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, თუმცა მათ ანალიზი და სიღრმისეულობა აკლდათ. ჟურნალისტები კრიტიკულ კითხვებს არ სვამდნენ და პროაქტიულობითაც არ გამოირჩეოდნენ.

რადიომაუწყებლის ეთერში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 25 საათი და 15 წუთი დაეთმოთ. ყველაზე დიდი დრო (24%) „ქართული ოცნების“ გაშუქებაზე მოდიოდა, მას დათმობილი დროის 16%-ით მოჰყვება მთავრობა, 13%-ით -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და 10%-ით - „ევროპული საქართველო“.

მონიტორინგის მანძილზე უარყოფითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (36%) „ქართულ ოცნებას“ დაუგროვდა. ოპოზიციის წარმომადგენლები ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ, თუმცა მათი საპასუხო კომენტარები ხშირად არ შუქდებოდა. შესაბამისად, დაფიქსირდა პირდაპირი საუბრისთვის დათმობილი დროის არათანაბარი განაწილებაც: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (62%), „ევროპული საქართველო“ (65%), „ქართული ოცნება“ (30%).

„პირველი რადიოს“ ეთერში თბილისის მერობის კანდიდატებს, არხების უმეტესობასთან შედარებით, ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ: სახელისუფლებო პარტიის კანდიდატ კახა კალაძეს 21 წუთი დაუგროვდა, მას მოჰყვებიან „ევროპული საქართველოს“ მერობის კანდიდატი ელენე ხოშტარია 14 წუთით და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის

კანდიდატი ზაალ უდუმაშვილი 13 წუთით. თუმცა, გაშუქება ზედაპირული იყო, შუქდებოდა კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გაცემული დაპირებები, მაგრამ რამდენად რეალური იყო ისინი და კონკრეტულად როგორ აპირებდნენ პრობლემების მოგვარებას ჟურნალისტებს მათთვის არ უკითხავთ.

არხმა არჩევნების ორივე ტურის მიმდინარეობა ვრცლად გააშუქა. მსმენელს შესაძლებლობა ჰქონდა მოესმინა როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა კომენტარები.

რადიოს ეთერში გასული ახალი ამბები მეტწილად დაბალანსებული იყო. ჟურნალისტები ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ. გამოშვებებში არასამთავრობო სექტორის ხმაც ხშირად ისმოდა, თუმცა ჟურნალისტები ფაქტების გადამოწმებასა და დამატებითი ინფორმაციის მოძიებას ნაკლებად ცდილობდნენ.

ჟურნალისტების მეტი პროაქტიულობა და ისეთი თემების მიგნება, რომლებზეც პოლიტიკოსები პრესკონფერენციებზე არ საუბრობდნენ გადაცემებს უფრო ანალიტიკურსა და საინტერესოს გახდიდა.



რადიო „პალიტრა“

რადიო „პალიტრა“ ახალ ამბებს აქტიურად აშუქებდა. თუმცა, გასულ წელთან შედარებით, ჟურნალისტები პროაქტიულობით არ გამოირჩეოდნენ, შემცირდა მათ მიერ მოძიებული ექსკლუზიური თემების რაოდენობა. ისინი მწვავე კითხვებსაც იშვიათად სვამდნენ, რის გამოც ნეიტრალური ტონი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

რადიო „პალიტრამ“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 18 საათი დაუთმო. ამ დროის 25% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, 24% - „ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოზე“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 9% დაეთმო, ხოლო არასაპარლამენტო ოპოზიციას ჯამში დროის მხოლოდ 7%. მონიტორინგის სუბიექტებს პირდაპირი საუბრის თანაბარი შესაძლებლობა ეძლეოდათ, საშუალოდ, დროის 24%.

რადიომაუწყებელი საარჩევნო კამპანიას ზედაპირულად აშუქებდა და კანდიდატების განცხადებების გაჟღერებით შემოიფარგლებოდა. თბილისის მერობის კანდიდატებიდან ხუთ წუთზე მეტი დრო მხოლოდ სახელისუფლებო პარტიის კანდიდატ კახა კალაძესა და დამოუკიდებელ კანდიდატ ალექსანდრე ელისაშვილს დაეთმოთ. რეგიონებში მიმდინარე საარჩევნო კამპანია კი თითქმის არ გაშუქებულა. „პალიტრამ“ ნაკლები ყურადღება დაუთმო სოციალურ და ამა თუ იმ მოწყვლადი ჯგუფის პრობლემებსაც.

რადიო „პალიტრამ“ აქტიურად გააშუქა არჩევნების ორივე ტური. ჟურნალისტები მსმენელს თბილისსა და რეგიონებში საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას მიუკერძოებლად და ამომწურავად აწვდიდნენ.

სამონიტორინგო პერიოდში მსმენელს საშუალება ჰქონდა არხის ეთერით მოესმინა როგორც პოლიტიკოსების, ასევე არასამთავრობო სექტორისა და სპეციალისტების შეფასებები. რომელიმე სუბიექტის მიკერძოებულად გაშუქების შემთხვევები არ გამოვლენილა. თუმცა, გასულ წლებში გამოვლენილი დადებითი ტენდენციებიდან გამომდინარე, რადიომაუწყებლის მიმართ უფრო მეტი მოლოდინი არსებობდა, რომ ის მოვლენებს კრიტიკულად გააშუქებდა და წინასაარჩევნო კამპანიის შესახებ მსმენელს უფრო ამომწურავ ინფორმაციას მიაწოდებდა.



რადიო „თავისუფლება“

რადიო „თავისუფლების“ მსმენელს საშუალება ჰქონდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების სიღრმისეული ანალიზი მოესმინა. ჟურნალისტები ექსკლუზიურ სიუჟეტებსაც ამზადებდნენ. რადიომაუწყებლის ყურადღების მიღმა არც რეგიონები და მისი პრობლემატიკა დარჩენილა. თუმცა, წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას, წინა წლების მსგავსად, უმნიშვნელო დრო დაეთმო.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 19 საათი და 40 წუთი დაუთმო. ყველაზე დიდი დრო მთავრობას (24%), „ქართულ ოცნებასა“ (23%) და ადგილობრივ მთავრობას (11 %) დაუგროვდათ. სუბიექტებს დათმობილი დროის მეოთხედი პირდაპირი საუბრისთვის ეძლეოდათ.

რადიომაუწყებელი მოვლენებს მიუკერძოებლად და ვრცლად აშუქებდა. ჟურნალისტები პროაქტიულობით გამოირჩეოდნენ, ცდილობდნენ მოეძებნათ საინტერესო თემები. ექსკლუზიური სიუჟეტები ისეთ თემებზე (სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემები, სოფლის მეურნეობის საკითხები და ა.შ.) კეთდებოდა, რომლებიც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში ნაკლებად შუქდებოდა. ანალიტიკურ სიუჟეტებში წარმოდგენილი იყო ყველა მხარის: პოლიტიკოსების, არასამთავრობო სექტორისა და ექსპერტების პოზიციები. ჟურნალისტები პოლიტიკოსთა განცხადებების ფაქტობრივ გადამოწმებასაც ცდილობდნენ და კრიტიკულ კითხვებსაც სვამდნენ.

არჩევნების დღეს, 21 ოქტომბერს რადიომაუწყებელმა სპეციალური გამოშვება მოამზადა, სადაც რეგიონებში საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესები ვრცლად და ამომწურავად გააშუქა. ჟურნალისტები მსმენელს ინფორმაციას ადგილებიდან აწვდიდნენ, გაშუქდა სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებები დარღვევების შესახებ. კერძოდ, ვრცლად ისაუბრეს საარჩევნო სუბიექტების მხრიდან ამომრჩეველთა სარეგისტრაციო ნომრებით დაინტერესების შესახებ. მსმენელს საშუალება ჰქონდა თემის შესახებ ყველა მხარის მოსაზრება მოესმინა.

რადიომაუწყებელი დაბალანსებული და მიუკერძოებელი იყო. დღის მთავარი თემები სიღრმისეულად და ამომწურავად განიხილებოდა. სასურველი იქნება თუ რადიო „თავისუფლება“ თავის თავზე აიღებს მეტ პასუხისმგებლობას, რომ პარტიების საარჩევნო კამპანია უფრო ხშირად და მაღალი პროფესიული სტანდარტებით გააშუქოს.



რადიო "მაესტრო"

რადიო „მაესტრო“ ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, სადაც ინტენსიურად შუქდებოდა პოლიტიკური პროცესები, მათ შორის საარჩევნო კამპანიაში ჩართული პარტიების აქტივობები. სხვა რადიომაუწყებლებთან შედარებით, მნიშვნელოვანი დრო (საათი და 38 წუთი) დაეთმოთ თბილისის მერობის კანდიდატებსაც. თუმცა, მსმენელი,

ძირითადად, მათ განცხადებებს ისმენდა და ჟურნალისტები პოლიტიკოსებისთვის მწვავე კითხვების დასმას ნაკლებად ცდილობდნენ.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას ჯამში 29 საათი და 7 წუთი დაუთმო. ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებაზე“ (26%), მთავრობაზე (17%), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ (12%) და „ევროპულ საქართველოზე“ (10%) მოდიოდა. ჯამში 12% დაეთმოთ არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს.

რადიომაუწყებელი მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდა. თუმცა, დაუბალანსებელი გაშუქების ერთეული შემთხვევები მაინც დაფიქსირდა: ოპონენტები „ქართულ ოცნებას“ ბრალდებებს ხშირად უყენებდნენ, მმართველი გუნდის პოზიციები კი ზოგჯერ არ შუქდებოდა და არც თავად ჟურნალისტები ცდილობდნენ, რომ საკითხი მესამე მხარესთან მაინც გადაემოწმებინათ.

რადიომაუწყებელს საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი საშუალებას აძლევდა თემები უფრო სიღრმისეულად გაეშუქებინა. ახალ ამბებში გასულ ინფორმაციას, უმეტესად, პოლიტიკოსთა ზოგადი განცხადებები განსაზღვრავდა, და არა ჟურნალისტების მიერ მოძიებული და დღის წესრიგში დაყენებული საკითხები. ასევე სასურველი იქნებოდა, თუ აქცენტი დედაქალაქის გარდა რეგიონებზეც გაკეთდებოდა. აღნიშნული არჩევნების დღეების მოვლენების გაშუქებასაც შეეხება, როდესაც ყურადღება თბილისზე იყო კონცენტრირებული. გამონაკლისს წარმოადგენდა თიანეთში არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები, როდესაც ცნობილი გახდა, რომ დამოუკიდებელი კანდიდატი თამაზ მეჭიაური „ქართული ოცნების“ კანდიდატ ლელა ქიტესაშვილს რამდენიმე ხმით უგებდა. „მაესტრომ“ კანდიდატების დაპირისპირება და სასამართლო პროცესების შედეგები აქტიურად და დაბალანსებულად გააშუქა.

ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ. თუმცა, ანალიტიკას მოკლებული სიუჟეტები და რეგიონებსა თუ უმცირესობების თემატიკაზე ნაკლები ყურადღების გამახვილება პრობლემებად დარჩა.



რადიო „აფხაზეთის ხმა“

რადიო „აფხაზეთის ხმა“ მოკლე გამოშვებებს ამზადებდა. ჟურნალისტები ახალ ამბებს, საინფორმაციო სააგენტოების მსგავსად, მოკლედ და მშრალად გადმოსცემდნენ. რადიომაუწყებელი არც ერთი პოლიტიკური სუბიექტის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა.

მონიტორინგის სუბიექტებს სულ 2 საათი და 36 წუთი დაეთმოთ. ყველაზე ხშირად მთავრობა (23%), „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (22%) და პრეზიდენტი (12%) შუქდებოდნენ. მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების 100% ირიბ საუბარზე მოდიოდა. წამყვანის ტექსტი და ციტატები უმეტესად ნეიტრალური იყო.

რადიომაუწყებელი მსმენელს საარჩევნო კამპანიის შესახებ მწირ ინფორმაციას აწვდიდა. ეთერში გასული ინფორმაცია მსმენელს კანდიდატების, მათი საარჩევნო პროგრამებისა თუ საარჩევნო გარემოს საფუძვლიანი შეფასების შესაძლებლობას არ აძლევდა.

ჟურნალისტები დღის მთავარ ახალ ამბებს მოკლედ აჯამებდნენ და მსმენელს მხოლოდ მშრალ ფაქტებს აცნობდნენ. ჟურნალისტები მასალების გადამოწმებას იშვიათად ცდილობდნენ და ინფორმაცია, ხშირად, მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობოდა. თუმცა, მთლიანობაში ბალანსი რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ არ იხრებოდა, ნაჩვენები იყო როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის შეფასებები.

ჟურნალისტები მიუკერძოებლად მუშაობდნენ და სუბიექტურ შეფასებებსაც არ აკეთებდნენ. რადიომაუწყებლის მთავარ გამოწვევად ახალი ამბების მრავალფეროვანი, სიღრმისეული და მეტად დაბალანსებული გაშუქება რჩება.



რადიო „ფორტუნა“

რადიო „ფორტუნას“ ეთერში მცირე ქრონომეტრაჟის საინფორმაციო გამოშვებები გადიოდა და ახალი ამბები მოკლედ და ზედაპირულად შუქდებოდა. საინფორმაციო სააგენტოების სტილში მომზადებული მასალები ანალიზისა და ინფორმაციის ამომწურავად მიწოდების საშუალებას არ იძლეოდა.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი და 18 წუთი დაუთმო. ამ დროის 27% მთავრობას, 25% „ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ და 9% პრეზიდენტს შეეხებოდა. ჟურნალისტები პოლიტიკოსთა კომენტარებს თავად ციტირებდნენ.

რადიომაუწყებელმა წინასაარჩევნო კამპანია ზედაპირულად გააშუქა. თბილისის მერობის კანდიდატებისთვის დათმობილი დრო 4 წუთს არ აღემატებოდა.

რადიომაუწყებელი თემების და მონიტორინგის სუბიექტების მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა. ეთერში მთავარი პოლიტიკური ამბები მოკლედ შუქდებოდა. მართალია, მონიტორინგის რომელიმე სუბიექტის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ გამოვლენილა, თუმცა ცალკე აღებული ახალი ამბები დაუბალანსებელი იყო და ხშირად ერთ

წყაროს ეყრდნობოდა. ამგვარად, რადიომაუწყებლის გამოწვევად ისევ იმ პრობლემების მოგვარება რჩება, რომლებიც გასულ წლებშიც არაერთხელ დაფიქსირდა.



რადიო „იმედი“

რადიო „იმედი“ ახალ ამბებს მოკლედ გადმოსცემდა. ჟურნალისტები, ძირითადად, პოლიტიკოსთა განცხადებების მშრალი ციტირებით შემოიფარგლებოდნენ, მწვავე კითხვებს არ სვამდნენ და არც რესპონდენტთა განცხადებების გადამოწმებას ცდილობდნენ. გასულ წელთან შედარებით, სიუჟეტებში ფორმალური ბალანსი უფრო მეტად დაცული იყო. თუმცა, პროაქტიულობის ნაკლებობა და ერთფეროვანი თემატიკა კვლავაც პრობლემებად დარჩა.

მონიტორინგის სუბიექტებს 8 საათი და 17 წუთი დაეთმოთ. აქედან, დროის 28% „ქართულ ოცნებაზე“ მოდიოდა, 16% მთავრობას დაეთმო, 14% - პრეზიდენტს. მონიტორინგის სუბიექტებს დროის, საშუალოდ, 40% პირდაპირი საუბრისთვის ეძლეოდათ.

რადიო „იმედის“ სიუჟეტები დამატებითი ინფორმაციით, სპეციალისტების მოსაზრებებით და ანალიზით გამდიდრებული არ იყო. ჟურნალისტები ექსკლუზიურ სიუჟეტებს არ ამზადებდნენ და ეთერში ამა თუ იმ მოწყვლადი ჯგუფის პრობლემატიკა და ამ სენსიტიურ თემებზე პოლიტიკოსთა მოსაზრებებიც არ შუქდებოდა. ჟურნალისტების მეტი პროაქტიულობა და ისეთი თემების მიგნება, რომლებზეც პოლიტიკოსები პრესკონფერენციებზე არ საუბრობდნენ გადაცემებს უფრო მრავალფეროვანსა და ინფორმაციულს გახდიდა.

რადიომაუწყებელი არც ერთი პოლიტიკური გუნდის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა, თუმცა ხელისუფლების მიმართ კრიტიკითაც არ გამოირჩეოდა. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტები სამთავრობო გუნდის კრიტიკას მოერიდნენ. მაგალითად, როდესაც სამართალდამცავების მიერ დაკავების დროს მამაკაცის გარდაცვალებაზე სხვა მედიასაშუალებების ეთერში მწვავე კომენტარები კეთდებოდა, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მხრიდან გაკეთებულ ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს „იმედის“ ჟურნალისტმა „გაუგებრობა“ უწოდა (30.10.2017); როდესაც მედიასაშუალებები ლარის კურსის გაუფასურებაზე კრიტიკულ სიუჟეტებს ამზადებდნენ, რადიომაუწყებელმა მსმენელს მხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრის დამაიმედებელი კომენტარი შესთავაზა (31.10.2017).

რადიომაუწყებელი საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას ზედაპირულად აშუქებდა და ამ მხრივ გამონაკლისი არც არჩევნების დღეს მომზადებული საინფორმაციო გამოშვება იყო. რადიომაუწყებელის ეთერში ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის მკვეთრი შემთხვევები, სიძულვილის ენის გამოყენება და ხმით/მუსიკით მანიპულაციის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.



რადიო „ჰერეთი“ (ქ. თბილისი / ლაგოდეხი)

რადიო „ჰერეთი“ ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, სადაც ჟურნალისტები მწვავე კითხვების დასმას არ ერიდებოდნენ, ცდილობდნენ მოვლენები სხვადასხვა რაკურსით, სიღრმისეულად გაეშუქებინათ და თემებს შემდგომ გამოშვებებშიც დაბრუნებოდნენ. გადაცემები მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა არა მხოლოდ დედაქალაქსა და კახეთს, არამედ სხვა რეგიონებსაც. თუმცა, წინა წლების მსგავსად, საარჩევნო კამპანიის ზედაპირული გაშუქება კვლავაც პრობლემად დარჩა.

მონიტორინგის სუბიექტებს 16 საათი და 12 წუთი დაეთმოთ. აქედან დროის 27% „ქართულ ოცნებაზე“, 17% - მთავრობაზე და თითქმის 10-10% ადგილობრივ მთავრობასა და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ მოდიოდა. სახელისუფლებო გუნდი უფრო უარყოფით (49%) კონტექსტში შუქდებოდა, ვიდრე დადებითში (18%), რაც ჟურნალისტების მწვავე კითხვებითა და ოპოზიციის კრიტიკული განცხადებებით იყო განპირობებული. სიუჟეტების უმეტესობაში ბალანსი დაცული იყო და მმართველ გუნდს საპასუხო კომენტარის გაკეთების საშუალებაც ეძლეოდა. მათ დროის, საშუალოდ, 35% პირდაპირი საუბრისთვის დაეთმოთ. მთლიანობაში სუბიექტების პირდაპირ საუბარზე დროის, საშუალოდ, 55% მოდიოდა.

რადიო „ჰერეთი“ მოვლენების კრიტიკული გაშუქებით გამოირჩეოდა როგორც არჩევნებამდე, ისე არჩევნების შემდგომ პერიოდში. ჟურნალისტები ხშირად აშუქებდნენ ისეთ თემებს, რომლებსაც სხვა რადიომაუწყებლების უმეტესობა დროს არ უთმობდა. მაგალითად: გლეხების და სოციალურად დაუცველების პრობლემები, გენდერული და შრომის უფლებების საკითხი და ა.შ. ეს რადიომაუწყებელს საშუალებას აძლევდა ყურადღება კონკრეტულ პრობლემებზე გაემახვილებინა და მათ შესახებ პასუხისმგებელი პირების პოზიციები წარმოეჩინა. ამ საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტები მხოლოდ პოლიტიკოსთა განცხადებებს არ ეყრდნობოდნენ, ხშირად ისმოდა მოქალაქეთა ხმა და სპეციალისტების, მესამე სექტორისა თუ ოპოზიციის შეფასებები. სიუჟეტების უმეტესობა დაბალანსებული იყო, ხოლო როდესაც მეორე მხარის პოზიცია არ ჩანდა, ჟურნალისტები ამის მიზეზსაც ხშირად განმარტავდნენ.

რადიომაუწყებელი საარჩევნო კამპანიის სიღრმისეული გაშუქებით არ გამოირჩეოდა, თუმცა არჩევნების დღეს ხანგრძლივი საინფორმაციო გამოშვება მოამზადეს, სადაც სხვადასხვა რეგიონიდან პირდაპირი ჩართვები მრავლად იყო და დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენები ვრცლად მიმოიხილეს.

რადიომაუწყებლის ეთერში ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები დაცული იყო და მნიშვნელოვანი დარღვევები არ დაფიქსირებულა.



რადიო „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი)

რადიო „ძველი ქალაქი“, ძირითადად, იმერეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. ახალი ამბები დაბალანსებულად და მხარეთა პოზიციების ჩვენებით გადმოიცემოდა, თუმცა ჟურნალისტები მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ, რის გამოც როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია უფრო დადებითად გაშუქდა, ვიდრე კრიტიკულად.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 6 საათი და 09 წუთი დაუთმო. ამ დროის 19-19% ადგილობრივ მთავრობასა და „ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოზე“ მოდიოდა, 16% - მთავრობაზე. ოპოზიციურ პარტიებს შედარებით მცირე დრო დაეთმოთ. მათგან 29 წუთით პირველ ადგილზეა „საარჩევნო ბლოკი კუკავა-ბურჯანაძე“, რომელსაც მოჰყვებიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 24 წუთით და „ევროპული საქართველო“ 23 წუთით. მონიტორინგის სუბიექტებს დროის, საშუალოდ, 28% პირდაპირი საუბრისთვის ჰქონდათ.

ჟურნალისტები საარჩევნო კამპანიას ხშირად აშუქებდნენ. ერთ-ერთ გადაცემაში მათ თავი მოუყარეს ქუთაისის მერობის სხვადასხვა კანდიდატის წინასაარჩევნო დაპირებებს და მსმენელებს მათი ხედვები გააცნეს. რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის მსგავსი ტიპის ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან სხვა რადიომაუწყებლები, მათი მერობის კანდიდატებზე იშვიათად საუბრობდნენ. მაუწყებელს არჩევნების დღეებში საღამოს საინფორმაციო გამოშვებები არ მოუმზადებია, თუმცა აქტიურად და

დაბალანსებულად გააშუქა არჩევნების შემდგომი მოვლენები, დრო დაუთმო როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ამბებს, მოამზადა მოსახლეობის გამოკითხვა არჩევნების შედეგების და მათი მოლოდინების შესახებ.

„ძველი ქალაქი“ არც ერთი პოლიტიკური გუნდის მიმართ მიკერძოებიულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა. თუმცა, საინფორმაციო გამოშვებების ყურადღების მიღმა დარჩა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, გოგა ონიანის დაკავების ფაქტი მაშინ, როდესაც ამ ამბავს სხვა რადიომაუწყებლებმა საკმაოდ ვრცელი სიუჟეტები მიუძღვნეს.

რადიომაუწყებელი მოსახლეობის პრობლემებს (სასმელი წყლის, ინფრასტრუქტურის, დევნილებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების) ხშირად აშუქებდა და ამ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების და საარჩევნო სუბიექტების კომენტარებს აჟღერებდა.

ჟურნალისტები პროაქტიულად მუშაობდნენ და ახალი ამბებისთვის თემების მოძიებას აქტიურად ცდილობდნენ. მათ მთავარ გამოწვევად მოვლენების კრიტიკულად გაშუქება რჩება.



რადიო „რიონი“ (ქ. ქუთაისი)

რადიო „რიონი“ აქტიურად აშუქებდა როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ სიახლეებს. გადაცემებში დიდი დრო ეთმობოდა პარტიების საარჩევნო აქტივობების გაშუქებას, თუმცა ჟურნალისტები მწვავე კითხვებს არ სვამდნენ, რის გამოც ხელისუფლების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი თავი დადებითად წარმოეჩინათ.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 9 საათი და 26 წუთი დაუთმო. დროის ყველაზე დიდი წილი „ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ (28%), მთავრობასა (18%) და ადგილობრივ მთავრობას (12%) დაეთმოთ. ოპოზიციისთვის დათმობილი დრო შედარებით მცირე იყო: ჯამური დროის 20% საპარლამენტო ოპოზიციაზე მოდის, ხოლო 9% - არასაპარლამენტოზე. სუბიექტების გაშუქებისას დროის, საშუალოდ, 40% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

რადიომაუწყებელი საარჩევნო თემებს და კამპანიის მიმდინარეობას აქტიურად აშუქებდა. თუმცა, მსმენელს მერობის კანდიდატების ხედვებისა და პროგრამების შესახებ მწირი ინფორმაცია მიეწოდებოდა. არხმა ორივეჯერ აქტიურად გაშუქა არჩევნების მიმდინარეობა არა მარტო იმერეთის რეგიონში, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც. მაუწყებელმა მსმენელს განუმარტა ქუთაისში, მეორე ტურში გასული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის საარჩევნო ბიულეტენში დარჩენის მიზეზი იმის ფონზე, რომ პარტიამ პროტესტის ნიშნად უარი თქვა არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე.

გასული წლის მსგავსად, რადიომაუწყებლის მთავარი პრობლემა მოვლენების ზედაპირული გაშუქება იყო. ჟურნალისტების კითხვები ნაკლებად მწვავე იყო და პოლიტიკოსებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი თავი დადებით კონტექსტში წარმოეჩინათ. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემური ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქება იყო. მაშინ, როდესაც სოციალურ პრობლემებზე მომზადებულ სიუჟეტებს და საარჩევნო სუბიექტების თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას შეიძლება სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

რადიომაუწყებლის ეთერში ჟურნალისტური სტანდარტები დაცული იყო და მნიშვნელოვანი დარღვევები არ დაფიქსირებულა. მის მთავარ გამოწვევად ახალი ამბების მრავალფეროვანი, სიღრმისეული და უფრო მეტად დაბალანსებული გაშუქება რჩება.



რადიო „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი)

რადიო „ათინათი“, ძირითადად, სამეგრელოში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. ახალი ამბები მოკლე და ზედაპირული იყო. ჟურნალისტები მიუკერძოებლად მუშაობდნენ. თუმცა, პოლიტიკოსთა აქტივობებს ანალიზისა და ფაქტების გადამოწმების გარეშე გადმოსცემდნენ.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 3 საათი და 37 წუთი დაუთმო. ყველაზე მეტი დრო მთავრობას (31%) და ადგილობრივ ხელისუფლებას (18%), ხოლო პარტიებიდან „ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოსა“ (19%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (11%) დაუგროვდათ. სუბიექტებს დროის, საშუალოდ, 18% პირდაპირი საუბრისთვის ეძლეოდათ.

საინფორმაციო გამოშვებებში რეგიონის და ცენტრალური ახალი ამბები ზედაპირულად და ლაკონურად შუქდებოდა. წამყვანი დღის მთავარ ახალ ამბებს მოკლედ აჯამებდა და მსმენელს მხოლოდ მშრალ ფაქტებს აცნობდა. ასე გაშუქდა როგორც არჩევნებმდე, ისე არჩევნების შემდგომი პერიოდიც. ჟურნალისტები წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას ადგილობრივი მერობის კანდიდატების განცხადებებს ციტირებდნენ, თუმცა მათი ხედვებისა და პროგრამების შესახებ სიუჟეტები არ მომზადებულა.

რადიომაუწყებელის ეთერში ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის შემთხვევები, სიძულვილის ენის გამოყენება და ხმით/მუსიკით მანიპულაციის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.



რადიო „მარნეული“

რადიო „მარნეული“ აქცენტს ქვემო ქართლში მიმდინარე მოვლენებზე აკეთებდა, გადაცემების ბოლოს კი სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით დროს ცენტრალურ ახალ ამბებსაც უთმობდა. ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად და დაბალანსებულად აშუქებდნენ. არხი თემების მრავალფეროვნებით, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის, გარემოს დაცვისა თუ ეკონომიკური პრობლემების წინ წამოწევით გამოირჩეოდა. მიუხედავად ტექნიკური ხარვეზებისა, მას აქვს პოტენციალი მაღალი ხარისხის დამოუკიდებელ მაუწყებლად ჩამოყალიბდეს.

მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 5 საათი და 49 წუთი დაეთმოთ. ადგილობრივ ხელისუფლებას ყველაზე მეტი დრო (30%) დაუგროვდა, შემდეგ მოდიან „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (22%) და მთავრობა (18%). დროის, საშუალოდ, 30% სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის დაეთმოთ.

რადიო „მარნეული“ ქვემო ქართლში მიმდინარე მოვლენებს კრიტიკულად აშუქებდა. ჟურნალისტები ერთხელ გაშუქებულ თემებს შემდგომშიც უბრუნდებოდნენ, რაც მსმენელის მიმართ პასუხისმგებლიანი რადიომაუწყებლის ერთ-ერთი ინდიკატორია. ტექნიკური ხარვეზები, რომელიც მონიტორინგის დასაწყისში მრავლად შეინიშნებოდა, თანდათან მნიშვნელოვნად შემცირდა.

ჟურნალისტები საარჩევნო კამპანიას ინტენსიურად აშუქებდნენ. ისინი სხვა რადიომაუწყებლების უმეტესობისგან განსხვავებით კანდიდატების მოსახლეობასთან

შეხვედრების გაშუქებით არ შემოიფარგლებოდნენ და ცდილობდნენ არჩევნებში მონაწილე სუბიექტების პროგრამების შესახებაც ესაუბრათ.

ჟურნალისტები ექსკლუზიურ სიუჟეტებსაც ამზადებდნენ და ისეთ თემებს ეხებოდნენ, როგორიცაა ნაადრევი ქორწინება, ქალების პოლიტიკაში ჩართულობა, უმცირესობების უფლებები. ზოგჯერ მათ მიერ აღმოჩენილი პრობლემები სხვა მედიასაშუალებების ყურადღებასაც იქცევდნენ და ის, რაც მხოლოდ რეგიონის ლოკალურ პრობლემებად შეიძლება დარჩენილიყო, ქვეყნის მასშტაბით მთავარი თემა ხდებოდა. მაგალითად, ჟურნალისტის კითხვა, თუ რატომ არ ესწრებოდნენ ქალები მარნეულის ახლადარჩეული მერის მოსახლეობასთან შეხვედრას, მედიაში კვირის ერთ-ერთი აქტუალური თემა გახდა. აღსანიშნავია, რომ რადიომაუწყებელი გენდერული საკითხების მიმართ ყველაზე სენსიტიური მაუწყებელი აღმოჩნდა, რომელმაც ეს თემა არჩევნების კონტექსტშიც და მის გარეთაც არაერთხელ გააშუქა.

„მარენულს“ აქვს პოტენციალი, რომ მაღალი ხარისხის დამოუკიდებელ მაუწყებლად ჩამოყალიბდეს. აშკარაა, ჟურნალისტების სწრაფვა მოვლენები მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გააშუქონ, რაც ხარისხიანი რადიომაუწყებლობის მთავარი წინაპირობაა. თუმცა, რადიომაუწყებელს კიდევ ბევრი სამუშაო აქვს იმისთვის, რომ ახალი ამბების გამოშვებები უფრო სიღრმისეული გახადოს და ტექნიკური ხარვეზებიც ბოლომდე აღმოფხვრას.



რადიო „აჭარა“ (ქ. ბათუმი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი)

რადიო „აჭარა“ ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, თუმცა სიუჟეტები მშრალი და ზედაპირული იყო. დიდი დრო ეთმობოდა ხელისუფლების აქტივობების გაშუქებას, თუმცა ჟურნალისტები კრიტიკულ კითხვებს არ სვამდნენ და მმართველი გუნდი პოზიტიურ კონტექსტში შუქდებოდა.

მონიტორინგის სუბიექტებს 10 საათი და 26 წუთი დაეთმოთ. ამ დროის 72% ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის გაშუქებაზე მოდიოდა. უმნიშვნელო დრო დაეთმო საპარლამენტო ოპოზიციას: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 8%, ევროპული საქართველო - 3%, „პატრიოტთა ალიანსი“ – 1%. ყურადღების მიღმა არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებიც აღმოჩნდნენ, რომელთაც დრო თითქმის არ დათმობიათ.

რადიოარხის ეთერში განსაკუთრებით დადებითად აჭარის მთავრობა (70%) და ადგილობრივი თვითმმართველობები (51%) გაშუქდნენ. ეს ტენდენცია გასული წლის მონიტორინგის შედეგებმაც გამოავლინა, თუმცა წელს პრობლემა საზოგადოებრივი მაუწყებლის წინაშე უფრო მწვავედ იდგა.

რადიომაუწყებლის ვრცელი საინფორმაციო გამოშვებები საშუალებას იძლევა, რომ მოვლენები სხვადასხვა რაკურსით გაშუქებულიყო და ნაკლები პასუხგაუცემელი კითხვები დაეტოვებინა, თუმცა ჟურნალისტები ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის კრიტიკული კითხვების დასმას ერიდებოდნენ, სიუჟეტები ხშირად მხოლოდ სამთავრობო გუნდის განცხადებებს ეყრდნობოდა და ოპოზიციის მწვავე შეფასებები იშვიათად ისმოდა. დროის უმეტესი ნაწილი წარმატებით განხორციელებული სახელმწიფო პროექტების გაშუქებაზე მოდიოდა. საკითხებს, რომელიც სხვა მედიასაშუალებების ეთერში ხელისუფლების კრიტიკის მიზეზი ხდებოდა, რადიო „აჭარა“ შერბილებულად წარმოაჩენდა და ზოგჯერ სამთავრობო უწყებების ეფექტურ მუშაობამდეც დადიოდა (მაგ.: აზიური ფაროსანას პრობლემა, ბიძინა ივანიშვილის კომპანიისთვის სახელმწიფო ქონების გადაცემა და ა.შ.). ამასთან, კვლავაც პრობლემად დარჩა რესპონდენტების წარდგენა რის გამოც, ზოგჯერ გაუგებარი იყო თუ ვისი ხმა ისმოდა ეთერში.

მართალია, ხმით / მუსიკით მანიპულაციის და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები არ დაფიქსირებულა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით მსმენელამდე ობიექტური ინფორმაცია ვერ მივიდოდა.



რეკომენდაციები

წლების განმავლობაში დაგროვილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ რადიომაუწყებლებში პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება, სიუჟეტებში სხვადასხვა მხარეების პოზიციები გვხვდება და საინფორმაციო გამოშვებები უფრო დაბალანსებული გახდა. რადიომაუწყებლების უმეტესობა რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ ავლენდა, ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და არც ხმით / მუსიკით მანიპულაციის შემთხვევები დაფიქსირებულა. ეს საარჩევნო კამპანიის გაშუქებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, თუმცა მაღალი პროფესიული სტანდარტების დასაკმაყოფილებლად არასაკმარისი. რადიოარხების წინაშე მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას, საჭიროა რომ:

- მეტი პროაქტიულობა გამოიჩინონ და ისეთი თემები გააშუქონ, რომლებზეც პოლიტიკოსები პრესკონფერენციებზე არ საუბრობენ;
- დასვან კრიტიკული, არგუმენტირებული კითხვები;
- მეტი დრო დაუთმონ საარჩევნო სუბიექტების პროგრამების და ხედვების განხილვას;
- მეტი ყურადღება მიაქციონ რეგიონებში მიმდინარე პროცესებს;
- მეტი დრო დაუთმონ სოციალურ და უმცირესობების პრობლემებს და ამ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტიკოსების პოზიციები გააცნონ მსმენელს;
- რადიოარხების უმრავლესობაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კვლავ დარჩა რესპონდენტების წარდგენა - მსმენელისთვის ხშირად გაუგებარი იყო ვინ საუბრობდა.

ონლაინ მედიის მონიტორინგი

„სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი“ - ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით აკვირდებოდა ქართული ბეჭდური მედიის მიერ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2017 წლის 19 ივნისს და დასრულდა 2017 წლის 19 ნოემბერს.

დაკვირვება ხორციელდებოდა შემდეგ ონლაინ გამოცემებზე: adjaraps.com, ambebi.ge, batumelebi.ge, chemikharagauli.com, for.ge, inforustavi.ge, interpessnews.ge, knews.ge, kutaisipost.ge, livepress.ge, medianews.ge, netgazeti.ge, news.ge on.ge, presa.ge, qartli.ge, reginfo.ge, sknews.ge, tabula.ge, telegraph.ge.

კვლევის მეთოდოლოგია: მედიამონიტორინგის ფარგლებში შერჩეულ მედიასაშუალებებზე დაკვირვება ხდება როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. რაოდენობრივი კვლევისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე თუ რა სიხშირით შუქდება ესა თუ ის სუბიექტი შერჩეულ მედიასაშუალებაში და თუ რა ტონით შუქდება აღნიშნული სუბიექტი. თვისებრივი კვლევისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე თუ რამდენად იცავს შერჩეული მედიასაშუალება ჟურსალიტური ეთიკის ნორმებს, როგორებიც არის: გადამოწმებული და დაზუსტებული ფაქტების გაშუქება, ჟურნლისტის ტერმინოლოგია, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, საკითხების გონივრული ბალანსის დაცვით გაშუქება, ვიზუალური, აუდიო, ან რაიმე სხვა სახის მანიპულაცია, ჟურნალისტთა მხირიდან ფაქტებით გამყარებული მსჯელობა და დასკვნები და ა.შ. მონიტორინგი ხორციელდებოდა ყველა შერჩეული მედიასაშუალების ყველა სტატიაზე მონიტორინგის დაწყების დღიდან მის დასრულებამდე.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი **ძირითადი მიგნებები**:

- მონიტორინგისთვის შერჩეულ ვებგვერდთა უმეტესობაზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ;

- ვებგვერდების უმეტესობა სტატიებს ამზადებდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის გარეშე;
- შერჩეულ ვებგვერდებზე თითქმის არ შეგვხვედრია შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენება ჟურნალისტთა მხრიდან;
- ონლაინ მედიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს საკითხების ზედაპირული გაშუქება და სიღრმისეული და კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა;
- სოციალური და ეკონომიკური პრობლემების კრიტიკული და მრავალმხრივი ანალიზი უფრო ხშირად გვხვდებოდა რეგიონულ გამოცემებში;
- მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო დაპირებები უმეტეს შემთხვევებში ვრცელდებოდა ანალიზის გარეშე;
- საკმაოდ იშვიათად შუქდებოდა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები და აღნიშნული პროგრამების ანალიზი;
- შერჩეული ვებგვერდების დიდმა უმრავლესობამ აქტიურად და საკმაოდ ობიექტურად გააშუქა როგორც არჩევნების პროცესი, ასევე არჩევნების შედეგები და მეორე ტურთან დაკავშირებული პროცედურები;
- სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. ვებგვერდების ნაწილი საერთოდ არ ურთავდა სარეკლამო სტატიებს შესაბამის მითითებას, ნაწილი კი ურთავდა, მაგრამ არასათანადოდ.

adjaraps.com

მონიტორინგის პერიოდში adjaraps.com-ზე ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა. თუმცა, ვებგვერდი განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებდა მხოლოდ მმართველი გუნდის საქმიანობას.

adjaraps.com-ზე ყველაზე აქტიურად აჭარის მთავრობისა (43%) და „ქართული ოცნების“ (25%) საქმიანობა გაშუქდა. ორივე აღნიშნული სუბიექტის გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოვლინდა მთავრობის (34%) გაშუქებისას, რაც განაპირობა იმან, რომ მონიტორინგის პერიოდში ვებგვერდმა გამოაქვეყნა ვრცელი ინტერვიუ ინჟინერ-ჰიდროლოგთან, რომელიც აკრიტიკებდა მთავრობის საქმიანობას აჭარის სანაპირო ზოლის დაცვასთან დაკავშირებით (*„აჭარის სანაპიროს კატასტროფა და წყალში გადაყრილი ნასესხები მილიონები...“*, 5 სექტემბერი). ბათუმის მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა ვეგვერდს არ გაუშუქებია.

მონიტორინგის პერიოდში adjaraps.ge-ზე ქვეყნდებოდა „ქართული ოცნების“ პრესსამსახურის მიერ მომზადებული მასალები (მაგალითად, *„ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი შუახევში აქტიურ შეხვედრებს მართავს“*, 19 სექტემბერი). აღნიშნულ მასალებს ჰქონდა

მითითება, თუმცა მითითებაში არ ჩანდა იყო თუ არა ეს სტატიები მომზადებული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში. თუ აღნიშნული სერვისი არის კომერციული, მაშინ, უმჯობესია, რომ ვებგვერდმა უფრო გასაგებად შეატყობინოს მკითხველს ამის შესახებ.



ambebi.ge

მონიტორინგის პერიოდში ambebi.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

ambebi.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (36%) და „ქართული ოცნების“ (18%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილისა (45%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (30%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. თბილისის მერობის კანდიდატთა გაშუქებისას დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები არ გამოვლენილა.

უნდა აღინიშნოს, რომ ambebi.ge-ზე შეინიშნება მკვეთრი გაუმჯობესება როგორც ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვის, ასევე მიმდინარე

პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებლად გაშუქების კუთხით. 2017 წლის მედიამონიტორინგის პერიოდში ambebi.ge ობიექტურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.



batumelebi.ge

მონიტორინგის პერიოდში batumelebi.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. გვხვდებოდაა ინტერვიუები ბათუმის მერობის კანდიდატებთან, რომლებიც მომზადებული იყო ობიექტურად და პროფესიონალურად.

batumelebi.ge-ზე დადებითი ან უარყოფითი ტონის განასაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. ვებგვერდზე თანაბრად და მიუკერძოებლად შუქდებოდა ბათუმის მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა. აქტიურად და მიუკერძოებლად გაშუქდა არჩევნების პროცესი და შედეგები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ batumelebi.ge-მ ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქა მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. აღსანიშნავია, რომ

ვებგვერდი სათანადოდ მიჯნავს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს სარედაქციო მასალებისგან.



chemikharagauli.com

მონიტორინგის პერიოდში chemikharagauli.com-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, თუმცა მცირედით ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებელი მმართველი პარტიისა და მთავრობის გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

chemikharagauli.com-ზე ყველაზე აქტიურად ადგილობრივი მთავრობის (37%), „ქართული ოცნებისა“ (21%) და მთავრობის (15%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის მაჩვენებლები ჭარბობდა ბლოკის „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“ (57%), მთავრობისა (31%) და „ქართული ოცნების“ (30%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

Chemikharagauli.com აქტიურად აშუქებდა რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. აღნიშნული საკითხების გაშუქებისას ვებგვერდზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან

უარყოფით განწყობა რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ. მიუკერძოებლად გაშუქდა როგორც მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა, ასევე არჩევნების შედეგები.



for.ge

მონიტორინგის პერიოდში for.ge-ზე შეინიშნებოდა დადებითი განწყობა მმართველი გუნდისა და თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კალაძის, მიმართ. ვებგვერდზე სარეკლამო სტატიები ქვეყნდებოდა სათანადო მინიშნების გარეშე.

for.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნებისა“ (38%) და მთავრობის (14%) საქმიანობა გაშუქდა. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები კი ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (32%), საქართველოს პრეზიდენტისა (26%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (26%) გაშუქებისას გამოვლინდა. თბილისის მერობის კანდიდატებს შორის კახა კალაძეს დაეთმო ოთხჯერ მეტი გაშუქება, ვიდრე სხვა ყველა კანდიდატს ერთად. დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი (59%) გამოვლინდა აღნიშნული კანდიდატის გაშუქებისას.

for.ge-ზე სარეკლამო მასალები ქვეყნდებოდა შესაბამისი მითითების გარეშე. მაგალითად, 5 სექტემბერს მონიტორინგისთვის შერჩეულმა ექვსმა ვებგვერდმა იდენტური ტექსტით გამოაქვეყნა სტატია კახა კალაძის ბრიტანეთის ელჩთან შეხვედრის შესახებ. აღნიშნული

ექვსი ვებგვერდიდან ნაწილს ჰქონდა სარეკლამო მინიშნება, ნაწილს ჰქონდა არასათანადო მითითება, ხოლო ნაწილს, მათ შორის for.ge-ს, საერთოდ არ მიუთითებია, რომ აღნიშნული სტატია იყო სარეკლამო. თუ აღნიშნული მასალა არ არის მომზადებული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში, მაგრამ მიწოდებულია პოლიტიკური პარტიის პრეს-ცენტრის მიერ, ასეთ შემთხვევაშიც, ვებგვერდმა უნდა მიუთითოს თუ საიდან არის აღნიშნული მასალა მოპოვებული და რომ ის არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სარედაქციო ნამუშევარს.

For.ge-ზე საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა interpessnews.ge-ზე განთავსებული სტატიები, რომლებსაც მითითებული არ ჰქონდა თუ საიდან იყო მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ასეთი სტატიები interpressnews.ge-ზე ქვეყნდებოდა სარეკლამო ნიშნით, ხოლო for.ge-ზე სარეკლამო მითითების გარეშე.



inforustavi.ge

მონიტორინგის პერიოდში inforustavi.ge-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

inforustavi.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (40%) და ადგილობრივი მთავრობის (26%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი (28%) გამოვლინდა „ევროპული საქართველოს“ გაშუქებისას, რაც განაპირობა იმან, რომ ვებგვერდმა გამოაქვეყნა

რუსთავის მერიის საკმაოდ ვრცელი განცხადება, სადაც რუსთავის მერია კრიტიკულად პასუხობდა „ევროპული საქართველოს“ რუსთავის მერობის კანდიდატის მხრიდან წარმოდგენილ ბრალდებებს (*„ნინო იმედაშვილი უბრალოდ ცრუობს“*, 3 ოქტომბერი). რუსთავის მერობის სხვა კანდიდატთა გაშუქებისას დადებითი ან უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები არ გამოვლენილა.

inforustavi.ge-ზე სარეკლამო სტატიები გამიჯნულია სარედაქციო მასალებისგან, თუმცა არასათანადოდ. აღნიშნულ სტატიებს ახლავს მინიშნება, წრეში ჩასმული ლათინური სიმბოლო R. უმჯობესია, რომ ვებგვერდმა უფრო გარკვევით მიუთითოს სარეკლამო სტატიებს, რათა აღნიშნული მითითება გასაგები იყოს ნებისმიერი მკითხველისთვის.



interpessnews.ge

მონიტორინგის პერიოდში interpressnews.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა. თუმცა, ვებგვერდზე კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები სათანადოდ არ არის გამიჯნული სარედაქციონ მასალებისგან.

interpessnews.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნებისა“ (25%) და მთავრობის (24%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი

გამოვლინდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (71%) გაშუქებისას. უარყოფით ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებლები ერგოთ ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს (22%), საქართველოს პრეზიდენტსა (18%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (17%). დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

თბილისის მერობის კანდიდატთა შორის ყველაზე აქტიურად კახა კალაძის (57%) საქმიანობა გაშუქდა. დადებით ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები თბილისის მერობის არც ერთი კანდიდატის გაშუქებისას არ გამოვლენილა. ვებგვერდზე აქტიურად და ობიექტურად გაშუქდა არჩევნების პროცესი, შედეგები და არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული პროცედურები.

interpessnews.ge-ზე სარეკლამო მასალებს აქვს მითითება, რომელიც არ არის ნებისმიერი მკითხველისთვის მარტივად გასაგები, რადგან მითითებები შესრულებელია ლათინური სიმბოლოებით (სიმბოლო “NS” რომელთან კურსორის მიახლოების შედეგად იწერება “News from Subscriber”). უმჯობესი იქნება, რომ ვებგვერდმა მსგავს სტატიებს დაურთოს ისეთი მინიშნებები, რომლებიც უფრო მარტივად გასაგები იქნება მკითხველისთვის.



knews.ge

მონიტორინგის პერიოდში knews.ge-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფით განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, თუმცა ვებგვერდზე

მცირედით ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები მთავრობის გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.

knews.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (41%) და ადგილობრივი მთავრობის (18%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მთავრობისა (27%) და „ევროპული საქართველოს“ (23%) გაშუქებისას გამოვლინდა. უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

knews.ge-ზე განსაკუთრებულად აქტიურად არ გაშუქებულა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეგვხვდა საკმაოდ საინტერესო სტატია არჩევნებში ქალი კანდიდატების ჩართულობასთან დაკავშირებით (*„რატომ პასიურობენ ქალები არჩევნების დროს“*, 18 აგვისტო).

knews.ge აქტიურად აშუქებდა რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. აღნიშნული საკითხები რიგ შემთხვევებში გაშუქებული იყო სიღრმისეულად და წარმოდგენილი იყო როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები (მაგალითად, *„თელავის ცხოვრება 2014 წლის ადგილობრივი არცევნებიდან დღემდე“*, 28 ივნისი).

არჩევნების დღეს knews.ge-ზე აქტიურად და ობიექტურად გაშუქდა ხმის მიცემის პროცესი, დარღვევები საარჩევნო უბნებზე და ამომრჩეველთა რაოდენობა დღის განმავლობაში.



kutaisipost.ge

მონიტორინგის პერიოდში kutaisipost.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. აღსანიშნავია, რომ სათანადოდ იყო გამიჯნული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები სარედაქციო მასალებისგან.

kutaisipost.ge-ზე ყველაზე აქტიურად ადგილობრივი მთავრობის (34%), მთავრობისა (24%) და „ქართული ოცნების" (17%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

kutaisipost.ge-ზე გვხვდებოდა ვებგვერდის მიერ მომზადებული ვიდეო გადაცემათა ციკლი „თავისუფალი ტრიბუნა", სადაც წარმოდგენილი იყო ინტერვიუები როგორც ქუთაისის მერობის კანდიდატებთან, ასევე სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებთან. აღნიშნული გადაცემები მომზადებული იყო ობიექტურად და არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფით განწყობა ქუთაისის მერობის რომელიმე კანდიდატის მიმართ.

kutaisipost.ge-ზე სარეკლამო სტატიები სათანადოდ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან. მაგალითად, 5 სექტემბერს მონიტორინგისთვის შერჩეულმა ექვსმა ვებგვერდმა იდენტური ტექსტით გამოაქვეყნა სტატია კახა კალაძის ბრიტანეთის ელჩთან შეხვედრის შესახებ. აღნიშნული ექვსი ვებგვერდიდან ნაწილს არ ჰქონდა სარეკლამო მინიშნება, ნაწილს ჰქონდა არასათანადო მითითება, ხოლო ნაწილს, მათ შორის kutaisipost.ge-ს, სათანადოდ, ნებისმიერი მკითხველისთვის გასაგებად ჰქონდა მითთებული, რომ აღნიშნული სტატია იყო სარეკლამო.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ kutaisipost.ge-მ აქტიურად და მიუკერძოებლად გააშუქა 2017 წლის არჩევნები. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.



livepress.ge

მონიტორინგის პერიოდში livepress.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე სათანადოდ იყო გამიჯნული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები სარედაქციო მასალებისგან.

livepress.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (27%), „ქართული ოცნებისა“ (21%) და ადგილობრივი მთავრობის (17%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

livepress.ge-ზე თანაბრად და მიუკერძოებლად შუქდებოდა ზუგდიდის მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა. აქტიურად და ობიექტურად გაშუქდა არჩევნების შედეგები.

livepress.ge-ზე სარეკლამო სტატიები სათანადოდ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან. მაგალითად, 5 სექტემბერს მონიტორინგისთვის შერჩეულმა ექვსმა ვებგვერდმა იდენტური ტექსტით გამოაქვეყნა სტატია კახა კალაძის ბრიტანეთის ელჩთან შეხვედრის შესახებ. აღნიშნული ექვსი ვებგვერდიდან ნაწილს არ ჰქონდა სარეკლამო მინიშნება, ნაწილს ჰქონდა არასათანადო მითითება, ხოლო ნაწილს, მათ შორის livepress.ge-ს,

სათანადოდ, ნებისმიერი მკითხველისთვის გასაგებად ჰქონდა მითთებული, რომ აღნიშნული სტატია იყო სარეკლამო.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ livepress.ge-მ ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქა მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. სტატიები მზადდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით.



medianews.ge

მონიტორინგის პერიოდში medianews.ge-ზე განთავსებული სტატიების დაახლოებით 40 პროცენტი მთავრობის საქმიანობას ეხებოდა. ვებგვერდზე კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები არ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

medianews.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (40%) და „ქართული ოცნების“ (15%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები აჭარის მთავრობის (39%), პრემიერ-მინისტრისა (29%) და ადგილობრივი მთავრობის (27%) გაშუქებისას გამოვლინდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კი ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილსა (68%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს (36%) ერგოთ. თბილისის მერობის კანდიდატებს შორის ყველაზე აქტიურად კახა კალაძე (49%) გაშუქდა.

თბილისის მერობის კანდიდატებს შორის დადებითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელიც (49%) კახა კალაძეს ერგო.

medianews.ge-ზე სარეკლამო მასალები ქვეყნდებოდა შესაბამისი მითითების გარეშე. მაგალითად, 5 სექტემბერს მონიტორინგისთვის შერჩეულმა ექვსმა ვებგვერდმა იდენტური ტექსტით გამოაქვეყნა სტატია კახა კალაძის ბრიტანეთის ელჩთან შეხვედრის შესახებ. აღნიშნული ექვსი ვებგვერდიდან ნაწილს ჰქონდა სარეკლამო მინიშნება, ნაწილს ჰქონდა არასათანადო მითითება, ხოლო ნაწილს, მათ შორის medianews.ge-ს, საერთოდ არ მიუთითებია, რომ აღნიშნული სტატია იყო სარეკლამო; 4 სექტემბერს გამოქვეყნებული სტატია კახა კალაძის საარჩევნო პროგრამის შესახებ interpressnews.ge-ზე გამოქვეყნდა რეკლამის ნიშნით, ხოლო medianews.ge-ზე იგივე სტატია გამოქვეყნდა სარეკლამო მინიშნების გარეშე. თუ აღნიშნული მასალები არ არის მომზადებული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში, მაგრამ მიწოდებულია პოლიტიკური პარტიის პრეს-ცენტრის მიერ, ასეთ შემთხვევაშიც, ვებგვერდმა უნდა მიუთითოს თუ საიდან არის აღნიშნული მასალა მოპოვებული და რომ ის არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სარედაქციო ნამუშევარს.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ medianews.ge-ზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სარეკლამო სტატიების შესაბამისი მინიშნების გარეშე გამოქვეყნება.



netgazeti.ge

მონიტორინგის პერიოდში netgazeti.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. netgazeti.ge გამოირჩეოდა საკითხების კრიტიკული ანალიზით.

netgazeti.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (30%) და „ქართული ოცნების“ (18%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

თბილისის მერობის კანდიდატებს შორის ყველაზე აქტიურად დამოუკიდებელი კანდიდატი, ალექსანდრე ელისაშვილი, (21%) გაშუქდა. თბილისის მერობის კანდიდატთა გაშუქებისას ვებგვერდზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფით განწყობა რომელიმე კანდიდატის მიმართ. ვებგვერდმა აქტიურად და ობიექტურად გააშუქა არჩევნების პროცესი, შედეგები და არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული პროცედურები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ netgazeti.ge-მ ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქა 2017 წლის არჩევნები. აღსანიშნავია, რომ ვეგვბვერდზე სათანადოდ იყო გამიჯნული კომერციული ხელშეკრულების ფარლებში მომზადებული სტატიები სარედაქციო მასალებისგან.



news.ge

მონიტორინგის პერიოდში news.ge-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. თუმცა, „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატს, კახა კალაძეს, ეთმობოდა მეტი გაშუქება ვიდრე თბილისის მერობის ყველა სხვა კანდიდატს ერთად. აღნიშნული კანდიდატის გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები.

news.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (31%) და „ქართული ოცნების“ (21%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კი ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილსა (59%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს (31%) ერგოთ.

წინასაარჩევნო პერიოდში ვებგვერდზე გვხვდებოდა სტატიები კახა კალაძის წინასაარჩევნო შეხვედრებთან დაკავშირებით. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც აღნიშნული სტატიები პრაქტიკულად იდენტური ტექსტით ქვეყნდებოდა interpressnews.ge-ზე რეკლამის ნიშნით, ხოლო news.ge-ზე სარეკლამო მითითების გარეშე (მაგალითად, *„კახა კალაძე რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს შეხვდა“*, 5 ოქტომბერი; *“კახა კალაძე კრწანისის რაიონის სხვადასხვა ქუჩის მოსახლეობას შეხვდა“*, 25 სექტემბერი). აუცილებელია, რომ ვებგვერდმა მკითხველისთვის გასაგებად მიუთითოს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს.



on.ge

მონიტორინგის პერიოდში on.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. on.ge მომხმარებელს სთავაზობდა მრავალფეროვან მულტიმედია პროდუქტს.

on.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (31%) და „ქართული ოცნების“ (19%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. ვებგვერდზე თანაბრად და მიუკერძოებლად შუქდებოდა თბილისის მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა. აქტიურად და ობიექტურად გაშუქდა არჩევნების დღე, დარღვევები საარჩევნო უბნებზე და არჩევნების შედეგები.

on.ge-ზე კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები ქვეყნდებოდა შესაბამისი მითითებით, თუმცა, აღნიშნული მითითება, შესაძლებელია, რომ ნებისმიერი მკითხველისთვის არ იყოს გასაგები. აღნიშნულ სტატიებს მითითებული ჰქონდა „ქვეყნდება გავრცელების სერვისით“. უმჯობესია, რომ ვებგვერდმა სტატიებს დაურთოს ისეთი მითითება, რომელიც ნებისმიერი მკითხველისთვის გასაგებს გახდის, რომ აღნიშნული სტატია არის მომზადებული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ on.ge-მ ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.



presa.ge

მონიტორინგის პერიოდში presa.ge-ზე განსაკუთრებულად აქტიურად შუქდებოდა „ქართული ოცნებისა“ და ამ პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კალაძის, საქმიანობა. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა, თუმცა, შეგვხვდა შემთხვევები, როდესაც გამოცემის ჟურნალისტები არ აკონკრეტებდნენ ინფორმაციის წყაროებს. Presa.ge-ზე კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები არ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

presa.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნებისა“ (34%) და მთავრობის (20%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილს (58%) ერგო. აღსანიშნავია, რომ კახა კალაძის წინასაარჩევნო საქმიანობას ვებგვერდმა დაუთმო ოთხჯერ მეტი გაშუქება, ვიდრე თბილისის მერობის ყველა დანარჩენ კანდიდატს ერთად.

presa.ge-ზე გვხვდებოდა შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტი არ აკონკრეტებდა თუ საიდან ჰქონდა წარმოდგენილი ინფორმაცია მოპოვებული; მაგალითად: „სახელმწიფო კანცელარიიდან მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით სუბარის მოხსნა დევნილთა მზარდ უკმაყოფილებას უკავშირდება... პრემიერის გარემოცვა აცხადებს რომ გიორგი კვირიკაშვილს უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილება სოზარ სუბარის „ჩამოლაბორანტების“ თაობაზე...“ (*„სუბარი მიდის... სახლში“*, 5 სექტემბერი).

presa.ge-ზე სარეკლამო მასალები ქვეყნდებოდა შესაბამისი მითითების გარეშე. მაგალითად, 5 სექტემბერს მონიტორინგისთვის შერჩეულმა ექვსმა ვებგვერდმა იდენტური ტექსტით გამოაქვეყნა სტატია კახა კალაძის ბრიტანეთის ელჩთან შეხვედრის შესახებ. აღნიშნული ექვსი ვებგვერდიდან ნაწილს ჰქონდა სარეკლამო მინიშნება, ნაწილს ჰქონდა არასათანადო მითითება, ხოლო ნაწილს, მათ შორის presa.ge-ს, საერთოდ არ მიუთითებია, რომ აღნიშნული სტატია იყო სარეკლამო; 4 ოქტომბერს გამოქვეყნებული სტატია „ქართული ოცნების“ ოზურგეთის მერობის კანდიდატის მოსახლეობასთან შეხვედრასთან დაკავშირებით livepress.ge-ზე გამოქვეყნდა რეკლამის ნიშნით, ხოლო presa.ge-ზე იგივე სტატია გამოქვეყნდა სარეკლამო მითითების გარეშე. თუ აღნიშნული მასალები არ არის მომზადებული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში, მაგრამ მიწოდებულია პოლიტიკური პარტიის პრეს-ცენტრის მიერ, ასეთ შემთხვევაშიც, ვებგვერდმა უნდა მიუთითოს თუ საიდან არის აღნიშნული მასალა მოპოვებული და რომ ის არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სარედაქციო ნამუშევარს.



qartli.ge

მონიტორინგის პერიოდში qartli.ge-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიური ძალის მიმართ. ვებგვერდი აქტიურად აშუქებდა რეგიონში არსებულ სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემებს.

qartli.ge-ზე ყველაზე აქტიურად ადგილობრივი მთავრობის (32%), მთავრობისა (24%) და ქართული ოცნების (18%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

qartli.ge-ზე აქტიურად შუქდებოდა როგორც რეგიონში განხორციელებული წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე შეუსრულებელი სამუშაოების კრიტიკული შეფასებები. ობიექტურად შუქდებოდა გორის მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა.

qartli.ge-ზე სათანადოდ იყო გამიჯნული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები სარედაქციო მასალებისგან. თუმცა, რეკლამის ნიშანი, განთავსებული იყო სტატიის ბოლოს და შესაძლებელია, რომ ნებისმიერი მკითხველისთვის ადვილად შესამჩნევი არ ყოფილიყო. უმჯობესია, რომ ვებგვერდმა აღნიშნული სარეკლამო

მინიშნება განათავსოს ისე, რომ უფრო მარტივად შესამჩნევი გახდეს ნებისმიერი მკითველისთვის.



reginfo.ge

მონიტორინგის პერიოდში reginfo.ge-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე მცირედით ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები ადგილობრივი მთავრობის გაშუქებისას.

reginfo.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (39%), „ქართული ოცნებისა“ (17%) და ადგილობრივი მთავრობის (13%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი კი ადგილობრივ მთავრობას (37%) ერგო.

მონიტორინგის პერიოდში reginfo.ge-ზე საკმაოდ ხშირად ქვეყნდებოდა სტატიები საბიუჯეტო თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით (მაგალითად, *„სატყეო სააგენტოს უფროსმა ერთ წელში 13 პრემია და დანამატი აიღო“*, 22 აგვისტო; *„ბორჯომის გამგებლის 19 პრემია და დანამატი ორ წელიწადში“*, 23 აგვისტო; *„შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა ერთ წელიწადში დანამატი 41-ჯერ აიღო“*, 3 ნოემბერი; *„ფინანსური პოლიციის უფროსმა გიორგი ბადაშვილმა ერთ წელში დანამატი 29-ჯერ აიღო“*, 7 ნოემბერი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ reginfo.ge-მ მიუკერძოებლად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. ვებგვერდი განსაკუთრებულად აქტიურად და კრიტიკულად აშუქებდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებულ საკითხებს.



sknews.ge

მონიტორინგის პერიოდში sknews.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. sknews.ge მომხმარებელს სთავაზობდა მრავალფეროვან მულტიმედია პროდუქტს.

sknews.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (21%), „ქართული ოცნებისა“ (18%) და ადგილობრივი მთავრობის (17%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

sknews.ge აქტიურად და მიუკერძოებლად აშუქებდა სხვადასხვა პარტიის მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობას (მაგალითად, *„ევროპული საქართველოს ახალციხის მერობის კანდიდატი ვაჟა ჩიტაშვილია“*, 18 ივლისი; *„ნაცმოძრაობიდან ახალციხის მერობის კანდიდატი ირაკლი ბარძიმაძეა“*, 6 აგვისტო). აქტიურად და

ობიექტურად გაშუქდა არჩევნების პროცესი, არჩევნების შედეგები და მეორე ტურთან დაკავსირებული პროცედურები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ sknews.ge-მ ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქა 2017 წლის არჩევნები. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე გვგხდებოდა ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება ცალკეულ სტატიებში.



tabula.ge

მონიტორინგის პერიოდში tabula.ge-ზე შედარებით ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.

tabula.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (27%), „ქართული ოცნებისა“ (21%) და „ევროპული საქართველოს“ (10%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (53%), „ქართული ოცნების“ (32%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (29%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (24%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

თბილისის მერობის კანდიდატებს შორის ყველაზე აქტიურად კახა კალაძე (44%) გაშუქდა. თბილისის მერობის კანდიდატების გაშუქებისას უარყოფით ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კახა კალაძის (24%) გაშუქებისას გამოვლინდა.

tabula.ge-მ აქტიურად და მიუკერძოებლად გააშუქა არჩევნების პროცესი, შედეგები და არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული პროცედურები.



telegraph.ge

მონიტორინგის პერიოდში telegraph.ge-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, თუმცა ვებგვერდზე ნაკლებად გვხვდებოდა რეგიონში არსებული სოციალური თუ ინფრასტრუქტურული პროექტების მრავალმხრივი და კრიტიკული ანალიზი. ვებგვერდზე ძირითადად მმართველი გუნდის საქმიანობა შუქდებოდა.

telegraph.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (47%), ადგილობრივი მთავრობისა (27%) და „ქართული ოცნების“ (12%) საქმიანობა გაშუქდა. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები არ გამოვლენილა.

telegraph.ge-ზე ნაკლები სიხშირით შუქდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატიების სამ მეოთხედზე მეტი ცენტრალური და რეგიონული მთავრობის საქმიანობის გაშუქებას

დაეთმო. აღნიშნული საკითხების გაშუქებისას ნაკლებად გვხდებოდა კრიტიკული ანალიზი და ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება ცალკეულ სტატიებში.



დასკვნა

გასულ წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებთან შედარებით ქართულ ონლაინ მედიაში შეინიშნებოდა გაუმჯობესება როგორც პოლიტიკური ძალების გაშუქების ბალანსის, ასევე ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვის კუთხით. რეგიონულ გამოცემებში პრაქტიკულად არ გვხვდებოდა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

ონლაინ მედიის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს საკითხების სიღრმისეული ანალიზის ნაკლებობა. ვებგვერდები, ხშირ შემთხვევებში, მხოლოდ პოლიტიკოსთა განცხადებებსა და სახვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა საქმიანობას აშუქებდნენ. თუმცა, რეგიონულ გამოცემებში უფრო ხშირად გვხვდება სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემების კრიტიკული და მრავალმხრივი ანალიზი. ასევე, რეგიონულ გამოცემებში უფრო ხშირად გვხვდებოდა ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება ცალკეულ სტატიებში; რეგიონული პრობლემების განხილვისას ხშირად გვხვდებოდა როგორც

ხელისუფლების წარმომადგენელთა, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები ცალკეულ სტატიებში.

ონლაინ მედიის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარეკლამო მასალებისგან. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირად გვხვდებოდა „ქართული ოცნების" თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კალაძის, წინასაარჩევნო საქმიანობის გაშუქებისას. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც აღნიშნული სტატიები რამდენიმე ვებგვერდზე ერთდროულად ქვეყნდება და მხოლოდ ნაწილს ჰქონდა მითითებული, რომ ეს სტატიები იყო სარეკლამო.

ონლაინ მედიაში იშვიათად გვხვდებოდა კრიტიკული შეკითხვები საარჩევნო სუბიექტების მიმართ და მათი დაპირებების კრიტიკული ანალიზი. უმეტეს შემთხვევებში, ვებგვერდები უცვლელად და ანალიზის გარეშე აქვეყნებდნენ სხვადასხვა კანდიდატის წინასაარჩევნო დაპირებებს.

ონლაინ გამოცემების დიდმა უმრავლესობამ აქტიურად და საკმაოდ ობიექტურად გააშუქა როგორც არჩევნების პროცესი, ასევე არჩევნების შედეგები და მეორე ტურთან დაკავშირებული პროცედურები.

რეკომენდაციები:

- სასურველია, რომ ონლაინ გამოცემებმა მკითხველს უფრო ხშირად შესთავაზონ საკითხების სიღრმისეული ანალიზი;
- ჟურნალისტები უნდა შეეცადონ, რომ ცალკეულ სტატიებში მკითხველს შესთავაზონ ინფორმაციის წყაროთა და მოსაზრებათა მრავალფეროვნება, რათა სტატიაში წარმოდგენილი მოსაზრებები არ იყოს ცალმხრივი და მკითხველს მიეცეს საშუალება, გაეცნოს განსხვავებულ მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხზე და თავად გამოიტანოს დასკვნები;
- მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში არსებული პრობლემების გაშუქებისას მედიასაშუალებამ მკითხველს შესთავაზოს ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით
- სასურველია, რომ ჟურნალისტები უფრო კრიტიკულად მიუდგნენ პოლიტიკოსთა განცხადებებს და მათი გამონათქვამების უკომენტაროდ გაშუქების ნაცვლად, მეტი ყურადღება დაუთმონ ფაქტების გადამოწმებასა და ანალიზს;
- ონლაინ მედიასაშუალებებმა უნდა მიუთითონ ინფორმაციის წყაროთა ვინაობა. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაცია შეიცავს მძიმე ბრალდებას რომელიმე პოლიტიკოსისა თუ სახელმწიფო უწყების მიმართ;
- უმჯობესია, რომ რეგიონულმა ონლაინ გამოცემებმა მეტი ყურადღება დაუთმონ რეგიონში არსებული ფინანსური თუ ინფრასტრუქტურული პრობლემების

სიღრმისეულ ანალიზს; მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში არსებული პრობლემების გაშუქებისას მედიასაშუალებამ მკითხველს შესთავაზოს ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით;

- აუცილებელია, რომ მედიასაშუალებამ გარკვევით მიუთითოს თუ მის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატია არ წარმოდაგენს რედაქციის ნამუშევარს;
- ონლაინ მედიასაშუალებებმა მკაფიოდ უნდა გამიჯნონ კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები სარედაქციო მასალებისგან.
- თუ ონლაინ მედიასაშუალება აქვეყნებს რომელიმე პოლიტიკური პარტიის პრეს-ცენტრის მიერ მიწოდებულ მასალას, ასეთ შემთხვევაში, ვებგვერდმა მკითხველს უნდა შეატყობინოს იმის შესახებ თუ საიდან არის აღნიშნული მასალა მოპოვებული და რომ ის არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სარედაქციო ნამუშევარს.

ბეჭდური მედიის მონიტორინგი

„სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი“ - ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით აკვირდებოდა ქართული ბეჭდური მედიის მიერ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2017 წლის 19 ივნისს და დასრულდა 2017 წლის 19 ნოემბერს.

დაკვირვება ხორციელდებოდა შემდეგ გამოცემებზე: „რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“, „ასავალ-დასავალი“, „გურია news”, „ახალი გაზეთი“, „პოსტსკრიპტუმი“, „სპექტრი“, „გურიის მოამბე“, „თრიალეთის ექსპრესი“, „ბოჯომი“, „სვანეთი“, „მთავარი თემა სამეგრელოში“.

კვლევის მეთოდოლოგია: მედიამონიტორინგის ფარგლებში შერჩეულ მედიასაშუალებებზე დაკვირვება ხდება როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. რაოდენობრივი კვლევისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე თუ რა სიხშირით შუქდება ესა თუ ის სუბიექტი შერჩეულ მედიასაშუალებაში და თუ რა ტონით შუქდება აღნიშნული სუბიექტი. თვისებრივი კვლევისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე თუ რამდენად იცავს შერჩეული მედიასაშუალება ჟურსალიტური ეთიკის ნორმებს, როგორებიც არის: გადამოწმებული და დაზუსტებული ფაქტების გაშუქება, ჟურნლისტის ტერმინოლოგია, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, საკითხების გონივრული ბალანსის დაცვით გაშუქება, ვიზუალური, აუდიო, ან რაიმე სხვა სახის მანიპულაცია, ჟურნალისტთა მხირიდან ფაქტებით გამყარებული მსჯელობა და დასკვნები და ა.შ. მონიტორინგი ხორციელდებოდა ყველა შერჩეული მედიასაშუალების ყველა სტატიაზე მონიტორინგის დაწყების დღიდან მის დასრულებამდე.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი **ძირითადი მიგნებები**:

- არც ერთ რეგიონულ გამოცემაში არ გვხვდებოდა ისეთი შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია, როგორიც გასული წლების მონიტორინგის პერიოდებში სისტემატურად გვხვდებოდა თბილისში გამოცემულ არაერთ გაზეთში;

- რეგიონული გამოცემების დიდი უმრავლესობა პოლიტიკურ ძალებს აშუქებდა ობიექტურად და მიუკერძოებლად;
- რეგიონული გამოცემების დიდი უმრავლესობა აქტიურად აშუქებდა რეგიონში არსებულ სოციალურ პრობლემებს და ცდილობდა აღნიშნულ პრობლემებზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარების მოპოვებას;
- რეგიონული გამოცემების დიდი უმრავლესობა აქტიურად აშუქებდა როგორც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წარმატებით განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ასევე შეუსრულებელი სამუშაოების კრიტიკულ შეფასებებს;
- რეგიონულ გამოცემებში გვხვდებოდა ინტერვიუები, სადაც ჟურნალისტები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ახსენებდნენ წინასაარჩევნო დაპირებებს და ეკითხებოდნენ თუ რამდენად შესრულდა აღნიშნული დაპირებები;
- რეგიონულ გამოცემებში ხშირად გვხვდებოდა ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება ცალკეულ სტატიებში. რეგიონში არსებული პრობლემების გაშუქებისას რესპონდენტებად ხშირად იყვნენ წარმოდგენილნი როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე - ადგილობრივი მოსახლეობა;
- რეგიონულ პრესაში არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობები რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მიმართ;
- რეგიონული გამოცემების უმეტესობა თანაბარ ფართობს უთმობდა სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა წინასაარჩევნო საქმიანობის გაშუქებას;
- მხოლოდ ორ რეგიონულ გამოცემაში („ბორჯომი“ და „სვანეთი“) შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი განწყობა ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მიმართ;
- მონიტორინგისთვის შერჩეულ ყველა რეგიონულ გამოცემაში სათანადოდ იყო გამიჯნული სარეკლამო სტატიები სარედაქციო მასალებისგან;
- სარეკლამო მასალების არასათანადო მითითება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა გაზეთში „რეზონანსი“;
- დაუდასტურებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები გამოვლინდა გაზეთში „კვირის პალიტრა“;
- პრაქტიკულად ყველანაირი ჟურნალისტური სტანდარტისა და ეთიკის ნორმის დარღვევის შემთხვევები გვხვდება „ასავალ-დასავალის“ ყველა ნომერში.
- გაზეთების უმრავლესობამ ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქა არჩევნების შედეგები და არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული პროცედურები;

რეზონანსი

მონიტორინგის პერიოდში „რეზონანსში“ არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „რეზონანსში“ კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები არ არის სათანადოდ გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

მონიტორინგის პერიოდში ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნების“ (26%), მთავრობისა (24%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (9%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. თბილისის მერობის კანდიდატებს შორის დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კახა კალაძეს (42%) ერგო.

„რეზონანსში“ კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები ქვეყნდებოდა სათანადო მინიშნების გარეშე. გასული წლების მონიტორინგის პერიოდებში „რეზონანსში” ამ ტიპის სტატიები გვხვდებოდა ჩარჩოში ჩასმული, ხოლო გაზეთის ბოლო გვერდზე საკმაოდ წვრილი შიფტით იყო მითითებული, რომ ჩარჩოში ჩასმული სტატიები იყო სარეკლამო. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში კი სარეკლამო სტატიების ნაწილი აღარც ჩარჩოში იყო ჩასმული და აღნიშნულ სტატიებს დასაწყისში ჰქონდა მითითებული რუბრიკის სახელი იგივე ფორმატით, როგორც სხვა რუბრიკებს. მაგალითად, მონიტორინგის მოცემულ პერიოდში რუბრიკით „მოვლენა“ გამოქვეყნდა ორი საკმაოდ ვრცელი სტატია „ქართული ოცნებისა“ და ამ პარტიის თბილისის მერობის კანდიდატ კახა კალაძის შესახებ (*„თბილისის ერთგულება და სიყვარული - 25 კანდიდატი ერთი ნიშნით გაერთიანდა“*, 4 სექტემბერი, გვ. 3; *„7 მიმართულება სიცოცხლით სავსე ქალაქისთვის”*, 6 სექტემბერი, გვ. 3), რომლებსაც მითითება არ ჰქონია, რომ აღნიშნული სტატიები იყო სარეკლამო.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „რეზონანსი“ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მინდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გაზეთის სტატიებში არ გვხვდება ჟურნალსიტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. თუმცა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სარეკლამო სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან.



კვირის პალიტრა

მონიტორინგის პერიოდში „კვირის პალიტრაში“ შედარებით ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები როგორც მთავრობის, „ქართული ოცნებისა“ და რეგიონული თვითმმართველობების, ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. თუმცა, აღნიშნული კრიტიკა ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტის მხრიდან დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანობის გაშუქებისას.

„კვირის პალიტრაში“ ყველაზე აქტიურად მთავრობის (26%), „ქართული ოცნებისა“ (25%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (12%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა ადგილობრივი მთავრობის (57%), პარლამენტის თავმჯდომარისა (51%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (45%) გაშუქებისას. თბილისის მერობის კანდიდატთა გაშუქებისას დადებითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი კახა კუკავას (45%) ერგო.

„კვირის პალიტრაში“ არაერთხელ შეგვხვდა დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები. სტატიაში *„ერთი ვერსიით „ზონი“ სააკაშვილის ერთგული იყო და უკრაინის სპეცსამსახურებმა მოიშორეს“* (11-17 სექტემბერი, გვ. 5), ჟურნალისტი წერს: „თემურ მახაური, იგივე რუსლან პაპასკირი, 2007 წელს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მცდელობის საქმეში ფიგურირებდა. მაშინ სპეცსამსახურებმა ეს საქმე გია დგებუაძეს, მეტსახელად „მასტერას“ მიანდეს. ითქვა, რომ „მასტერა“ ვინმე უვაის ახმედოვს ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად დუბაიში შეხვდა. კილერობა რუსლან პაპასკირს უნდა ეკისრა“. სტატიაში არ ჩანს თუ საიდან აქვს ჟურნალისტს აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებული. გვხვდებოდა შემთხვევები, როდესაც „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტები არ აკონკრეტებდნენ ინფორმაციის წყაროს; მაგალითად: „კვირის პალიტრის“ ინფორმაციით, აუდიტის სახელმწიფო სამსახურში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისა და შემომწირველების გამოკითხვა იგეგმება“ *(„დღეს საქართველოში ნომენკლატურული კაპიტალიზმია“*, 11-17 სექტემბერი, გვ. 6). აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტთა მხრიდან დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელება ძირითადად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობის გაშუქებისას გვხვდებოდა.

წინასაარჩევნო პერიოდში „კვირის პალიტრაში“ გვხვდებოდა ინტერვიუები თბილისის მერობის კანდიდატებთან. აღნიშნული ინტერვიუები მომზადებული იყო პროფესიონალურად და არ შეიმჩნეოდა ჟურნალისტთა მხრიდან დადებითი ან უარყოფითი განწყობა თბილისის მერობის რომელიმე კანდიდატის მიმართ.



ასავალ-დასავალი

მონიტორინგის პერიოდში „ასავალ-დასავალში“ სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უკიდურესად უხეში დარღვევის შემთხვევები. გამოცემაში შეინიშნებოდა უკიდურესად უარყოფითი განწყობა როგორც ყოფილი, ასევე მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ. სისტემატურად ჰქონდა ადგილი დაუსაბუთებელ მსჯელობასა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას ჟურნალისტთა მხრიდან. გაზეთი განსაკუთრებით დიდ ფართობს უთმობს ისეთ რესპონდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენებით.

„ასავლ-დასავალში“ ყველაზე აქტიურად ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (25%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (16%), „ქართული ოცნებისა“ (12%) და მთავრობის (9%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „გირჩის“ (86%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (86%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (84%), ევროპული საქართველოს (82%), „რესპუბლიკური პარტიისა“ (76%) და საქართველოს პრეზიდენტის (76%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი ექს-პრემიერ მინისტრ ბიძინა ივანიშვილს (19%) ერგო. ნეიტრალური ტონის მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა ბლოკის „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“ (99%) გაშუქებისას. თბილისის მერობის კანდიდატებს შორის დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კახა კალაძეს (50%), უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი მაჩვენებლები კი ელენე ხოშტარიასა (85%) და ზაალ უდუმაშვილს (81%) ერგოთ.

„ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები ხშირად იყენებდნენ შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას პოლიტიკოსთა გაშუქებისას; მაგალითად: „წარმოდიგინეთ, რა დონეზე უნდა დაეცეს პარტიად წოდებული (აწ უკვე ასო!) რესპუბლიკური პარტია, რომ პოლიტიკურ, საჯარო არჩევნებში ამ „მამალი ლესბოსელის“ გარდა, მხარდამჭერი ვერავინ მოძებნოს!“ (*„რესპუბლიკელები თბილისის მერად ლესბოსელ კანდიდატს ემხრობიან!“*, 21-27 აგვისტო, გვ. 8); სისტემატურად გვხვდებოდა მოვლენების ცალმხრივი გაშუქება და დაუსაბუთებელი მსჯელობა ჟურნალისტთა მხრიდან; მონიტორინგის მოცემულ პერიოდში შეგვხვდა არაერთი სტატია, სადაც საქართველოს ტერიტორიაზე 2017 წელს ხანძრების გაჩენა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ბრალდებოდა (მაგლითად, სტატიებში *„ხანძარი ნაცებმა პოლიტიკური ბრძოლის იარაღად აქციეს“*, 21-27 აგვისტო, გვ. 2; *„აგვისტოს **ბორჯომი**“*, 28 აგვისტო - 3 სექტემბერი, გვ. 2; *„ნაცხანძრალი საქართველო“*, 4-10 სექტემბერი, გვ8). აღნიშნულ სტატიებში ბრალდებები წარმოდგენილი იყო ცალმხრივად და არ ჩანდა ჟურნალისტის მცდელობა, რომ მკითხველისთვის გაეცნო განსხვავებული მოსაზრებები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ასავალ-დასავალი“ ცალმხრივად და არაობიექტურად აშუქებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გაზეთის ჟურნალისტები არ

ერიდებიან დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებას, დაუსაბუთებელ მსჯელობასა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის სისტემატურ გამოყენებას.



გურია news

მონიტორინგის პერიოდში „გურია news"-ში არ შეინიშნებოდა დადებით ან უარყოფით განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

„გურია news"-ში ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნების" (31%), ადგილობრივი მთავრობისა (21%) და მთავრობის (13%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. დადებით ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი კი პრემიერ-მინისტრს (59%) ერგო.

„გურია news" საკმაოდ აქტიურად აშუქებდა როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე მოვლენებს. რეგიონული მოვლენების გაშუქებისას ჩანდა მცდელობა, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები. გაზეთში ხშირად გვხვდებოდა რეგიონში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების კრიტიკული ანალიზი (მაგალითად, სტატიებში: *„გაპიარებული კურორტის პრობლემები"*, 14 აგვისტო, გვ. 4;

„რამდენჯერ და ვის მივმართეთ - ერთი სოფლის მარადიული პრობლემა“, 12 ოქტომბერი, გვ. 3). მონიტორინგის პერიოდში გვხვდებოდა რეკლამის ნიშნით განთავსებული „ქართული ოცნების“ სარეკლამო მასალები. აღსანიშნავია, რომ „გურია news” სათანადოდ მიჯნავს სარეკლამო სტატიებს სარედაქციო მასალებისგან.

აქტიურად და ობიექტურად გაშუქდა არჩევნების მეორე ტური. „გურია news” მკითხველს სთავაზობდა ინფორმაციას მეორე ტურის პროცესისა და შედეგების შესახებ (მაგალითად, სტატიებში: *„პირველადი მონაცემებით, ოზურგეთის მერი კონსტანტინე შარაშენიძე გახდა“*, 13 ნოემბერი, გვ. 1; *„მთავარი თემა: არჩევნების მეორე ტურში 6 საარჩევნო ოლქიდან 5-ში „ქართული ოცნების“ კანდიდატი იმარჯვებს“*, 13 ნოემბერი, გვ. 1).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „გურია news” ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გაზეთში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



ბორჯომი

მონიტორინგის პერიოდში „ბორჯომში“ ცალსახად შეინიშნებოდა უაღრესად დადებითი განწყობა ადგილობრივი მთავრობის მიმართ. სტატიების ნახევარზე მეტი სწორედ ადგილობრივი მთავრობის მიერ რეგიონში განხორციელებულ საქმიანობას ეხება.

„ბორჯომში“ ყველაზე აქტიურად ადგილობრივი მთავრობის (58%), „ქართული ოცნებისა“ (12%) და „პატრიოტთა ალიანსის“ (10%) საქმიანობა გაშუქდა. სამივე აღნიშნული სუბიექტის გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები.

ადგილობრივი მთავრობის გაშუქება „ბორჯომში“ ხდებოდა ცალმხრივად. არ ჩანდა ჟურნალიტთა მცდელობა, რომ მკითხველისთვის მიეწოდებინათ განსხვავებული მოსაზრებები რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ. რესპონდენტებად უმეტეს შემთხვევებში ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები და „ქართული ოცნების“ დეპუტატები იყვნენ წარმოდგენილნი. თითქმის არ გვხვდებოდა კრიტიკული მოსაზრებები და რეგიონში არსებული სოციალური პრობლემების მრავალმხრივი ანალიზი.

მმართველი გუნდის მიმართ ცალსახად დადებითი განწყობა შეინიშნებოდა ჟურნალისტთა ტექსტებსა და სტატიების სათაურებშიც; მაგალითად: „ამომრჩეველზე ზრუნვით დაღლილი“ (13 ივლისი, გვ. 2). აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ პარტიებს შორის გაშუქდა მხოლოდ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატთა წარდგენა რეგიონში (*„ძლიერი თვითმმართველობა, ძლიერი სახელმწიფოსთვის“*, 5 ოქტომბერი, გვ. 1). არჩევნების მეორე ტურის პერიოდში კი „ბორჯომში“ ცალსახად შეინიშნებოდა „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატის მხარდაჭერა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ბორჯომი“ ცალმხრივად აშუქებს რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. აღსანიშნავია, რომ გაზეთის მთავარ გვერდზე გვხვდება წარწერა „იყავით მუდამ ინფორმირებული ჩვენი საქმიანობის შესახებ. ბორჯომის მუნიციპალიტეტი“. თუ გაზეთი ფინანსდება საბიუჯეტო სახსრებით, ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ გაზეთმა უფრო გარკვევით მიუთითოს და შესაბამისად, შეატყობინოს მკითხველს ამის შესახებ.



მთავარი თემა სამეგრელოში

მონიტორინგის პერიოდში გაზეთში „მთავარი თემა სამეგრელოში“ არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებით ან უარყოფით განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. გამოცემაში ძირითადად რეგიონში მიმდინარე მოვლენები შუქდებოდა. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

გაზეთში „მთავარი თემა სამეგრელოში“ ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნებისა“ (30%) და ადგილობრივი მთავრობის (26%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. წინასაარჩევნო პერიოდში გაზეთს აქტიურად არ გაუშუქებია ფოთის მერობის კანდიდატთა საარჩევნო პროგრამები.

გაზეთში აქტიურად შუქდებოდა სოციალური საკითხები და რეგიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევებში ჟურნალისტები ცდილობდნენ გაშუქებული საკითხის შესახებ მკითხველისთვის გაეცნოთ როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები (მაგალითად, სტატიებში *„სენაკი არჩევნებიდან არჩევნებამდე“*, 19-26 ივნისი, გვ. 3-4; *„კაცაძის ქუჩაზე მცხოვრები ორი ოჯახი დახმარებას ითხოვს“*, 30 ოქტომბერი - 6 ნოემბერი, გვ. 5).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გაზეთში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



გურიის მოამბე

მონიტორინგის პერიოდში „გურიის მოამბეში“ შეინიშნებოდა საკმაოდ კრიტიკული განწყობა მმართველი გუნდის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

„გურიის მოამბეში“ ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნებისა“ (38%) და ადგილობრივი მთავრობის (19%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფით ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (72%), ადგილობრივი მთავრობისა (54%) და „ქართული ოცნების“ (50%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

„გურიის მოამბე“ გამოირჩეოდა ადგილობრივი მთავრობის მიერ განხორციელებული სამუშაოების კრიტიკული ანალიზით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემა ასევე აშუქებდა რეგიონში განხორციელებული წარმატებული პროექტების შესახებ. აქტიურად შუქდებოდა რეგიონში არსებული სოციალური პრობლემები და ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები. „გურიის მოამბეში“ გვხვდებოდა სტატიები რეგიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების პრობლემებზე (მაგალითად, სტატიებში: *„8 თვის ფეხმძიმეს სამი დღეა ლუკმა არაფერი მიჭამია, ჩემს 7 წლის შვილსაც რამდენჯერ დაუძინია მშიერს“*, 2 ოქტომბერი, გვ5; *„თურქეთში სამუშაოდ არ წავედი, სოციალურს მომიხსნიან-მეთქი და ახლა ოთხი შვილი მშიერი მყავს“*, 16 ოქტომბერი, გვ. 3).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „გურიის მოამბე“ საკმაოდ კრიტიკულად არის განწყობილი მმართველი გუნდის მიმართ. გაზეთი გამოირჩევა რეგიონში განხორციელებული სამუშაოების კრიტიკული ანალიზით.



პოსტსკრიპტუმი

მონიტორინგის პერიოდში „პოსტსკრიპტუმში“ არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფით განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, თუმცა გაზეთში შედარებით ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები მთავრობის გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

„პოსტსკრიპტუმში“ ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნებისა“ (29%) და მთავრობის (13%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი კი მთავრობას (32%) ერგო.

მონიტორინგისთვის შერჩეული ბევრი სხვა რეგიონული გამოცემისგან განსხვავებით, „პოსტსკრიპტუმში“ შუქდებოდა მნიშვნელოვანი საკითხები სხვადასხვა რეგიონიდან. წინასაარჩევნო პერიოდში „პოსტსკრიპტუმში“ აქტიურად გაშუქდა ინფორმაცია ქუთაისის მერობის კანდიდატთა შესახებ (მაგალითად, სტატიებში: *„პარტიების წინასაარჩევნო სამზადისი ქუთაისში და მერობის კანდიდატურათა ახალი ვერსიები“*, 10-16 ივლისი, გვ. 1-2; *„ვის არ ეყოლება მერობის კანდიდატი ქუთაისში”*, 17-23 ივლისი, გვ. 1), ხოლო არჩევნების შემდეგ მკითხველს სთავაზობდა დეტალურ ინფორმაციას არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით (მაგალითად, სტატიებში: *„ქუთაისს უკვე ახალი საკრებულო ჰყავს“*, 30 ოქტომბერი, გვ. 1; *„ადგილობრივი თვითმმართველობის შედეგები იმერეთში“*, 30 ოქტომბერი, გვ. 3). გაზეთში გვხვდებოდა რეკლამის ნიშნით განთავსებული სტატიები „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიისა და ცენტრალური თუ რეგიონული მთავრობის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „პოსტსკრიპტუმმა“ ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქა საარჩევნო პროცესები. გაზეთში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. აღსანიშნავია, რომ „პოსტსკრიპტუმი“ სათანადოდ მიჯნავს სარეკლამო სტატიებს სარედაქციო მასალებისგან.



თრიალეთის ექსპრესი

მონიტორინგის პერიოდში „თრიალეთის ექსპრესში“ ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები პრაქტიკულად ყველა სუბიექტის გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

„თრიალეთის ექსპრესში“ ყველაზე აქტიურად მთავრობის (31%) „ქართული ოცნებისა“ (23%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (14%) საქმიანობა გაშუქდა. სუბიექტების გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებელი მონიტორინგის არც ერთი სუბექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

„თრიალეთის ექსპრესში“ ნაკლებად გვხვდებოდა რეგიონში მიმდინარე მოვლენების მრავალმხრივი გაშუქება. რესპონდენტებად, ძირითადად, პოლიტიკოსები იყვნენ წარმოდგენილნი. იშვიათად გვხვდებოდა რეგიონში მიმდინარე მოვლენების კრიტიკული ანალიზი.

გაზეთმა ობიექტურად გააშუქა წალკის მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამები (*„წალკის მერობისთვის ხუთი კანდიდატი იბრძვის“*, ოქტომბერი, გვ. 2). თუმცა, ჟურნალისტის მხრიდან არ ჩანდა მცდელობა, რომ მერობის კანდიდატებისთვის დაესვა კრიტიკული შეკითხვები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „თრიალეთის ექსპრესში“ არ შეინიშნება რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ სუბიექტური განწყობა. გაზეთის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს რეგიონში მიმდინარე მოვლენების კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა.



სპექტრი

მონიტორინგის პერიოდში „სპექტრში“ არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. გაზეთში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

„სპექტრში“ ყველაზე აქტიურად ადგილობრივი მთავრობის (44%), ცენტრალური მთავრობის (21%), „ქართული ოცნებისა“ (%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (11%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მთავრობისა (18%) და „ქართული ოცნების“ (16%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი კი „ევროპულ საქართველოს“ (22%) ერგო.

„სპექტრში“ აქტიურად შუქდებოდა რეგიონში არსებული სოციალური პრობლემები. რეგიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მომზადებულ სტატიებში გვხვდებოდა როგორც ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელთა, ასევე მოსახლეობის მოსაზრებები. აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში „სპექტრი“

მკითხველს აწვდიდა დეტალურ ინფორაციას საარჩევნო პროცედურებისა და საარჩევნო უბნების შესახებ (მაგალითად, სტატიებში: *„ინფორმირებული ამომრჩეველი გაცნობიერებული არჩევანისთვის“*, 12 სექტემბერი, გვ. 6; *„ამომრჩეველთა ერთიანი სიები და გადამოწმების გზები“*, 12 სექტემბერი, გვ. 7). არჩევნების შემდეგ კი გაზეთი მკითხველს სთავაზობდა დეტალურ ინფორმაციას არჩევნების შედეგების შესახებ (მაგალითად, *„როგორ დაკომპლექტდება კახეთში მუნიციპალიტეტის საკრებულოები“*, 24 ოქტომბერი, გვ. 1).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „სპექტრმა“ ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქა მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. აღსანიშნავია, რომ გაზეთში მკაფიოდ არის გამიჯნული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები სარედაქციო მასალებისგან.



სვანეთი

გაზეთ „სვანეთში“ ცალსახად შეინიშნება დადებითი განწყობა მმართველი გუნდის მიმართ. გამოქვეყნებული სტატიების დიდი უმრავლესობა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების საქმიანობას ეხება.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაზეთ „სვანეთში“ მოვლენები შუქდება ცალმხრივად. სტატიებში არ გვხვდება ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება; არ ჩანს ჟურნალისტთა მცდელობა, რომ ამა თუ იმ საკითხის გაშუქებისას მკითხველს

შესთავაზოს განსხვავებული მოსაზრებები. ცენტრალური თუ რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობა შუქდება მხოლოდ დადებითი ან ნეიტრალური ტონით.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ „სვანეთში“ სათანადოდ იყო გამიჯნული სარეკლამო სტატიები სარედაქციო მასალებისგან.



ახალი გაზეთი

მონიტორინგის პერიოდში „ახალ გაზეთში“ შედარებით ჭარბობდა დადებით ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდის გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

„ახალ გაზეთში“ ყველაზე აქტიურად ადგილობრივი მთავრობისა (28%) და „ქართული ოცნების“ (21%) საქმიანობა გაშუქდა. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონის პროცენტული მაჩვენებლები. უარყოფით ტონის მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

„ახალ გაზეთში“ ნაკლებად გვხვდებოდა რეგიონში არსებული სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემების მრავალმხრივი ანალიზი. რესპონდენტებად უმეტეს შემთხვევებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ წარმოდგენილი და ნაკლებად გვხვდებოდა განსხვავებული პოზიციები ცალკეულ სტატიებში.

უნდა აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ქუთაისის მერობის კანდიდატთა გაშუქებისას გაზეთში არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე

პოლიტიკური ძალის მიმართ (მაგალითად, სტატიაში *„ბრძოლა ქუთაისის პირველობისთვის ნაცნობი პრიორიტეტებითა და მეთოდებით“*, 11-24 სექტემბერი, გვ. 3). ობიექტურად გაშუქდა არჩევნების შედეგებიც (მაგალითად, *„არჩევნები 2017 - მოლოდინები და შედეგები“*, 6-19 ნოემბერი, გვ. 1-3).

„ახალ გაზეთში“ სათანადოდ არის გამიჯნული სარეკლამო სტატიები სარედაქციო მასალებისგან.



დასკვნა

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგიონული პრესა საკმაოდ ობიექტურად და პროფესიონალურად აშუქებს საქართველოს რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს. გამოცემების დიდ ნაწილში არ შეინიშნება დადებითი ან უარყოფითი განწყობები რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მიმართ. არც ერთ რეგიონულ გამოცემაში არ შეგვხვედრია ისეთი შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია, როგორიც გასულ წლებში ჩატარებული მონიტორინგის პერიოდებში სისტემატურად გვხვდებოდა თბილისში გამოცემულ არაერთ გაზეთში.

აღსანიშნავია, რომ რეგიონულ პრესაში ხშირად ვხვდებით ადგილობრივი მოსახლეობის კომენტარებს რეგიონში არსებული პრობლემებისა თუ მიღწევების შესახებ. რეგიონული გამოცემების დიდი უმეტესობა მკითხველს სთავაზობს ხელისუფლების მიერ რეგიონებში განხორციელებული თუ განსახორციელებელი საქმიანობის კრიტიკულ ანალიზს. ხშირია ინტერვიუები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომლებსაც ჟურნალისტები წინასაარჩევნო დაპირებების ანალიზს სთხოვენ.

მონიტორინგისთვის შერჩეულ თბილისში გამოცემულ სამივე გაზეთში გვხვდებოდა სხვადასხვა სახის დარღვევა. სარეკლამო მასალების არასათანადო მითითება წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას გაზეთში „რეზონანსი“. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგისთვის შერჩეულ ყველა რეგიონულ გამოცემაში სათანადოდ არის გამიჯნული სარეკლამო სტატიები სარედაქციო მასალებისგან.

რეკომენდაციები

- წინასაარჩევნო პერიოდში პრესამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს პოლიტიკური პარტიების კონკრეტული საარჩევნო პროგრამების გაშუქებასა და ანალიზს;
- ჟურნალისტებმა საკუთარი მოსაზრებებისა თუ შეფასებების გაკეთება უნდა მოახდინონ შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე;
- უმჯობესია, რომ რეგიონულმა პრესამ მეტი ყურადღება დაუთმოს რეგიონში არსებული ფინანსური თუ ინფრასტრუქტურული პრობლემების სიღრმისეულ ანალიზს;
- რეგიონში არსებული პრობლემების გაშუქებისას, მნიშვნელოვანია, რომ გაზეთმა მკითხველს შესთავაზოს საკითხების მრავალმხრივი ანალიზი. სასურველია, რომ აღნიშნული პრობლემების გაშუქებისას წარმოდგენილი იყოს ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები;
- კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

დანართი

მონიტორინგის სუბიექტები

1. პრეზიდენტი
2. პრემიერ-მინისტრი
3. პარლამენტის თავმჯდომარე
4. დამოუკიდებელი დეპუტატები (პარლამენტის წევრები)
5. დამოუკიდებელი კანდიდატები
6. მთავრობა (მინისტრები, სამინისტროები, რწმუნებულები, ზურაბ აბაშიძე)
7. ადგილობრივი მთავრობა (მერიები, თვითმმართველობები, გამგებლები)
8. აჭარის მთავრობა
9. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო (პარტია)
10. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11. ევროპული საქართველო
12. რესპუბლიკური პარტია
13. კონსერვატული პარტია (ზვიად ძიძიგური)
14. ეროვნული ფორუმი
15. სახელმწიფო ხალხისთვის (პაატა ბურჭულაძე)
16. გირჩი
17. თავისუფალი დემოკრატები
18. პატრიოტთა ალიანსი
19. მემარცხენე ალიანსი
20. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს
21. საქართველოს გზა
22. ახალი მემარჯვენეები
23. ედპ
24. ლეიბორისტული პარტია
25. სოციალ-დემოკრატები
26. ქართული დასი
27. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა
28. ევროპელი დემოკრატები (პაატა დავითაია)
29. მწვანეთა პარტია
30. თეთრები
31. ქართული პარტია (ირაკლი ოქრუაშვილი)
32. ტრადიციონალისტთა კავშირი
33. ხალხის პარტია (კობა დავითაშვილი)
34. ახალი საქართველო (გიორგი ვაშაძე)
35. რეფორმატორები (ირაკლი ღლონტი)
36. სოციალისტური საქართველო (ვალერი კვარაცხელია)
37. სახალხო ხელისუფლება (ლევან მამალაძე)
38. მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის
39. იმედი (ირინა სარიშვილი)
40. დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისათვის
41. ცენტრისტები (ლადო ბედუკაძე)
42. სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისათვის (ზურაბ ხარატიშვილი)
43. ჩვენი სამშობლო (გია კორკოტაშვილი)
44. დევნილთა პარტია
45. ერთიანი კომუნისტური პარტია
46. ემსახურე საქართველოს
47. ქართული იდეა
48. მიხეილ სააკაშვილი
49. ბიძინა ივანიშვილი
50. შენების მოძრაობა
51. პარტია თავისუფლება (კონსტანტინე გამსახურდია)
52. სრულიად საქართველოს ეროვნული მოძრაობა (ელგუჯა ქოჩიაშვილი)
53. ალექსანდრე ელისაშვილი
54. მერობის დამოუკიდებელი კანდიდატები

55. საქართველოს ხსნის ეროვნული ფრონტი
56. ახალი დემოკრატები (გოჩა ჯოჯუა)
57. პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა
58. საქართველო ერთობისა და განვითარებისთვის (კახა ცისკარიძე)
59. ახალი ერთობა საქართველო (გიორგი ვაშაძე)
60. ქრისტიან კონსერვატიული პარტია (შოთა მალაშხია)
61. სახალხო-ხალხის ერთსულოვნებისთვის
62. საარჩევნო ბლოკი - კუკავა-ბურჯანაძე